პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

კვირა, 17 ივლისი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 161 (1906)

დღიური

- — საბჭ. კავშირში მოემგზავრება ამერიკის მუშათა დელეგაცია.
- — ფინეთში ჩავიდა ახალი საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. ალექსანდროვსკი.
- — პოლონეთის პრესის უკმაყოფილება სეიმის დათხოვნით.
- — კომუნალურ არჩევნების დროს პრაღის [illegible] მუშათა ბლოკმა გაიმარჯვა.
- — მუშტი-კრივი ბელგიის პარლამენტში.
- — ტრამვაელთა გაფიცვა ტოკიოში.
- — მოსკოვში ჩავიდა სამხრეთ-სლავიის სტუდენტთა დელეგაცია.

ვენის ამბები

ავსტრიის დედა-ქალაქ ვენაში უდიდესი, მსოფლიო მნიშვნელობის ამბები დატრიალდა. ვენის ასეული ათასი მუშა აჯანყდა ზეიპელის მთავრობის, მთელი ბურჟუაზიულ ფაშისტურ რეჟიმის წინააღმდეგ. აჯანყებულებმა დაიკავეს მთავრობის დაწესებულებები. გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა.

ვენის პროლეტარიატის რევოლიუციონური გამოსვლის საბაბი შეიქნა ავსტრიის სასამართლოს მიერ იმ ფაშისტების გამართლება, რომელთაც დემონსტრაციის დროს მოჰკლეს ორი მუშა. ბურჟუაზიულ „მსაჯულთა" ასეთ ცინიკურმა აქტმა, მის მიერ მუშების ამგვარმა თავხედურმა შეურაცყოფამ და გამოწვევამ უკიდურესობამდე ააღელვა და მოთმინებიდან გამოიყვანა ვენის მუშათა მასები, საერთოდ მთელი ავსტრიის პროლეტარიატი, რომელიც ისედაც აღშფოთებული იყო ფაშისტების დაუსჯელი თარეშით. და ეს აღელვება იქამდე მივიდა, რომ მუშები ფაბრიკა-ქარხნებიდან ქუჩებში გამოვიდენ მოუმზადებელი, „შეიარაღებულნი" ქვაფენილიდან აგლეჯილი ქვებით, და სტიქიურად შეუტიეს თავის ჯალათებს.

მუშების მკვლელთა გამართლებით ბურჟუაზიულმა სასამართლომ ერთხელ კიდევ უხეშად გვაჩვენა თავისი კლასიური ხასიათი: მისი აზრით, მუშების და რევოლიუციონერების მოკვლა ბოროტმოქმედება არ არის, მათი მკვლელები „საპატიო" მოქალაქენი და „გმირები", რომელთაც ქება ეკუთვნით, და არა დასჯა. ასე მოიქცა ის ამხანაგ ვოროვსკის მკვლელის მიმართ შვეიცარიაში, ავსტრიის საბჭოთა ელჩზე, ამხ. ზერეზინზე თავდამსხმელთა მიმართ ვენაში, საბჭოთა პლატფორმაზე მდგარ გრ. ვეშაპელის მკვლელის მიმართ ბერლინში. ყველა ეს ბოროტმოქმედნი მან გაამართლა. არსებითად ესევე ჩაიდინა ბურჟუაზიულმა სასამართლომ ამხ. ვოიკოვის მკვლელის გასამართლების გათამაშებით. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, მსგავსი ფაქტები უამრავია.

მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. და ვენის პროლეტარიატმა თავის გამოსვლით დაგვანახა, რომ მუშათა კლასი ბოლოს და ბოლოს ვერ მოითმენს ბურჟუაზიის ასეთ თავგასულობას; ის რევოლიუციონურ ბრძოლის გზას ადგება მისი ბატონობის დასამხობად.

ხაზგასასმელი აქ ის არის, რომ ზევით ხსენებული ამბები მოხდა სწორედ ვენაში, რომელსაც „ავსტრო-მარქსისტები" ფლობენ. სოციალ-დემოკრატიული პოლიცეი-პრეზიდენტი, სოციალ-დემოკრატიული პოლიცია, ზეიპელთან შეთანხმებულ ბაუერების „ლოცვა-კურთხევით" ტყვიები დაუშინა აჯანყებულ და დემონსტრანტ უიარაღო მუშებს და ფაშისტებს გაუწოდა ხელი მათ ჩასახრჩობად სისხლის მორევში.

გვახსოვს საძაგელ რენეგატ კაუცკის წერილი: „არბაიტერ ცეიტუნგ"-ში სათაურით: „პარიზის და ვენის კომუნა". ასეთი აღმაშფოთებელი შედარებისათვის მას „საფუძველი" მისცა ავსტრიის სოციალ - დემოკრატიის გამარჯვებამ ვენის თვითმართველობის ა. წ. 24 აპრილის არჩევნებში. ის სწერდა: „დღევანდელი ვენის კომუნა ჩვენ უნდა ვიდღესასწაულოთ როგორც პირველი ჭეშმარიტად მუშური მთავრობა, რომლის მსგავსი მთელ ქვეყანაზე არ არსებობს... ჩვენი სიხარული ამ გამარჯვების შესახებ არ უნდა შენელდეს იმით, რომ ეს გამარჯვება ჩვენ სრულიად უსისხლოდ მოვიპოვეთ, რა უხეში ძალის უპირატესობამ მოგვანიჭა ის ჩვენ, არამედ ჩვენმა დადებითმა მუშაობამ". როგორც ვხედავთ, კაუტსკი ვენის „კომუნას" პარიზის კომუნაზე მაღლა აყენებს და ამასთან მას უპირდაპირებს საბჭოთა წყობილებას, რომ უკანასკნელს ჩრდილი მიაყენოს მისთვის „უხეში ძალის" ეპიტეტის მიკერებით. პროლეტარიატის საქმის გამცემლობა ამაზე შორს ვერ წავა.

რას იტყვის ეხლა კუტსკი, როცა ვენის მუშათა კლასმა გვმტყუნა მას იმე-

რას იტყვის ეხლა კაუტსკი, როცა ვენის მუშათა კლასმა გაუცრუა მას იმედები და ის თითქო პარიზის კომუნის გზას დაადგა, როცა ის ამხედრდა ბურჟუაზიის ფარფაშის წინააღმდეგ? ვენის პროლეტარიატი არც ისე „მოშინაურებული" აღმოჩნდა, როგორც ეს გამცემლებს ეგონათ.

ჯერ საბოლოოდ არ არის გამორკვეული საქმეთა ვითარება ვენაში. ამ შემთხვევაში აჯანყებული მუშათა კლასი ალბად დამარცხდება: ზეიპელები და ბაუერების გაერთიანებული ძალ-ღონით ვენის მუშების გამოსვლა შეუბრალებლად იქნება ჩახშობილი. მაგრამ როგორადაც არ უნდა გათავდეს საქმე, ერთი რამ ცხადია: ავსტრიის პროლეტარიატსა და სოციალ-დემოკრატიის შორის უკანასკნელის თვალთმაქცური პოლიტიკის წყალობით გადებული ხიდი სამუდამოთ ჩატყდა ვენის მუშების სისხლში გასვრილია ავსტრიის მენშევიკების ხელები, ამას მუშები არ დაივიწყებენ, აქედან შესაფერ დასკვნას გამოიყვანენ. ამავე დროს ვენის ამბები გვიჩვენებენ, რომ ავსტრიის პროლეტარიატში გროვდება რევოლიუციონური ენერგია, რომელიც დღეს თუ ხვალ მრისხანე ტალღად გადმოიშლება და წალეკავს როგორც ზეიპელებს, ისე მათ დამქაშ გამცემელ მენშევიკების ბატონობას. ამასთან, ვენის მაგალითი უეჭველად გამოხმაურებას ჰპოვებს დანარჩენ ქვეყნების მუშათა მასებში, ის ხელს შეუწყობს მათი მძულვარების გაზრდას ბურჟუაზიისადმი და მათი რევოლიუციონურ იარაზმვას თავის ჯალათების მოსასპობად.

სიტყვიდან—საქმეზე

დღეს საბჭოთა კავშირის თავდაცვის კვირეულის უკანასკნელი დღეა. მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა იმ ურიცხვ კრებებზე, რომლებიც ამ კვირეულის განმავლობაში გაიმართა და რომლებიც მიძღვნილი იყო განთავისუფლებულ შრომის სახელმწიფოს თავდაცვის საკითხებისადმი, ერთხელ კიდევ გამოაშკარავდა მშრომელ მასების მაღალი რევოლიუციონური შეგნება.

საბჭოთა მთავრობისა და კავშირის მთელი მასებისათვის, რომელნიც ჩაბმული არიან უდიდეს აღმშენებლობითი მუშაობაში, ყველაზე უფრო ძვირფასია მშვიდობიანობა. ამიტომ ჩვენი მთავრობა ყოველ ზომას ხმარობს ამ მშვიდობიანობის განსამტკიცებლად და ყველა სახელმწიფოებთან ნორმალური დამოკიდებულების დასამყარებლად მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურის მტრები არ ისვენებენ; იმპერიალისტები და მათი დამქაშები არაფრის წინაშე არ ჩერდებიან, რათა ჩვენი სოციალისტური მშენებლობა ჩაშალონ და შეიარაღებული გალაშქრება მოამზადონ საბჭოთა კავშირის დასამხობად. აქედან ჩვენც სათანადოთ უნდა მოვემზადოთ, რომ საკადრისი პასუხი გავსცეთ ყველა იმათ, ვინც მოინდომებს და გაბედავს მუშურ-გლეხურ ქვეყნების წინააღმდეგ მახვილის ამოღებას.

თავდაცვის კვირეულმა ზედმეტჯერ ცხადჰყო საბჭოთა კავშირის მშრომელ მოსახლეობის და მისი ხელისუფლების მშვიდობის-მოყვარეობა და მისწრაფება მშვიდობიანობის შენარჩუნება-განმტკიცებისაკენ—ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ გამოაჩინა მშრომელების მიერ მომენტის სერიოზულობის, ომის საფრთხის შეგნება და მისი უდრეკი ხებისყოფა თავისი გულმკერდით დაიცვას პროლეტარული სამშობლო ყოველ მოსალოდნელ თავდასხმისაგან.

თავდაცვის კვირეული, როგორც ვსთქვით, მთავრდება დღეს. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ამის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია გულზე ხელი დავიკრიფოთ. სრულებითაც არა. კვირეული მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი სისტემატიური მუშაობისა, რომელიც შესრულებული უნდა იქნას ქვეყნის თავდაცვის მოსაწყობად, საბჭოთა კავშირის გადასაქცევად ისეთ ციხე-სიმაგრეთ, რომელზედაც შუბლს დაიმტვრევენ ყველა მასზე თავდამსხმელნი.

ჩატარებული კვირეული უმეტესად აგიტაცია-პროპაგანდა იყო საბჭოთა კავშირის თავდაცვის გაძლიერების აუცილებლობის შესახებ ეხლანდელ გართულებულ საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით. ვარკვევდით ომის საშიშროებას, იმპერიალისტების ანტი-საბჭოთა ზრახვებს და გეგმებს, ვითვალისწინებდით, თუ რა უნდა გაკეთდეს თავდაცვის საქმის ორგანიზაციისათვის. ეს საგიტაციო კამპანია შემდეგშიც უნდა გაგრძელდეს, რათა ყოველ მუშას, ყოველ მიყრუებულ სოფლის გლეხსაც უფრო ღრმად გაუჯდეს ძვალ-რბილში ის მოვალეობა, რომელსაც პროლეტარული ქვეყანა აკისრებს მათ მტრებისაგან მისი თავდაცვის საქმეში. მაგრამ ამასთან ერთად და უფრო მეტად საჭიროა პრაქტიკული მუშაობა ამ მიმართულებით, სიტყვიდან საქმეზე გადასვლა. საერთოდ ჩვენი სხვადასხვა კამპანიების ნაკლი ის არის, რომ არა იშვიათად ლაპარაკს უფრო მეტი ადგილი უკავია, ვინემ ცოცხალ საქმიანობას. ეს ნაკლი უნდა იქნას აღმოფხვრილი, კერძოთ თავდაცვის კამპანია ვერ მოითმენს ამას. საქმე პირველყოვლისა და უმთავრესად—ასეთი უნდა იყოს ჩვენი ლოზუნგი.

რა უნდა გავაკეთოთ ამ მიმართულებით? საბჭოთა საზოგადოებრიობის ხაზით უნდა განვამტკიცოთ მოსახლეობის თავდაცვის უნარი. მომავალი ომი არ იქნება მარტო ომი ფრონტებზე, ზურგს მაშინ ვერ გამოჰყოფ ომის ველიდან. მშვიდობიან მოსახლეობაზე ჰაეროპლანებიდან ყუმბარების დაშენა, მისი მოწამვლა მხრჩოლავი გაზებით ამ ომის დამახასიათებელი იქნება. თავისი საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად და წითელ არმიისათვის დახმარების გასაწევად მოსახლეობა კარგად უნდა გაეცნოს სამხედრო ტექნიკას. მან უნდა შეისწავლოს თოფის ხმარება და სროლა, გაზების გამოყენება, ავიაციის საქმე და სხ. ერთი სიტყვით, უნდა მოხდეს მისი გასამხედროება.

ამ მხრივ უდიდესი მოვალეობა აწევს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას, რომელსაც ეკისრება მთელი ამ მუშაობის ჩატარება. ეს საზოგადოება ჯერ კიდევ სუსტია რიცხვობრივად, ნივთიერად და ორგანიზაციულად. საჭიროა მისი ყოველმხრივი გამაგრება. ყოველი მშრომელი უნდა შევიდეს მის რიგებში, შევიდეს არა როგორც პასიური წევრი, არამედ მან აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მის საქმიანობაში. სათანადოთ უნდა მოეწყოს საწევრო გადასახადის შეტანა და სხვა საშუალებათა შეგროვება. ამ საზოგადოების ხელმძღვანელობის საქმე მოიკოჭლებს და ამას ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციების მხრივ.

რა თქმა უნდა, ქვეყნის მთავარი დამცველი წითელი არმიაა. მოსახლეობამ მას ზურგი უნდა გაუმაგროს და უფრო მჭიდრო კავშირი გააბას მასთან. ამ საქმეშიც თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ უნდა გამოიჩინოს სათანადო ფხა და ინიციატივა.

ქვეყნის თავდაცვის უნარი სრულებით არ ამოიწურება შეიარაღებული ძალით და მოსახლეობის სამხედრო მომზადებით. აქ უპირველესი მნიშვნელობა აქვს მთელი სახალხო მეურნეობის მდგომარეობას. ამ მხრივ ჩამორჩენილი მხარე დიდ ომს ვერ აიტანს. ჩვენ უნდა გავაათკეცოთ მუშაობა მრეწველობის განსავითარებლად. ომის საფრთხე, რომელიც გვემუქრება, ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენი პარტიის მიერ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე აღებულ ხაზის სისწორეს. ჩვენ უნდა გავხდეთ კაპიტალისტურ მსოფლიოსაგან ეკონომიურად დამოუკიდებელი, ჩვენ უნდა მოვახერხოთ ყველა საჭირო საგნების საბჭოთა ფაბრიკა-ქარხნებში დამზადება; მხოლოდ ამ გზით შეიძლება ქვეყნის თავდაცვის განხორციელება, ვინაიდან ცხადია, რომ ომის დროს კაპიტალისტური ქვეყნები ჩვენ ეკონომიურ ბლოკადას გამოგვიცხადებენ და იქიდან ვერაფერს შემოვიტანთ. ამგვარად, მრეწველობის გაშლა, წარმოების რაციონალიზაცია, შრომის დისციპლინის განმტკიცება და მისი ნაყოფიერების აწევა ქვეყნის თავდაცვის თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობენ.

ასევე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ტრანსპორტის გაჯანსაღებას. ტრანსპორტი, თუ სახალხო მეურნეობის არტერიაა, მისი ღირებულება შეუდარებლად იზრდება ომის დროს, როცა ჯარების თავის დროზე და საჭირო რაოდენობით გადაყვანას, მათთვის საომარ იარაღების და პროდუქტების დაუგვიანებლად მიწოდებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ომის ბედისათვის.

რა თქმა უნდა, სოფლის მეურნეობის მდგომარეობა უაღრეს როლს ითამაშებს ომის მსვლელობაში. სასოფლო მეურნეობამ სანგრებში მყოფ წითელარმიელთ უნდა მისცეს საჭირო სურსათ-სანოვაგე, ამიტომ სასოფლო მეურნეობის აღორძინება ქვეყნის თავდაცვის მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია.

ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ სახელმწიფოს ფინანსების გადიდებას. ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა მთელი ასი პროცენტით უნდა შევიდეს სახელმწიფოს სალაროში. უნდა გამოვიჩინოთ უმკაცრესი მომჭირნეობა საშუალებათა ხარჯვაში. ამავე დროს ენერგიული მუშაობა უნდა გავსწიოთ მოსახლეობაში წვრილ-წვრილად გაბნეულ თანხების მოსაგროვებლად—სახელმწიფო სესხების და შემნახველ სალაროების ხაზით. შესაძლებლობა ამ მხრივ დიდია, ოღონდ საჭიროა მისი გამოყენება და ამ მიზნით სათანადო ღონისძიებათა გამომუშავება.

ასეთია ის ამოცანები, რომელნიც დგანან ჩვენს წინაშე ქვეყნის თავდაცვასთან დაკავშირებით. საბჭოთა კავშირის მშრომელთა მზადყოფნა თავის ქვეყნის დასაცავად, წითელ არმიის საომარი უნარის განმტკიცება, მოსახლეობის გასამხედროება, სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება და სოციალისტური მშენებლობის უფრო ფართოდ გაშლა, ფინანსების მობილიზაცია,—ყველაფერი ეს უტყუარი საწინდარი იქნება ომის საფრთხის აცილებისა და ჩვენი გამარჯვებისა იმ შემთხვევაში, თუ ეს ომი მსოფლიო ყაჩაღებმა თავს მოგვახვიეს.

ავსტრიის მუშების აჯანყება

ბრძოლა ვენის ქუჩებში.—საყოველთაო გაფიცვა.—ჯარები მუშების წინააღმდეგ

აჯანყებულმა მუშებმა დაიკავეს ფოსტა, პოლიციის სამმართველო და სასამართლო.—დარბეულია რეაქციონურ გაზეთების რედაქციები.—სარკინიგზო მიმოსვლა ავსტრიისა და სხვა ქვეყნებს შორის შეწყვეტილია.—ავსტრიის მთავრობის სასწრაფო სხდომა

ბრძოლა ვენაში

ვენა, 15 ივლისი. 15 ივლისს რკინის გზით მიმოსვლა და სატელეგრაფო კავშირი პრაგას და ვენას შუა შეწყდა. შემდეგი, შეუმოწმებელი ცნობების თანახმად ვენაში და ავსტრიის საზღვარზე სწარმოებს ბრძოლა. ქალაქის განაპირა უბნებიდან ცენტრში შემოდიან მუშების სულ ახალი მასები.

როგორც სჩანს მიღებულ ცნობებიდან, ვენაში, მიუხედავათ სოციალ-დემოკრატიული პარტიის და პროფკავშირთა ცეკას დადგენილებისა, გამოცხადებულია საყოველთაო გაფიცვა.

მუშებმა ხელთ იგდეს სასამართლო, მთავარი ფოსტა და ერთი საპოლიციო სამმართველოს შენობა და გაანადგურეს ქრისტიან-სოციალისტური გაზეთების „რეიხს პოსტ"-ის და „ნეიე ნახრიხტენ"-ის რედაქციები. „შუცბუნდ"-ის ორგანიზაცია (თავდაცვის კავშირი), რომელსაც ხელმძღვანელობენ სოციალ-დემოკრატები გამოდის მუშების წინააღმდეგ. დილის პრესის ჯერ შეუმოწმებელ ცნობების თანახმად, შეტაკებებში მოკლულია 50 კაცი.

მდგომარეობა თანდათან რთულდება. გაფიცულია ტელეგრაფის, ტელეფონის, სტამბების, ქალაქის რკინის გზის და ნაწილობრივ ელექტრო წარმოებების და რკინის გზების მუშები. (ადს).

საყოველთაო გაფიცვა ვენაში

პარიზი, 15 ივლისი. ჰავასის სააგენტოს მიერ ვენიდან მიღებული ცნობების თანახმად, **ვენაში 15 ივლისს, საღამოს 7 საათზე გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა. ოფიციალური ცნობებით მოკლულია 12 და დაჭრილი 120 კაცი.**

ანტი - ფაშისტური მოძრაობა ვენაში

ვენა, 15 ივლისი. ვენის სასამართლომ გაამართლა ფრონტელების ფაშისტური ორგანიზაციის წევრები, რომლებმაც იანვრის ბოლო რიცხვებში შეტენდორფში მოჰკლეს ორი მუშა.

განაჩენის გამოცხადების შემდეგ მუშებმა დემონსტრაცია მოაწყვეს—პროტესტის ნიშნით **ტრამვაის მუშებმა ერთი საათით შესწყვიტეს მუშაობა. მუშათა კრებებზე გამოაქვთ რეზოლიუციები, რომლებშიც ითხოვენ ფაშისტური ორგანიზაციების განიარაღებას და დაშლას, სახელმწიფო სამსახურიდან ფაშისტების განდევნას და მუშების შეიარაღებას.** (ადს).

არეულობის მიზეზები

ლონდონი, 15 ივლისი. ავსტრიის საზღვრებიდან „დეილი მეილის" მიერ მიღებული ცნობების თანახმად, ვენაში მუშების გამოსვლა გამოიწვია ფრონტელების კავშირის (ფაშისტური ორგანიზაცია) სამი წევრის გამართლებამ. ფრონტელების კავშირის ამ სამ წევრს ბრალდებოდათ ბატენდორფში (ბურგენლანდი, უნგრეთის საზღვართან) ორი მუშის მოკვლა.

აღშფოთებული მუშები 15 ივლისს ჯგუფებით დაიძრენ ქალაქის შუაგულისაკენ და გზა-გზა გაანადგურეს ყველაფერი. **ჟანდარმერია უძლური აღმოჩნდა მუშებთან ბრძოლაში, თუმცა ზოგიერთ პუნქტებში წინააღმდეგობა გაუწია მათ და სროლა აუტეხა ტყვიისმფრქვევლებიდან, თოფებიდან და რევოლვერებიდან.**

ქალაქის თვითმმართველობის წინ მოედანი დაფარულია დაჭრილ დახოცილებით.

სატელეგრაფო კავშირი ლონდონს და ვენას შუა შეწყდა ღამე.

უკანასკნელი ცნობა, რომელიც ვენიდან იყო მიღებული იუწყებოდა საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ. (ადს).

300.000 კაცის დემონსტრაცია ვენაში

პარიზი, 15 ივლისი. ჰავასის სააგენტოს პრაგის კორესპონდენტის შეუმოწმებელ ცნობების თანახმად, ვენაში ადგილი ჰქონდა დიდ მენიფესტაციას, **რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 300 ათასმა მუშამ. დემონსტრანტებმა, ავსტრიის ტერიტორიაზე, გააჩერეს ბრატისლავუში (ჩეხო-სლოვაკია) მიმავალი მატარებელი. რკინისგზელებმა განაიარაღეს 50 ჟანდარმი. გავრცელდა ხმები, თითქოს მოკლული იყოს 40 კაცი, დაჭრილი კი 700.** (ადს).

მდგომარეობა ვენაში

ბერლინი, 15 ივლისი. გერმანიის პრესის ცნობებით ვენაში მომხდარ შეტაკებების დროს დახოცილია ერთის ცნობით 40 კაცი, მეორე ცნობით 80. დაჭრილია 200 კაცი. **სასამართლოს შენობა ნაწილობრივ დაიწვა. გაზეთი „რეიხსპოსტი"-ს რედაქცია განადგურებულია. პოლიციის ხელშია მხოლოდ ქალაქის ცენტრი და მოედანი პარლამენტის წინ.** სასამართლოს შენობა განთავისუფლებულია მუშებისაგან, მაგრამ **ცენტრის ახლო მდებარე ქუჩებში ბრძოლა გრძელდება. მუშები მოითხოვენ პოლიცეი-პრეზიდენტის შობერის და კანცლერი ზეიპელის გადადგომას.** (ადს).

მთავრობის ღონისძიებანი

ბრატისლავა, (ჩეხო-სლოვაკია) 15 ივლისი. ავსტრიის საზღვრიდან აქ მიღებული ცნობების თანახმად, ავსტრიის კანცლერმა ზეიპელმა, როგორც კი შენიშნა მღელვარების პირველი ნიშნები, მაშინვე გააუქმა მოლაპარაკება, რომელიც უნდა მომხდარიყო პარტიათა შორის და 15 ივლისისათვის განზრახული საპარლამენტო კომისიების სხდომა.

15 ივლისს საღამოს შესდგა მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელმაც გასტანა რამდენიმე საათს. სხდომაზე მონაწილეობა მიიღეს ვენის პოლიცეი-პრეზიდენტმა შობერმა და მთავრობის მოხელეებმა. საღამოსვე გვიან გაიმართა თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს კანცლერმა, პარლამენტის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეპუტატებმა და ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას თავმჯდომარე ოტტო ბაუერმა. მთავრობამ მიიღო ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ ასეთი ექსცესები არ განმეორებულიყო. შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის განსახილველად პარლამენტის მოწვევის ვადა ჯერ არ დაუნიშნავთ, თუმცა ეს საკითხი ირჩეოდა ოპოზიციის ლიდერების (სოციალ-დემოკრატები) და კანცლერის მოლაპარაკების დროს. (ადს).

ავსტრიის მთავრობის ოფიციალური ცნობა

ბრატისლავი, (ჩეხო - სლოვაკია) 15 ივლისი. ავსტრიის სატელეგრაფო სააგენტო აქვეყნებს შემდეგ ოფიციალურ ცნობას, რომელიც ვენაში გამოუშვეს 15 ივლისს.

„ დღეს დილით მრავალ ფაბრიკის მუშებმა ქალაქის მიდამოებში შესწყვიტეს მუშაობა პროტესტის ნიშნად იმ განაჩენის წინააღმდეგ, რომელიც გამოტანილ იქნა შატენდორფში (ბურგენლანდი) ორ ავსტრიელ მუშის მკვლელების პროცესზე.

მუშები განაპირა უბნებიდან გაემართენ ქალაქისაკენ დემონსტრაციის მოსაწყობად. დემონსტრანტები, რომლებიც ყოველმხრივად მოდიოდენ, შეგროვდენ რინგშტრასეზე და შეეცადენ პარლამენტში და უნივერსიტეტის შენობაში შესვლას. ამ ცდებს წინაღუდგა პოლიცია, რომელიც ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა მიემართა ცივი იარაღისათვის.

დემონსტრანტები გაემართენ აგრეთვე სასამართლოს შენობისაკენაც. ამ პუნქტში მყოფ პოლიციელთა რაზმმა ვერ შესძლო მრავალრიცხოვან დემონსტრანტების შეჩერება, და იძულებული გახდა გაეშვა შენობისაკენ. დემონსტრანტების ნაწილმა მოახერხა სასამართლოს შენობაში შესვლა. დემონსტრანტებმა სასამართლოს აქტები გადმოყარეს ქუჩაზე. სადაც ისინი დააგროვეს და დასწვეს. დემონსტრანტებმა აქტების დაწვა დაიწყეს თვით შენობაშიც, რის გამო შენობის ნაწილს ცეცხლი გაუჩნდა.

ხანძრის ჩასაქრობათ გამოსული მეხანძრეთა რაზმი, მიუხედავათ პოლიციისა და ზოგიერთი „ორდნერებისა" (თავდაცვის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრები) და „შუცბუნდ"-ის ყოველგვარი ცდისა გაეწმინდათ გზა სასამართლოსაკენ მეხანძრეთა რაზმისათვის, არ იქნა დაშვებული დემონსტრანტების მიერ ხანძრის ჩასაქრობად.

დემონსტრანტების ნაწილმა მოაწყო თავდასხმა საპოლიციო სამმართველოზე, რომელიც ვენის მუნიციპალიტეტის მახლობლად იყო და აიძულა იქ მყოფი საპოლიციო ნაწილი უკან დაეხია. საპოლიციო სამმართველოში დემონსტრანტებმა დაამტვრიეს ავეჯეულობა და გაფანტეს აქტები საპოლიციო ნაწილები იძულებული გახდენ გამოეწვიათ ტყვიისმფრქვეველებით შეიარაღებული ნაწილები. ამ ნაწილებს დემონსტრანტები მუნიციპალიტეტის რაიონში ესროდენ არა მარტო ქვებსა და სხვა მძიმე საგნებს, არამედ იარაღებიდანაც. პოლიციის ნაწილებმა მაშინ მიმართეს იარაღს და მოედანი ძალით გასწმინდეს.

შეიარაღებული პოლიციის ის ნაწილიც, რომელსაც სასამართლოს შენობასთან სროლით შეხვდენ, იძულებული გახდა მიემართა იარაღისათვის და ამ გზით აღედგინა წესრიგი, რათა მეხანძრე რაზმისათვის მიეცა შესაძლებლობა ჩაექრო ხანძარი სასამართლოს შენობაში. დემონსტრანტებმა თავს დაესხნენ აგრეთვე ორი გაზეთის „ვიინერ ნოისტე ნახრიხტენ"-ისა და „რაიხსპოსტ"-ის რედაქციებს და გარეკეს ამ რედაქციების მცველი პოლიციელები. ბრბომ შეიჭრა რედაქციაში, დაამტვრია დგამი, დახია ხელთნაწერები და მოინდომა მანქანების დამსხვრევაც, მაგრამ გარეკილი იქნა პოლიციის მიერ, რომელიც ამ დროს გაძლიერებული იქნა მაშველი რაზმებით. მომხდარ შეტაკების დროს დაიჭრა 190-მდე კაცი, დაიხოცა 12 კაცი. დაჭრილთა უმრავლესობა პოლიციელებია.

ამჟამად პოლიცია ცდილობს შეიარაღებული ქვეითა და ცხენოსანთა რაზმების დახმარებით გაჰფანტოს დემონსტრანტების დარჩენილი ნაწილები და აღადგინოს ქალაქში წესიერება.

მოედანი პარლამენტის წინ და სასამართლოს შენობა დაკავებულია ჯარების მიერ. კერძო პირთათვის არსად ზარალი არ მიუყენებიათ. მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონია ამჟამად პოლიცია".

სასამართლოს შენობა დამწვარია

ბერლინი, 15 ივლისი. მიღებულ ცნობებით, პოლიციამ სროლა აუტეხა მუშებს, მიუხედავად განკარგულებისა, რომ იარაღისათვის მიემართათ უკიდურეს შემთხვევაში. ზოგიერთ ცნობებით, მუშები შეიჭრენ სასამართლოს დაწესებულების შენობაში იმის შემდეგ ,როცა შენობიდან დემონსტრანტებს აუტეხეს სროლა. სასამართლოს დაწესებულებათა შენობა სავსებით გადამწვარია. (ადს)

პოლიციამ სახურავები დაიკავა

ბერლინი, 16 ივლისი. ვენის პოლიციამ 15 ივლისს დაიკავა მთავრობის დაწესებულებათა, პარლამენტის, სახელმწიფო თეატრისა და სხვა შენობათა სახურავები და იქიდან ასტეხა სროლა. ვენის სამხედრო ნაწილები არ გაიწვიეს აჯანყების ჩასაქრობათ, ვინაიდან ეჭვი ეპარებოდათ მათ კეთილსაიმედოობაში. თავს უყრიან პროვინციის ჯარებს. მოკლულთა რიცხვის განსაზღვრავენ 40-100 კაცით, დაჭრილებისას—300-1.000-ით.

შთაბეჭდილება გერმანიაში

ბერლინი, 16 ივლისი. ვენის ამბებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიაში. მემარჯვენე პრესა ბრალს სდებს „მარქსისტების ინტრიგებს". დემოკრატიული პრესა მიუთითებს კომუნისტებზე, როგორც „ამბოხების სულის ჩამდგმელებზე".

„როტე ფანე" სწერს, რომ „გმირული ბრძოლა ვენის ბარიკადებზე ხერხემალს გადაუმტვრევს ცრუ - მარქსიზმს. ვენის მუშების გრანდიოზული გამოსვლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიუხედავად სოც.-დემოკრატების წინააღმდეგობისა, უნდა გაფართოვდეს და უნდა დასრულდეს მუშების სრული გამარჯვებით. გერმანიის პროლეტარიატი ესალმება ვენის ბარიკადების მებრძოლებს" .

ავსტრია მოწყვეტილია

ბერლინი, 16 ივლისი. ავსტრია ჯერი კიდევ სრულიად მოწყვეტილია დანარჩენ ქვეყნისაგან, ვინაიდან გაფიცვები ფოსტა-ტელეგრაფში და რკინისგზებზე გრძელდება. გემები, რომლებიც დადიოდენ დუნაიზე, ჩერდებიან ავსტრიის საზღვარზე. დადის ხმები, რომ იტალიისა და უნგრეთის წარმომადგენლობა ვენაში ავსტრიის მთავრობას შესთავაზებს ჯარებით დახმარება „წესრიგის აღსადგენად" (ადს).

ნიშნად გლოვისა

ბერლინი, 16 ივლისი. ბრატისლავიდან მიღებულ ცნობების თანხმად, ავსტრიის პროფკავშირების ცეკამ და რესპუბლიკის „თავდაცვის კავშირის" ცეკამ მოწოდებით მიმართეს ვენის მუშებს დაიცვან სრული სიწყნარე გუშინდელ ბრძოლებში დაღუპულ გლოვის ნიშნად. ამის გამო დღეს ადგილი არ ქონია არავითარ დემონსტრაციებს, მაგრამ ქუჩები სავსეა გაფიცული მუშებით, რომლებიც პატარ-პატარა ჯგუფებად დადიოდენ. რინგშტრასედან რაზმები მოხსნილია და „წესრიგს" განსაკუთრებით „თავდაცვის კავშირი" იცავს.

პროფკავშირებმა დანიშნეს დიდი დემონსტრაციები. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცეკასა და მთავრობას შორის განუწყვეტლივ სწარმოებს მოლაპარაკება. უცხოელთა შორის პანიკაა გამეფებული. (ადს).

მდგომარეობა ვენაში

პრაღა, 16 ივლისი. დღეს ვენიდან პრაღაში ჩამოვიდა ღამის მატარებელი. ჩამოსულთა სიტყვებით, პოლიცია შუა ღამით იცავდა ქალაქის ცენტრს. მუშათა მასები გროვდებიან განაპირა უბნებში და აქედან მიემართებიან ცენტრისაკენ. ზოგიერთ ქუჩებში აღმართულია ბარიკადები. სოციალ-დემოკრატიულ- პარტიის ცენტრალურ კომიტეტს განუწყვეტლივი სხდომები აქვს. გაზეთები დღეს არ გამოსულა. ავსტრიის ელჩმა ბრატისლავში ინგლისის პრაიღ ელჩს აცნობა, რომ ზეიპლი იწვევს დიპლომატიურ კორპუსის თათბირს. თავდაცვის კავშრმა ავსტრიის საზღვარზე დააწესა პასპორტების სისტემა. ურომლისოდაც საზღვარზე გადასვლა შეუძლებელია. სერიოზული შეტაკებები მუშებსა და პოლიციელებს შორის ქალაქის ცენტრს გარდა ხდებოდა კიდევ ორ სხვა რაიონში. მოკლულია 3 პოლიციელი. იუწყებიან, რომ ვენის რამოდენიმე ბანკში განძეულობა და ფასიანი ქაღალდები ბრატისლავში გადაგზავნა. (ადს)

გომინდანელები თეორეტიკოსების როლში

კონტრ - რევოლიუცია უხანში შედის ძალაში. სცენაზე გამოჩნდა „სამხედრო ფაქტორი", რომელიც მუშათა ორგანიზაციების და გლეხთა კავშირების გარეკის და კომუნისტების დაპატიმრების საშუალებით სწყვეტს საკითხს გომინდანის დამოკიდებულების შესახებ კომუნისტებისადმი და მუშურ - გლეხურ მოძრაობისადმი. იმაზე უფრო ადრე, სანამ გომინდანის ცეკა და უხანის მთავრობა დაიწყებდნენ აშკარა მოლაპარაკებას ჩან-კაი-შისთან, კონტრ - რევოლიუციონერმა გენერლებმა და ოფიცრებმა ეს შეთანხმება ფაქტიურად გაატარეს ცხოვრებაში იმით, რომ „ნანკინისებური" მეთოდებით გაუსწორდენ რევოლიუციონურ მასებს.

კონტრ - რევოლიუციონერებმა იციან, რომ დიდხანს ვერ შეინარჩუნებენ თავიანთ პოზიციებს ფართე მასების დაუხმარებლათ, პოზიციებს, რომლებიც მიმართულია ამ მასების წინააღმდეგ, ამიტომ კონტრ - რევოლიუციონური საქმეები სურთ მათ გაასაღონ, როგორც „რევოლიუციონური საქმიანობა" და სუნ-იატსენის სამი პრინციპის განხორციელება.

კონტრ - რევოლიუციონური გზით მიმავალი ვან-ტინ-ვეები კომუნისტებს ხატავენ, როგორც „განმანადგურებლებს" და ამით ამხედრებენ მათ წინააღმდეგ წვრილ ბურჟუაზიას; პირდებიან გლეხებს „მიწების თანასწორად დარიგებას", ატყუებენ მუშებს იმით, რომ „მომავალში", როდესაც განდევნილი იქნებიან მილიტარისტები და იმპერიალისტები, შესაძლებელ იქნებაო კაპიტალის „შეზღუდვა"—აი, ასეთი ფრაზებით და მეთოდებით სურთ მათ დაფარონ თავიანთი შეტევა კომუნისტების წინააღმდეგ და თავიანთი ღალატი რევოლიუციისადმი.

კონტრ - რევოლიუციონერები კომუნისტების და მუშების წინააალმდეგ ბრძოლას აწარმოებენ ნაცად მეთოდით—ცილისწამების საშუალებით და ავრცელებენ ხმებს, თითქოს კომპარტია მომხრე იყოს კომუნიზმის დაუყოვნებლივი განხორციელებისა ჩინეთში, თითქოს კომპარტიას სურდეს დაუყოვნებლივ წვრილ მესაკუთრეთა ექსპროპრიაცია, და სხვა.

მაგრამ თუ ეს თეორია ასე თუ ისე მკაფიოდ ამჟღავნებს კონტრ - რევოლიუციის ზრახვებს, თუ ის არსებითად ბრძოლას უცხადებს კომუნისტებს, ვან-ტინ-ვეის თეორია უფრო ბუნდოვანია და ამიტომ უფრო საშიშიც.

მისი თეორია, რომელმაც უნდა დაფაროს [illegible] გადასვლა კონტრ - რევოლიუციონურ ბანაკში, მდგომარეობს შემდეგში: კლასიური ბრძოლა ჩინეთში არ არსებობს, ამიტომ რუსეთის და საფრანგეთის რევოლიუციის „საწინააღმდეგოთ" ჩინეთის რევოლიუცია მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალურია, ე. ი. მიმართულია მხოლოდ იმპერიალისტების წინააღმდეგ.

ლაყბობა იმის შესახებ. თითქოს არ არსებობდეს კლასობრივი წინააღმდეგობა, დასჭირდათ ალბათ იმისათვის, რომ გაამართლონ ბრძოლა აგრარული რევოლიუციის და მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ.

სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის მომავალში დამყარების იდეა მოგონილია იმისათვის, რომ გაამართლონ როგორმე დღევანდელი კავშირი კაპიტალისტებთან.

ვან-ტინ-ვეის მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ შეაბას მუშურ-გლეხური მასები ბურჟუაზიულ ეტლში. მაგრამ რევოლიუციაში მიღებულ გამოცდილებას ტყვილა-უბრალოდ არ ჩაუვლია. მასებს დღეს შეუძლიათ გაარჩიონ ერთმანეთისაგან ლიტონი სიტყვა და რეალური საქმე, გლეხები უკვე ეუფლებოდენ მიწას, უკვე ერეკებოდენ თავიანთ ბუდიდან მუქთახორებს, მუშებმა კი ისწავლეს თავისი ორგანიზაციების ფასი, და მათ თავიანთ რიგებში გამოსჭედეს რევოლიუციონური დისციპლინა.

როდესაც ვან-ტინ-ვეი ლაპარაკობს გომინდანის კონტრ - რევოლიუციონური ზედაფენის „ხელმძღვანელობის" აუცილებელ სტადიის შესახებ, მაშინ მუშები და გლეხები, რომლებიც შეადგენენ გომინდანის დანარჩენ მასას, დაიწყებენ გადამწყვეტ ბრძოლას ამ ზედაფენის ჩამოსაგდებათ.

ვან-ტინ-ვეის ლაყბობაზე „კონსტიტუციონური სტადიის" შესახებ მუშები და გლეხები უპასუხებენ თავიანთი ორგანიზაციების გაძლიერებით და არ დაუცდიან „დაპირებათა" ასრულებას, არამედ დაუყონებლივ შეუდგებიან მშრომელი მასების მოთხოვნილებების გატარებას ცხოვრებაში.ჩინეთის რევოლიუციას უახლოეს მომავალში მოელის ახალი დაბრკოლებები, მაგრამ ბოლოს და ბოლოს საკითხს გადასწყვეტს მშრომელ მასების რევოლიუციონური თავდადება, მასების, რომლებიც სათავეში ჩაუდგება ჩინეთის კომპარტია, განთავისუფლებული თავისი ოპორტიუნისტული ხელმძღვანელობის შეცდომებისაგან.

„პრავდა".

16 ივლისი 1927 წ.

საბჭოთა პრესა

შრომის დაცვა და წარმოების რაციონალიზაცია

წარმოების რაციონალიზაციის კამპანიასთან დაკავშირებით შრომის დაცვის საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. დღემდე მრეწველობის აღდგენას და მუშების ნივთიერ კეთილდღეობის აწევას ექცეოდა მთავარი ყურადღება და ამ მხრივ საგრძნობი მიღწევები გვაქვს. მაგრამ ამავე დროს შრომის დაცვის საქმე ვერ იყო ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებული. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. ამასთან, უნდა შეიცვალოს შრომის დასაცავად წარმოებულ მუშაობის ხასიათიც. რაში უნდა გამოიხატოს ეს? გაზ. „ტრუდ" ამის შესახებ სწერს:

„თუ ჩვენ უკანასკნელ დრომდე, წარმოების მავნე ელემენტების აღმოფხვრის ნაცვლად. არა იშვიათად წარმოების მავნებლობის კომპენსაციის გზით მივდიოდით (სამუშაო დღის შემცირება, დამატებითი შვებულებების, სპეცხმის, რძის მიცემა და სხ.),—მრეწველობის რეკონსტრუქციის ეხლანდელ პერიოდში ეს გზა უკვე გამოუსადეგარია.

საჭიროა გადაჭრით შეიცვალოს როგორც სამეურნეო ორგანოების და პროფკავშირების დამოკიდებულება შრომის დაცვისადმი, ისე შრომის დაცვის ორგანოების მუშაობის მიმართულება. უნდა მოეღოს ბოლო შრომის დასაცავად წარმოებულ მუშაობის ისეთ ფორმებს, როცა შრომის პირობების გასაუმჯობესებლად გამოცემულ კანონების შესრულება ნახევრად ნებაყოფლობითი ხასიათს ატარებს. შრომის დაცვის ორგანოების და პროფკავშირების მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს შრომის პირობების სერიოზულ გაჯანსაღებას წარმოებებში და მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში მეორე რიგში უნდა დავაყენოთ შრომის უფლებრივი დაცვის საკითხები, რომელ დარგში მდგომარეობა ჩვენში საკმაოდ დამაკმაყოფილებელია".

რა უნდა გაკეთდეს ამ მიმართულებით პრაქტიკულად? გარდა შრომის დაცვის საჭიროებებზე საშუალებათა გადიდებისა და მათი რაციონალურად გამოყენებისა;

„ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა გამაფრთხილებელ მეთვალყურეობას, იმ წარმოებებზე, რომელნიც ეხლა შენდებიან, ან რომელთა კაპიტალური გადახალისება—შეკეთება ხდება. უშიშროების ტეხნიკის და სამრეწველო სანიტარიის წესების დარღვევას უნდა გამოეცხადოს გადაჭრილი ბრძოლა. კატეგორიულად უნდა აიკრძალოს წარმოებათა ახალი მშენებლობის პროექტების რეალიზაცია, სანამ ეს პროექტები შრომის დაცვის ორგანოებთან არ იქნებიან შეთანხმებული".

შრომის დაცვის დარგში მდგარი ეს ამოცანები პროფკავშირებისაგან მოითხოვენ სათანადო აპარატის შერჩევას და მომზადებას მათ გადასაჭრელად. პროფორგანოებმა უნდა გამოიმუშაონ მთელი რიგი კონკრეტული ზომები შრომის პირობების გასაჯანსაღებლად და შესაფერი ორგანოების საშუალებით გაატარონ ისინი. შრომის პირობების გაჯანსაღებაში ამავე დროს ცხოველად უნდა იყვენ დაინტერესებული სამეურნეო ორგანოები, ვინაიდან ამ გზით აიწევა შრომის ნაყოფიერება, შემცირდება სამუშაოს გაცდენის, მუშების დაავადების და უბედური შემთხვევები, რომლებიც საწარმოო დაწესებულებისაგან დღეს მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვენ,

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობა ჩინეთში

უხანი ნანკინის წინააღმდეგ

ხანკოუ, 15 ივლისი. უკანასკნელ დღეებში მასიური ორგანიზაციები გაძლიერებულ კამპანიას ეწევიან ნანკინის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის. კამპანიაში მონაწილეობას იღებენ პროფესიონალური კავშირები, გლეხთა კავშირები, რკინის-გზელთა და მეზღვაურთა კავშირები.

ორგანიზაციების მიერ გამოცემულ მოწოდებებში **ჩან-კაი-შის უწოდებენ რევოლიუციის მოღალატეს, იმპერიალისტების აგენტს და ახალ მილიტარისტს.** გომინდანის კომიტეტმა, ვაჭართა ასოციაციებმა და სხვა ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს ანალოგიური მოწოდებები. (ადს).

გომინდანის კრიზისი

შანხაი, 15 ივლისი. ხანკოუდან მიღებული ცნობებით, შინაგანი კრიზისი გომინდანში სულ უფრო და უფრო მწვავდება. სამხედრო ჯგუფის წარმომადგენელთა უმრავლესობამ, როგორც სჩანს, გადასწყვიტა საბოლოოდ გასწყვიტოს კავშირი კომუნისტებთან. ბევრ კორპუსში კომუნისტებმა, რომელთაც მეტწილად პოლიტიკური თანამდებობები ეჭირათ, გადაყენებული არიან.

ხანიანში ჯარებმა ზოგიერთ რაიონებს ალყა შემოარტყეს და აპატიმრებენ კომუნისტებს.

ხანკოუში ეშინიათ, რომ ადგილი ექნება ასეთ გამოსვლებს და მუშათა კავშირების დახურვას. უხანის რაიონში დახურულია ზოგიერთი გლეხთა კავშირები.

უხანის ცენტრის უმრავლესობა გომინდანში, როგორც სჩანს უთმობს სამხედრო ჯგუფს და არ ეწინააღმდეგება კომუნისტების დევნას. (ადს).

სიუ-ჩჟოუს ბედი

შანხაი, 15 ივლისი. რეიტერის სააგენტოს პეკინელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ სიუ-ჩჟოუ ისევ ნანკინის არმიის ხელში იმყოფება. ჩრდილოელების ცდა აეღოთ ქალაქი უკუგდებული იქნა. კორესპონდენტის სიტყვით ოშ-ნიუი-სიანის ჯარებმა რკინის გზის ხაზს მიაღწიეს. ჩრდილოეთის ჯარებმა ჩჟილის და შუნტეფუს პროვინციების საზღვრებისაკენ დაიხიეს. (ადს).

უ-პეი-ფუს მდგომარეობა

შანხაი, 15 ივლისი. **ხანკოუდან მიღებული ცნობებით, ფინ-იუი-სიანის ჯარებმა ნანკინიდან განდევნა უ-პეი-ფუ. უ-პეი-ფუს ჯარების ძალა მეტად უმნიშვნელოა. მისი არმიის უმრავლესობა გაიქცა და ფინ-იუი-სიანს შეუერთდა. უ-პეი-ფუს მდგომარეობას არა სანუგეშოდ სთვლიან.** (ადს).

ჩან-კაი-ში ამზადებს ხანკოუზე შეტევას?

პეკინი, 15 ივლისი. ამერიკული ორგანო „პეკინ ლიდერი" იუწყება, რომ სამხრეთის ჯარები, რომლებიც დგანან ტიანძინ-პუკოუს რკინის გზაზე, გადაჰყავთ ამ რაიონიდან. გაზეთის ცნობით, პირველი არმია უკვე ჩამოვიდა პუკოუში და ელის აქედან გადაგზავნას მდინარე იანძი-ზე. გაზეთი ირწმუნება, რომ „ჩან-კაი-შის მიზნათ აქვს ჩანშას რაიონში სამი კორპუსისთვის თავის მოყრა, რომ დაიწყოს ენერგიული შეტევა ხანკოუზე". (ადს).

მოძრაობა იაპონელების წინააღმდეგ

შანხაი, 15 ივლისი. იაპონური გაზეთი „მაინიჩი" ხაზს უსვამს იმ მდგომარეობას, რომ **ანტი-იაპონური მოძრაობა საშიშ ხასიათს ღებულობს.** პიკეტებმა კონფისკაცია უყვეს ბამბის დიდ პარტიას, შეფასებულს 40.000 დოლარით, რომელიც გადუგზავნა იაპონიის ერთ-ერთმა ფირმამ ჩინელ ვაჭარს. ჩინელი მუშები, რომლებსაც გადმოჰქონდათ ეს ბამბა და ჩინელი ვაჭარი, რომელმაც ის იყიდა იაპონურ ფირმისაგან, დაპატიმრებული არიან. ამ დღეებში განზრახულია იაპონელ ვაჭრების კრების მოწვევა ბოიკოტთან საბრძოლველად ღონისძიებათა შემუშავების მიზნით. (ადს).

ინგლისის გემების ბოიკოტი

შანხაი, 15 ივლისი. გრძელდება ინგლისის გემების ბოიკოტი, რომლებიც დადიან კანტონსა და გონკონგს შუა. (ადს).

ჩან-ძო-ლინის და ენ-სი-შანის მოლაპარაკება

პეკინი, 15 ივლისი. ტოხოს სააგენტო იუწყება, რომ 13 ივლისს პეკინში ჩამოვიდა შენსის პროვინციის მართველის ენ-სი-შანის წარმომადგენელი ბაგუი-ფანი. ბა-გუი-ფანმა ინახულა ჩან-ძო-ლი-ნი და განუმარტა მას ენ-სი-შანის თვალსაზრისი შექმნილ მდგომარეობაზე. ენ-სი-შანი გამოსთქვამს სურვილს, რომ ჩან-ძო-ლინმა „შესცვალოს თავისი წინანდელი პოზიცია და გააუქმოს უზენაესი მმართველობის რეჟიმი, მშვიდობიანობის დასამყარებლათ".

უცხოეთის კაპიტალის პროტესტი

შანხაი, 15 ივლისი. ნანკინის მთავრობის უკანასკნელმა ზომებმა საგადასახადო პოლიტიკის დარგში, შანხაიდან ვერცხლის გატანის აკრძალვამ და 60 მილიონიანი სესხის ობლიგაციების გავრცელებამ, რომელიც გამოშვებულია მარილის მონოპოლიის უზრუნველყოფით დიდი მღელვარება გამოიწვია შანხაის უცხოელთა სავაჭრო წრეებში.

გაზეთი **ნორძ ჩაინა დეილი ნიუზ"** აღნიშნავს, რომ უცხოელთა პროტესტი ანგარიშ გაუწეველი რჩება და საერთოდ მათ ფინანსიურ ინტერესებს მხედველობაში არ იღებენ.

შედგა შანხაის სავაჭრო პალატის კომისიის სხდომა, რომელზედაც მონაწილეობა მიიღეს: ამერიკის, ბელგიის, საფრანგეთის, გერმანიის, გოლანდიის, იტალიის, იაპონიის და შვეციის სავაჭრო პალატების წარმომადგენლებმა.

სხდომამ საპროტესტო რეზოლიუცია გამოიტანა „არა კანონიერ ზედმეტ გადასახადების და ფუფუნების საგნებზე საბაჟო გადასახდების შემოღების" გამო.

კრებამ პროტესტი გადასცა კონსულთა კორპუსის უხუცეს—შეერთებული შტატების კონსულს. (ადს).

იაპონიის ჯარებთან მყოფ მეთვალყურეს დაპატიმრება

პეკინი, 15 ივლისი. ტოხოს კორესპონდენტი ცინდაოდან იუწყება, რომ **ნანკინის მთავრობის მიერ შანდუნში იაპონიის ჯარების მეთვალყურედ გამოგზავნილი მო-ჩინ-დაო დაპატიმრებულია ჩინური პოლიციის მიერ და მოთავსებულია ციხეში.** (ადს).

ამერიკის მუშათა დელეგაცია მოემგზავრება

საბჭოთა კავშირში

ნიუ-იორკი, 15 ივლისი. ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარე **გრინი** კვლავ გამოვიდა პროფკავშირების დელეგაციის საბჭოთა კავშირში გაგზავნის წინააღმდეგ. გრინის სიტყვებით, დელეგატებს არა აქვთ ოფიციალური ნებართვა იყვენ ამერიკის მუშათა მოძრაობის წარმომადგენელნი. გრინი ბრალს სდებდა დელეგაციას იმაში, რომ ის მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირის ცნობას შეერთებულ შტატების მიერ.

დელეგაცის შემადგენლობა ჯერ კიდევ არაა გამოქვეყნებული. მაგრამ გამორკვეულია, რომ დელეგაციის შემადგენლობაში შედიან რკინის-გზის კონდუქტორების კავშირის თავმჯდომარე, მემანქანეების კავშირის ყოფ. თავმჯდომარე, რკინის-გზის ტელეგრაფის მუშაკების კავშირის თავმჯდომარე, მემანქანეებისა და ცეცხლფარეშთა კავშირის ვიცე-თავმჯდომარე, „ლოკომოტივ ინჟინერო ჟორნალ"-ის რედაქტორი, არტისტების ფედერაციის თავმჯდომარე და მთელ რიგ პროფესიონალურ ჟურნალების თანამშრომლები. დელეგაციას თან გაჰყვება პროფესორ—ეკონომისტების ჯგუფი.

დელგაციის ნიუ-იორკიდან გამომგზავრება განზრახულია ივლისის უკანასკნელ რიცხვებში. (ადს).

ინგლისის მუშების მოვალეობა

ლონდონი, 15 ივლისი. დამოუკიდებელი მუშათა ორგანო „ნიუ ლიდერ" ეხება საბჭოთა კავშირში ომის საფრთხით შექმნილ განწყობილებას.

წერილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინგლისის მუშებს დიდი პასუხისმგებლობა აწევს იმ გავლენის გაძლიერების საქმეში, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომლობას რუსეთსა და ევროპას შორის.

„თუ ინგლის-რუსეთის კომიტეტი შესწყვეტს არსებობას, ნათქვამია წერილში, ეს ტრაღედიის თანაბარი იქნება. თუ ინგლისის მუშათა მოძრაობა მიბაძავს ინგლისის მთავრობის მაგალითს და გასწყვეტს კავშირს რუსეთთან, მაშინ ჩვენ დაგვეკისრება ნაწილი პასუხისმგებლობისა იმ კატასტროფისათვის, რომელიც შეიძლება მოხდეს. მდგომარეობა მოითხოვს არა ურთიერთობის გაწყვეტას, არამედ უფრო გადამჭრელ ღონისძიებებს მთლიანობის უზრუნველსაყოფად". (ადს).

საბჭ. კავშირის ახალი წარმომადგენელი ფინეთში

ჰელსინგფორსი, 15 ივლისი. ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ახლად დანიშნული სრულუფლებიანი წარმომადგენელი ფინეთში **ალექსანდროვსკი.** ახალ ელჩს სადგურზე შეხვდენ ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები და სრულუფლებიან წარმომადგენლობის პასუხისმგებელი მუშაკები. (ადს).

მენშევიკ-ჟანდარმები

ბელგიის პარლამენტში სცემეს კომუნისტ - დეპუტატებს

პარიზი, 15 ივლისი. ბელგიის პარლამენტი შეუდგა სამთო მრეწველობაში საფაბრიკო ინსპექციის შემოღების შესახებ, კანონპროექტის განხილვას. კანონპროექტი შედგენილია ისე, რომ ინსპექცია ბიუროკრატიული ხასიათის მატარებელი იქნება.

სოციალისტები ითხოვენ კანონპროექტის დაუყოვნებლივ მიღებას, რადგან მეწარმეებიც თანხმობას აცხადებდენ მის გატარებაზე.

კომუნისტური დეპუტატი **ჟაკმოტი** კანონპროექტის წინააღმდეგ გამოვიდა, მოითხოვა მისი გადამუშავება და ინსპექციაში მუშათა დელეგაციების დაშვება. **ჟაკმოტმა ბრალი დასდო სოციალისტებს მუშათა ინტერესების ღალატში.** ვანდერველდე და სოციალისტები სიტყვას აწყვეტინებდენ ჟაკმოტს და აღნიშნავდენ, რომ ის ხელს უშლის კანონპროექტის მიღებას, რომელიც „აუმჯობესებს" მუშათა მდგომარეობას.

კამათის დროს სოციალისტი **სამინი და დელატრი** მუშტი - კრივით მივარდნენ **ჟაკმოტს.** ერთი მათგანი იჭერდა მას, ხოლო მეორე ზურგში სცემდა. ჟაკმოტის დასახმარებლად გამოქცეული მეორე კომუნისტური დეპუტატი **ოვერსტრატენი** სოციალისტებმა დააკავეს და სცემეს. სხდომა შეწყდა და ჟაკმოტმა თავისი სიტყვა მხოლოდ სხდომის განახლების შემდეგ დაასრულა. კანონპროექტი მიღებულია. კომუნისტებმა კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღეს. (ადს)

უკანასკნელი ცნობები

პოლიტიკური კრიზისი უხანში

ხანკოუ, 16 ივლისი. პოლიტიკური კრიზისი უხანში უახლოვდება თავის დასასრულს. ნაციონალური მთავრობის მრჩეველი ბოროდინი გაემგზავრა დასასვენებლად აგარაკ გულიზე, ცუციანის ახლოს. ზოგიერთების აზრით ბოროდინი გაემგზავრა იმიტომ, რომ თავი იჩინა უთანხმოებამ მასა და მთავრობას შორის საშინაო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხების შესახებ. სხვების აზრით კი უხანის მთავრობა დასთანხმდა ფინ-იუი-სიანის და სხვების მოთხოვნილებაზე და მისცა ბოროდინს შვებულება. როგორც სჩანს ცენტრის უმრავლესობამ გადასწყვიტა გაითიშოს კომუნისტებს და უჩვენოს ამის განსახორციელებლად სათანადო გზას. როგორც გადმოსცემენ განზრახული იყო გომინდანის ცეკას წევრთა კრებაზე, რეზოლიუციის წამოყენება, რომლის თანახმად, დღევანდელი კრიზისის თავიდან ასაცილებლად მოითხოვდნენ კომუნისტების გაძევებას მთავრობიდან, პარტიის უმაღლესი ორგანოებიდან და არმიიდან და დროებით გომინდანიდანაც. როგორც ახლა იუწყებიან ზოგიერთების ოპოზიციონერობამ (ოპოზიციაში იმყოფებიან აგრეთვე სუნ-იატ-სენის ქვრივი და ევგენი ჩენი) ხელი შეუშალა ამ რეზოლიუციის დაუყოვნებლივ გატარებას. წინასწარ კრებებზე იქნა გამოტანილი დადგენილება, რომლის ძალით უნდა იქნეს მოწვეული ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმი აღნიშნული საკითხის განსახილველად. თუ როგორ შეხვდენ სამხედრო წრეები საკითხის ასეთ გადადებას ჯერ ძნელი სათქმელია. (ადს)

„უორკერ ლაიფ“-ის ბიულეტენი

ლონდონი, 15 ივლისი. ინგლისის კომპარტიის ორგანომ „უორკერს ლაიფმა“ გამოსცა სპეციალური საინფორმაციო ბიულეტენი, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა კავშირისადმი და ჰქვია „წითელი ვარსკვლავი“.

ბიულეტენი წარმოადგენს ოთხ გვერდიან გაზეთს. პირველ გვერდზე მოთავსებულია წითელი არმიის პირველ მაისის აღლუმის სურათები, საბჭოთა ბელადების ფოტოგრაფიები და მუშათა დემონსტრაციის სურათები.

ბიულეტენში გაშუქებულია შემდეგი მთავარი საკითხები: საბჭოთა კავშირის მდგომარეობა და მუშათა პარტიის ლიდერების პოზიცია საბჭოთა კავშირის მიმართ და ომის საშიშროება. (ადს)

ამერიკის ნაღმოსნები გელსინგფორსში

გელსინგფორსი, 15 ივლისი. შეერთებული შტატების საელჩომ გელსინგფორსში საგარეო საქმეთა მინისტრს შეატყობინა ამერიკის ორი ნაღმოსნის ჩამოსვლის შესახებ გელსინგფორსში, ნაღმოსნებს აგვისტოში მოელიან.

გადაფრენა კალიფორნია — ჰავაის კუნძულებზე

ნიუ-იორკი, 15 ივლისი. მფრინავი სმიტი, ბრონტემთან ერთად აფრინდა 14 ივლისს ოკლენდში (კალიფორნია) და გაემგზავრა ჰავაის კუნძულების მიმართულებით (ადს).

იტალია იარაღდება

რომი, 15 ივლისი. გაზეთ „იმპერო“-ს ცნობებით 1929 წლისათვის იტალიას განზრახვა აქვს თავისი საჰაერო ფლოტი გაადიდოს 3.000 აეროპლანამდე, ნაცვლად 1.800-სა, რომელიც მას ამჟამად ჰყავს. (ადს)

ისევ „მოსკოვის ხრიკები“

ლონდონი, 15 ივლისი. აქ მყოფმა ავსტრიის ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა მელკუსმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ვენაში მომხდარი ამბების სათავეში დგანან დიდათ ნიჭიერი ხალხი, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ „მოსკოვთან“. „მე მრწამს — სთქვა მელკუსმა — რომ დადგება დღე, როდესაც იტალიის ან უნგრეთის ჯარები აღადგენენ ავსტრიაში წესრიგს“. (ადს)

ავსტრიის მთავრობის შიში

ბერლინი, 16 ივლისი. ბრატსლავადან მიღებულ ცნობებით, მიუხედავად დღევანდელი დღის შედარებითი სიწყნარისა „მთავრობისა და ბურჟუაზიული წრეები ვენაში დიდი შიშით შეჰყურებენ ხვალინდელ დღეს. ამ დღეს ვენაში ყოველმხრიდან მოელიან მუშათა მასებს. ვენაში ყველა ქალაქებიდან თავს იყრის „თავდაცვის კავშირის“ წევრები (ადს).

შუბლმაგრები გამარჯვებას დღესასწაულობენ

ლონდონი, 15 ივლისი. საზოგადოებამ „ხელები შორს ინგლისიდან“ მოაწყო გუშინ კრება „საბჭოთა ორგანიზაციების ინგლისიდან დაზვერვის აღსანიშნავად“. ლოკერ ლემპსონი თავის სიტყვაში აქებდა გაზეთ „დეილი მეილს“ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიისათვის. (ადს)

ბათომის ქალაქის საბჭოს პლენუმი თავდაცვის შესახებ

ბათომი, 16 ივლისი. ბათომის ქალაქის საბჭოს გაფართოებულ პლენუმზე საბჭოთა კავშირის თავდაცვის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვაინერი. მოხსენების შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელიც ასე თავდება: „ჩვენი პასუხი იმპერიალისტების მიმართ გარკვეულია—ჩვენ მთელი ძალღონით წინ წავსწევთ სოციალისტურ მეურნეობას. ფხიზლად დავაკვირდებით ჩვენი კლასობრივი მტერის ყოველ ნაბიჯს, შევეცდებით ქვეყნის თავდაცვის გაძლიერებას და მჭიდრო კავშირს გავაბამთ მშრომელ მასებისა და წითელ არმიას შორის.

ბათომის ქალაქის საბჭო აჭარისტანის ყველა მშრომელს მოუწოდებს აქტიურ მუშაობისაკენ საბჭოთა კავშირის ძლევამოსილობის უფრო გასაძლიერებლად“. (ადს).

თავდაცვის ფონდის გაძლიერება

ბათომი, 16 ივლისი. სახელმწიფოებრივი და პროფესიონალური ორგანიზაციებიდან და კერძო პირებიდან უკანასკნელ დღეებში დიდი შემოწირულება გროვდება თავდაცვის ფონდში. ბათომის ქალაქის საბჭომ თავდაცვის ფონდში გადარიცხა 3000 მანეთი. ფონდში შემოსულ თანხის რაოდენობამ უკვე გადააჭარბა რამდენიმე ათეულ ათას მანეთს. (ადს).

პოლონეთ-გერმანიის შეთანხმება

უმუშევრების შესახებ

ბერლინი, 15 ივლისი. გერმანიასა და პოლონეთის მთავრობებმა დასდვეს ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ამ ქვეყნების მთავრობები ვალდებულნი არიან აღმოუჩინონ იმ უმუშევრებს, რომლებიც არიან ხელშეკრულებაში მონაწილე ერთ-ერთ სახელმწიფოს ქვეშევრდომნი და სცხოვრობენ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ისეთივე დახმარება, როგორიც საკუთარ მოქალაქეებს. (ადს).

კონფლიქტი პილსუდსკის მთავრობასა და სეიმს შორის

პრესა სეიმის დათხოვნის წინა აღმდეგ

ვარშავა, 15 ივლისი. გაზეთები მკაცრად ილაშქრებენ სეიმის სესიის დახურვის წინააღმდეგ. „გაზეტა პორანა“ აცხადებს, რომ მთავრობამ სასწრაფოდ დახურა სესია, როცა დარწმუნდა, რომ სესხს ვერ მიიღებს, რომლის რატიფიკაციისათვისაც იყო მოწვეული სეიმი.

ოპოზიციონური პრესა აღნიშნავს, რომ „მთავრობის ასეთი თამაში სეიმთან სცემს პოლონეთის პრესტიჟს უცხოეთში“.

„უფლებათა დამცველი ლიგის“ კონფერენცია

პარიზი, 15 ივლისი. შესდგა ადამიანთა უფლების დამცველი ლიგის საერთაშორისო ფედერაციის ყოველწლიური კონფერენცია.

კონფერენციაზე ირჩეოდა მთელ რიგ ქვეყნებში დემოკრატიის შესუსტების და დიქტატურის გაძლიერების საკითხი. აქსენტიევმა და ზაგორსკიმ გაილაშქრეს საბჭ. კავშირის წინააღმდეგ. უნგრეთის სოციალისტმა შენდემ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ის ქვეყნები, სადაც ფაშისტური რეჟიმია დამყარებული, ინგლისსაქსონიის კაპიტალის კოლონიათ იქცევიან.

მიღებულ რეზოლიუციაში ლიგა პროტესტს აცხადებს თავისუფლებათა გაუქმების წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ ყველა ის ქვეყნები, რომლებიც ლიგაში მონაწილეობას არ ღებულობენ ემუქრებიან მშვიდობიანობას. რეზოლიუცია ლიგის ყველა სექციებს მოუწოდებს თავისუფლების აღდგენისაკენ. (ადს)

ვრანგელს არ უშვებენ ბულგარეთში

ვენა, 15 ივლისი. „ნეი ფრეი პრესე“-ს ცნობით, ვრანგელი ამ უკანასკნელ დროს ცდილობდა ბულგარეთის მთავრობისაგან ბულგარეთში ჩასასვლელი ვიზის მიღებას, მაგრამ ვიზის მიცემაზე მას უარი უთხრეს. (ადს).

ტრამვაის მუშების გაფიცვა ტოკიოში

ტოკიო, 15 ივლისი. გაიფიცა ტრამვაის 2.500 მოსამსახურე. გაფიცულები მოითხოვენ კომპანიის მიერ სამსახურიდან დათხოვნილ მუშათა მოძრაობის 18 მოღვაწის უკანვე დაბრუნებას, პოლიტიკურ პარტიებთან შეერთების თავისუფლებას და აყენებენ ეკონომიური ხასიათის მთელ რიგ მოთხოვნილებებს. გაფიცულებს შეუერთდა ტრამვაის მთავარ სამმართველოს მოსამსახურეები. (ადს).

კომუნალური არჩევნები

პოლონეთში

ვარშავა, 15 ივლისი. კომუნალურ არჩევნებში ქალაქ ჩელიადში, დომბროვის ქვანახშირის რაიონში. მემარცხენე მუშათა ბლოკმა მიიღო 18 მანდატი, პეპესმა—2, ბურჟუაზიულმა სესიამ—9. სხვა პარტიებს არ მიუღიათ არც ერთი მანდატი. (ადს).

ნავთის სინდიკატი და „სტანდარტ-ოილ“

ანგორა, 15 ივლისი. ოსმალეთში არსებულ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის ოფიციალური ბიულეტენი უარყოფს გავრცელებულ ხმებს ნავთის სინდიკატსა და კომპანია „სტანდარტ ოილი“-ს შორის შეთანხმების დადების შესახებ, რომლის მიხედვით თითქოს, ნავთის სინდიკატმა „სტანდარტ ოილს“ გადასცა მონოპოლიური უფლებები ოსმალეთში საბჭოთა ნავთის გაყიდვის შესახებ. (ადს).

ამერიკას ეშინია

საბჭოთა ნავთის მეტოქეობის

ნიუ-იორკი, 15 ივლისი. ამერიკელ ინჟინრების ყრილობაზე კოლორადოში, ამერიკის ნავთის ინსტიტუტის დირექტორმა კლარკმა განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებს მოელის მსოფლიო ნავთის ბაზარზე პირველობის დაკარგვის საფრთხე, რადგან მას გაუჩნდენ სერიოზული კონკურენტები. პირველი ადგილი მათ შორის უჭირავს საბჭოთა კავშირს, შემდეგ—სამხრეთ-ამერიკის სახელმწიფოებს—ვენეცუელას და კოლუმბიას. იზრდება ახალი კონკურენტი მესოპოტამიაში და სპარსეთში, სადაც ინგლისელი ნავთის მრეწველები განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ. განსაკუთრებით აშინებს კლარკს საბჭოთა ნავთის მრეწველობის განვითარების სწრაფი ტემპი.

„ომისა და რევოლიუციის შემდეგ,—განაცხადა კლარკმა,—საბჭოთა ნავთის მრეწველობამ დიდხანს ვერ შესძლო წელში გამართვა და საბჭოთა კავშირი სრულიად არ გამოდიოდა მსოფლიო ნავთის ბაზარზე. მაგრამ საბჭოთა კავშირს მოეპოვება ნავთის ისეთი დაუშრეტელი წყაროები, საბჭოთა მთავრობამ კი ისე გაადიდა ნავთის პროდუქცია, რომ უახლოეს ხანში საბჭოთა ნავთი გაბატონებულ ადგილს დაიჭერს მსოფლიო ნავთის ბაზარზე“.

მიუთითა რა საბჭოთა ნავთის კონკურენციის საფრთხეზე, კლარკმა მოითხოვა მთავრობისაგან ერთიანი სამრეწველო გეგმის შემოღება შეერთებული შტატების ნავთის მეურნეობაში და ნავთის მრეწველების გაერთიანება ერთიანი პროგრამის გარშემო.

„ეს მით უფრო აუცილებელი არის,—განაცხადა კლარკმა,—ნავთის გადაჭარბებით ამოღების გამო ყველა ქვეყნებში, მთელი მსოფლიოს ნავთის მრეწველობა კატასტროფის წინაშე დგას“.

უცხოეთში

მსოფლიო ნახშირის კრიზისი

ბურჟუაზიის და სოციალ-დემოკრატიის მიერ დიდი ამბით გამოცხადებულ კაპიტალიზმის სტაბილიზაციის დასახასიათებლად, მეტად საგულისხმოა მსოფლიო ნახშირის მრეწველობის მდგომარეობა.

ინგლისელ მემაღაროეთა გაფიცვამ გამოცოცხლება გამოიწვია მსოფლიო ნახშირის მრეწველობაში. ეს გამოცოცხლება გრძელდებოდა კიდევ ნახევარ წელიწადს გაფიცვის შეწყვეტის შემდეგ. ნახშირის მრეწველობის აღდგენა ინგლისში ნელ-ნელა ხდებოდა. ამოღებული ნახშირი პირველ ხანებში ხმარდებოდა გაფიცვის დროს გამოლეულ შინაური მარაგის შევსებას. კიდევ მეტი, გაფიცვის შეწყვეტის შემდეგ პირველი ექვსი თვის განმავლობაში ინგლისმა უცხოეთიდან შემოიტანა 4 ნახევარი მილიონი ტონა ნახშირი.

მარტში ნახშირის ამოღებამ გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში და პოლანდიაში მიაღწია სარეკორდო ციფრს. მაგრამ ჩეხო-სლოვაკიისა და პოლონეთის ნახშირის მრეწველობას უკვე მაშინ ემჩნეოდა მოახლოებული კრიზისის ნიშნები. ასე მაგალითად, უმუშევარ მემაღაროეთა რიცხვი პოლონეთში გაიზარდა 11 ათასი კაცით. აპრილიდან დაწყებული კი კრიზისმა თავი იჩინა ყველა ქვეყნების ნახშირის მრეწველობაში და ახლა მას უკვე ფართე ხასიათი აქვს მიღებული.

საქმე იმაშია, რომ ნახშირის ამოღებამ ინგლისში ამჟამად უკვე მიაღწია იმ დონეს რომელზედაც იგი იმყოფებოდა გაფიცვამდე. მაგრამ მომუშავე მემაღაროეთა რიცხვი ახლა 78 ათასით ანუ 7 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე გაფიცვამდე. სამუშაო დღის გადიდების წყალობით, თვითეულ ინგლისელ მემაღაროეზე ახლა 5 პროცენტით მეტი ამოღებული ნახშირი მოდის, ვიდრე გაფიცვამდე. ამან საშუალება მისცა ინგლისელ ნახშირის მრეწველებს დაეკლოთ საექსპორტო ნახშირის ფასები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ინგლისის ნახშირის ექსპორტს დიდი დაბრკოლებები ეღობება წინ.

მთელ რიგ საქვანახშირო რაიონებში, სადაც მემაღაროები იღებენ საექსპორტო ნახშირს, მუშები კვირაში მუშაობენ ხუთ დღეს. სამხრეთ უელსში მაღაროს პატრონები მოითხოვენ ხელფასის შემდგომ დაკლებას. ამ მოთხოვნილებას ისინი იმით ასაბუთებენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მათ არ შეუძლიათ მეტოქეობის გაწევა სხვა ქვეყნების ნახშირისათვის მსოფლიო ბაზარზე.

ნახშირის ამოღების აღდგენამ ინგლისში გავლენა იქონია სხვა ქვეყნებზეც. გერმანიაში ნახშირის მარაგი რურის მაღაროებში გაიზარდა 1,8 მილიონი ტონით, ბრკოლდება ნახშირის გატანა ზემო-სილეზიიდან. გერმანიის სინდიკატები იძულებული არიან უფრო და უფრო შეამცირონ ნახშირის ამოღება.

ასეთივე მდგომარეობაა საფრანგეთშიც, სადაც ჩრდილოეთის საქვანახშირო რაიონში ნახშირის მარაგი გაიზარდა 2 მილიონი ტონით. არა უკეთეს მდგომარეობაშია ბელგია, სადაც მაღაროს პატრონებს განზრახვა აქვთ შემოიღონ არა სრული სამუშაო კვირა.

მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატების ნახშირის მრეწველობაში სამი თვეა გრძელდება გაფიცვა, მსოფლიო ნახშირის მრეწველობის მდგომარეობას არ ემჩნევა გაუმჯობესება.

რა ზომებს იღებს ბურჟუაზია ნახშირის კრიზის წინააღმდეგ, რომელსაც თანდათანობით უფრო და უფრო მწვავე ხასიათი ეძლევა?

საფრანგეთს განზრახული აქვს შემოიღოს ახალი ტარიფი, რომლითაც ბაჟი შემოტანილ ნახშირზე მნიშვნელოვნად იქნება გადიდებული. ჯერ-ჯერობით კი საფრანგეთის მთავრობამ წინადადება მისცა რკინის გზებს ისარგებლონ მხოლოდ ადგილობრივი ნახშირით.

ესპანეთში შემოღებულია კონტროლი უცხოეთიდან შემოტანილ ნახშირზე. რკინის გზებს უფლება აქვთ უცხოეთიდან შემოტანილი ნახშირი მოიხმარონ მხოლოდ 10 პროცენტის ფარგლებში.

სხვა ქვეყნები ამცირებენ ფასს გასატან ნახშირზე და სამაგიეროდ ადიდებენ ფასებს შინაურ ბაზარზე.

ასეთია ნახშირის კრიზისთან ბრძოლის კაპიტალისტური მეთოდები, რომელიც მხოლოდ ხელს უწყობს ამ კრიზისის გამწვავებას და ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეანელებს მას.

ტ. ს.

ავდრები

ქარიშხალი საქსონიაში

ბერლინი, 15 ივლისი. ერცგებირგეს აღმოსავლეთ ნაწილში მოვარდა ქარიშხალი ნიაღვრით, რომელმაც საგრძნობი ზიანი მიაყენა მოსახლეობას. უკანასკნელ ქარიშხალის დროს დაზიანებულია 70 ხიდი. (ადს)

წყალდიდობა ანხოის პროვინციაში

შანხაი, 15 ივლისი. მდინარე იანცზის ადიდების გამო დიდათ დაზარალდა ანხოის პროვინციის ნაწილი. ათასამდე კაცი უსახლკარო დარჩა. (ადს)

საბჭოთა კავშირში

სომხეთი

გრიგალი

ნიჟნი-ნოვგოროდი, 16 ივლისი. ამას წინათ სოფ. იაკოვლევსკში, სერგაჩის მაზრაში, ამოვარდა ძლიერი გრიგალი. გრიგალმა ფესვიანად ამოგდო უზარმაზარი ხეები და დაანგრია რამდენიმე სახლი. აგლეჯილი სახურავები ქარმა გაიტაცა ხუთი ვერსის მანძილზე (ადს).

პროფესორი სკრიაბინი— დამსახურებული მეცნიერი

მოსკოვი, 16 ივლისი. რ. ს. ფ. ს. რ. სახკომსაბჭომ მიანიჭა ვეტერინარიის განთქმულ მოღვაწეს და მსოფლიო მნიშვნელობის ვეტერინარიის ინსტიტუტის ორგანიზატორს —პროფესორ სკრიაბინს დამსახურებული მეცნიერის სახელწოდება. (ადს).

კომკავშირის აღლუმი

მოსკოვი, 16 ივლისი. 15 ივლისს მოსკოვში მოეწყო კომკავშირის გრანდიოზული აღლუმი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 50.000 კაცმა. კომკავშირელებმა მწყობრი რიგებით გაიარეს წითელი მოედნით მოსსაბჭოს სახლის წინ, სადაც მათ მიესალმენ ამხ. უგლანოვი, უხანოვი და ჩაპლინი. აღლუმში მონაწილეობას ღებულობდენ სანიტარულ, მსროლელთა და სამხედრო რაზმები (ადს).

საზღვარგარეთის ბაზრისაგან დამოკიდებულების შესასუსტებლად

მოსკოვი, 16 ივლისი. რუსეთის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პლენუმმა დაადგინა საერთაშორისო გართულებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, გააფართოვოს მრეწველობის ის დარგები, რომლებიც ამზადებენ საქონელს, რომელიც აქნამდე შემოდიოდა საზღვარგარეთიდან, რომ ამით შესუსტებული იქნეს დამოკიდებულება საზღვარგარეთელ ბაზრისაგან. გადაწყვეტილია აგრეთვე გადიდებულ იქნეს საექსპორტო საქონლის გამოშვება (ადს).

ფასების დაკლება მაუდზე და ჩითზე

მოსკოვი, 16 ივლისი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაადგინა მოხდინოს საბითუმო დაკლება 1 ივლისიდან მაუდზე, საშუალოთ 7.7 პროცენტით. საცალო ფასების დაკლება მაუდზე სხვადასხვა რაიონში უნდა დასრულდეს 20 ივლისიდან 25 აგვისტომდე.

ვაჭრობის სახკომისარიატმა დაადგინა აგრეთვე დაკლებული იქნეს ფასები ჩითზე საშუალოდ 4,14 პროცენტით. ეს დაკლება სხვადასხვა რაიონში უნდა გატარდეს 30 ივლისიდან 10 სექტემბრამდე (ადს).

თვითმფრინავი „წითელი შინამრეწველი“

პავლოვო-ოკაზე, 16 ივლისი. პავლოვის მაზრის შინამრეწველებმა გადასდვეს 7.000 მანეთი თვითმფრინავ „წითელი შინამრეწველის“ ასაგებათ. (ადს).

ცენტრალური მუშსექციის ცირკულიარი

მოსკოვი, 16 ივლისი ლენინგრადში, ბაქოში, კიევში, სარატოვში, ტულაში, სიმფეროპოლში და სხვა ქალაქებში ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც მომხმარებელი კოოპერაციის პაის მეპატრონეები აძლევდენ თავიანთ საწევრო წიგნაკებს კერძო ვაჭრებს. უკანასკნელები სარგებლობდნენ წიგნაკებით, კოოპერატივში სადეფიციტო საქონლის შესაძენათ.

ცენტრალურმა მუშსექციამ გასცა ცირკულიარული განკარგულება, რომ ასეთი წევრები დაუყოვნებლივ იქნენ გამორიცხული კოოპერატივებიდან, აძრული იქნეს შუამდგომლობა პროფკავშირებიდან მათი გამორიცხვის შესახებ და ზოგიერთ შემთხვევაში მოაწყონ მათი საზოგადოებრივ-საჩვენებელი გასამართლებაც (ადს).

სანიტარული ინფორმაციის საკავშირო ბიურო

მოსკოვი, 14 ივლისი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო დაარსოს რ. ს. ფ. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან სანიტარული ინფორმაციის საკავშირო ბიურო.

ბიუროს მოვალეობა იქნება შეკრიბოს ცნობები საბჭოთა კავშირის სანიტარულ მდგომარეობის შესახებ და სასწრაფოდ მიაწოდოს მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახ. კომისარიატებს და უცხოეთის მთავრობებს ცნობები ეპიდემიურ ავადმყოფობათა გაჩენის შესახებ (ადს).

პროფკავშირების ესკადრილიის ფონდი

მოსკოვი, 16 ივლისი. პროფკავშირთა საკ. ცენტრალური საბჭო იუწყება, რომ 14 ივლისამდე ყველა 24 კავშირის და გაზეთ „გუდოკის“, პროფკავშირების ესკადრილიის ფონდში შემოვიდა სულ 432.865 მანეთი (ადს).

თვითმფრინავი „იაროსლაველი ფეიქარი“

იაროსლავლი, 16 ივლისი. საფეიქრო ქარხნის „კრასნი პერეკოპის“ მუშა-მოსამსახურეებმა გადასდვეს დღიური ჯამაგირი თვითმფრინავ „იაროსლაველი ფეიქარის“ ასაშენებლათ. გადადებული თანხა 20.000 მანეთს აღემატება (ადს).

რკინის გზების გამოკვლევა საბჭოთა კავშირის სამხრეთ ნაწილში

მოსკოვი, 16 ივლისი. გზათა სახალხო კომისარიატის კომისიამ გზათა სახალხო კომისრის მოადგილეს სულიმანოვის მეთაურობით დაამთავრა 8 რკინის გზის გამოკვლევა საბჭოთა კავშირის სამხრეთ ნაწილში. რკინის გზების საერთო მდგომარეობა და მათი საექსპლოატაციო მუშაობა ცნობილია დამაკმაყოფილებლად. აღნიშნულია ნაკლი მხოლოდ რკინის გზათა სახელოსნოების მუშაობაში (ადს).

სამხრეთ სლავიის სტუდენტთა დელეგაცია

მოსკოვი, 16 ივლისი. საბჭოთა კავშირში ჩამოსული სამხრეთ სლავიის სტუდენტთა დელეგაცია მოსკოვში დარჩება 1 კვირას და გაეცნობა ზოგიერთ ქარხნის, დაწესებულების და სახალხო კომისარიატის მუშაობას. დელეგაცია ესტუმრება აგრეთვე ხარკოვს, ტულას, ყირიმს, დონბას და ლენინგრადს (ადს).

ინგლისის პიონერების მოგზაურობა საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 16 ივლისი. ინგლისის პიონერთა დელეგაციის საბჭოთა კავშირში საექსკურსიოთ გამგზავრების გამო, კომკავშირის ცეკასთან არსებულმა პიონერთა ცენტრალურმა ბიურომ მიმართა საბჭოთა კავშირის ყველა პიონერებს და მშრომელთა ბავშვებს მოწოდებით, ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ ინგლისის პიონერებს საბჭოთა კავშირის ბავშვების ცხოვრების გაცნობაში (ადს).

ხორბლის დამზადება

მელიტოპოლი, 16 ივლისი. მელიტოპოლში და ბერდიანსკში დაწყებულია ხორბლის დამზადება. ხორბლის დამმზადებელი ორგანიზაციები იუწყებიან, რომ ახალი მოსავლის ხორბალი უმაღლესი ხარისხისაა (ადს).

ათი აეროპლანი კოოპერაციის ხარჯზე

ხარკოვი, 12 ივლისი. თავდაცვის კვირეულის ჩამტარებელ სრულიად უკრაინის კომისიის სხდომაზე უკრაინის კოოპერატიული ცენტრის (ვუკოპსპილკა) წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამომხმარებლო კოოპერაციამ გადასწყვიტა ააგოს ესკადრილია 10 თვითმფრინავის შემადგენლობით. საშუალებები ორი თვითმფრინავის ასაგებად უკვე შემოვიდა „ვუკოპსპილკის“ გამგეობისაგან და ხარკოვის რაიონულ კავშირისაგან.

თავდაცვის კვირეულის ჩამტარებელმა უკრაინის კომისიამ აუცილებლად სცნო, რომ მოსავლის დღესასწაული წელს დაუკავშირდეს საბჭოთა კავშირის თავდაცვის გაძლიერების კამპანიას. მოსავლის დღის ერთ-ერთი ლოზუნგი უნდა იყოს: „პირველი ძნა—თავდაცვისათვის“.

მიღება ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებლებში

ლენინგრადი, 16 ივლისი. განცხადებათა რაოდენობამ ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებლებში წელს, ორნახევარჯერ გადაამეტა შარშანდელს. 2.000 თავისუფალ ადგილზე შემოსულია 25.000 განცხადება (ადს).

საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს აპარატის გამოკვლევა

მოსკოვი, 15 ივლისი. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაამთავრა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს აპარატის გამოკვლევა.

გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ ს. მ. უ. ს. აპარატი ძლიერ რთულია. ადგილი აქვს პარალელიზმს საბჭოს ცალკე ნაწილებსა და სხვა სახალხო კომისარიატებს შორის, არსებობს ზედმეტი ინსტიტუტები. ს. მ. უ. ს. აპარატი იქნება უფრო გამარტივებული და შემცირებული. (ადს).

გერმანიის პიონერების დელეგაცია

დნეპროპეტროვსკი, 15 ივლისი. დონის ბასეინიდან ჩამოვიდა გერმანიის პიონერების დელეგაციის მეორე ნაწილი. ყირიმში გამგზავრების წინ, დელეგაციამ მიმართა ინგლისის ბავშვების დელეგაციას, რომელიც ამჟამად საბჭოთა კავშირში იმყოფებიან, წერილით, რომელშიაც ნათქვამია:

„თქვენ, ალბად, გაიგონებდით იმის შესახებ, რომ ინგლისი ამზადებს ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. თქვენ იმპერიალისტებს სურთ მსოფლიოში ერთად-ერთი საბჭოთა სახელმწიფოს დამარცხება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენ, ინგლისის მუშების ბავშვები, ინგლისში დაბრუნების შემდეგ მოუყვებით ყველა მუშებსა და მათ ბავშვებს ყველაფერს, რაც ნახეთ საბჭოთა კავშირში და მით ხელს შეუწყობთ ომის თავიდან აცილებას“ (ადს).

სომხეთის კომპარტიის ცეკას პლენუმი

ოპოზიციის გამთიშველი პოლიტიკის შესახებ

(რეზოლიუცია ამხ. ამბარცუმიანის მოხსენების გამო)

ერევანი, 15 ივლისი. სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის მეხუთე პლენუმი, მოისმინა რა მან ამხ. ამბარცუმიანის მოხსენება კომინტერნის აღმასკომის მე-8 პლენუმზე ოპოზიციის გამოსვლის შესახებ, აღიარებს:

ა) რომ ოპოზიცია, რომელიც არ სცნობს თავის შეცდომებს და რომელმაც სრული სიცხადით და თანამიმდევრობით გამოააშკარავა თავისი სოციალ - დემოკრატიული გადახრა, — გარკვევით დაუკავშირდა კომუნიზმის მტრებსა და რენეგატებს (რუტ ფიშერი, მასლოვი, სინდიკალისტები, სუვარინიზმი) და არაჩვეულებრივად ფართოდ ანვითარებს თავის ფრაქციულ მუშაობას.

ბ) ოპოზიციის გაკოტრებული ბელადები განაგრძობენ გააფთრებულ ცილის წამების კამპანიას პარტიისა და მისი ლენინურ ხელმძღვანელ შტაბის წინააღმდეგ და მიმართავენ ისეთ მეთოდებსა და ხერხებს, რომლებიც უჩვეულოა ჩვენი მრავალწლიანი ისტორიის მქონე პარტიის პრაქტიკისათვის.

გ) გაარღვია რა უხეშად მიღებული ვალდებულება — დამორჩილებოდა პარტდისციპლინას და დაეცვა პარტიის მთლიანობა, ოპოზიცია განაგრძობს მუშაობას ფრაქციის ორგანიზაციულად ჩამოსაყალიბებლად და აღებული აქვს კურსი პარტიის შიგნი ფრაქციის ლეგალიზაციისაკენ.

დ) მიაჩნია, რა ოპოზიციის ფრაქციული მუშაობა, განსაკუთრებით საერთაშორისო მდგომარეობის გართულების და ბრძოლის სიჩქარეთა ზრდის მომენტში, პარტიისათვის და შრომის ერთად ერთ რესპუბლიკისათვის ზურგში ლახვარის ჩაცემად, პლენუმი გადადებულ აუცილებლობად სთვლის, რაც სწრაფად, სავსებით და დაუნდობლად იქნეს აღმოფხვრილი როგორც სოციალ - დემოკრატიული გადახრები და მიმდინარეობანი ჩვენს პარტიაში, ასევე იდეოლოგიურად და ორგანიზაციულად ჩამოყალიბების ცდები, აგრეთვე [illegible] ხელმძღვანელობაზე [illegible] თავდასხმებიც.

3) მეხუთე პლენუმი კიდევ და კიდევ ავალებს პრეზიდიუმს განავითაროს მაქსიმალური ენერგია სისტემატიურ გეგმაშეწონილ მუშაობაში ოპოზიციის შეცდომების, სოციალ - დემოკრატიული ხასიათისა და შექმნილი ფრაქციის დეზორგანიზატორულ და რასკოლნიკურ ბუნების გამოსააშკარავებლად.

4) მეხუთე პლენუმი სავსებით უერთდება კომინტერნის აღმასკომის მე-8 პლენუმის რეზოლიუციას და ავალებს პრეზიდიუმს მოაწყოს და ჩაატაროს კამპანია უკანასკნელი პლენუმის ყველა გადაწყვეტილებათა სისტემატიურ და დეტალურ შესწავლისათვის.

5) აღნიშნავს, რა ოპოზიციის გამოცოცხლებას ერევნის ორგანიზაციის რიგებში და ოპოზიციის ფრაქციულად ჩამოყალიბების დასაწყისს (სამთა დეკლარაცია მე-5 პლენუმზე) მეხუთე პლენუმი განსამარტებელ კამპანიასთან ერთად (მე-3 მუხლი) წინადადებას იძლევა მიღებულ იქნეს გადამჭრელი ზომები, პარტიიდან გარიცხვამდე ფარქციული გამოსვლების ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ, პარტდისციპლინის დარღვევის წინააღმდეგ და საკავშირო კომპარტიის ხელმძღვანელ ორგანოებისა და კომინტერნის დადგენილებათა დამახინჯებისა და სახელის გატეხის წინააღმდეგ.

6) მეხუთე პლენუმი სავსებით იწონებს და, დროულად მიაჩნია ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის გადაწყვეტილება დააყენოს ს. კ. პ. (ბ) ც. კ. და ც. ს. კ. მახლობელ გაერთიანებულ პლენუმზე საკითხი ამხ. ზინოვიევისა და ტროცკის გარიცხვის შესახებ ცენტრალურ კომიტეტის შემადგენლობიდან. (ადს)

ფრიდა ატლი თბილისში

განათლების კომისარიატში

ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის საუნივერსიტეტო ფედერაციის ვიცე - პრეზიდენტი **ფრიდა ატლი** გუშინ დილით, ესტუმრა განათლების სახალხო კომისარიატს, სადაც საუბარი ჰქონდა საქართველოს განათლების სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. **მარიამ ორახელაშვილთან**.

საუბრის დროს ფ. ატლის აინტერესებდა, თუ როგორ არის დაყენებული საქართველოში სახალხო განათლების საქმე, რამდენი იხარჯება სახალხო განათლებაზე, რამდენი მოწაფეა სასწავლებლებში, როგორ სწარმოებს მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ და სხვა.

ყველა ამ კითხვებზე ფ. ატლის ამომწურავი ცნობები მიაწოდა ამხ. მარიამ ორახელაშვილმა.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

განათლების კომისარიატიდან ფ. ატლი გაემგზავრა სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც დაათვალიერა მუზეუმი და ბიბლიოთეკა.

უნივერსიტეტის დათვალიერებამ ფ. ატლიზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. განსაკუთრებით მოეწონა მას უნივერსიტეტის მდიდარი ბიბლიოთეკა.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ფ. ატლიმ თავისი შთაბეჭდილებების შესახებ განაცხადა:

— მე ძალიან ვწუხვარ, რომ ისეთ დროს მოვხვდი საქართველოში, როდესაც მეცადინეობა სასწავლებლებში დამთავრებულია. მიუხედავათ ამისა, დღევანდელი საუბრიდან განათლების სახალხო კომისარის მოადგილესთან მე სრული წარმოდგენა მივიღე თქვენი განათლების სისტემაზე.

განსაკუთრებით გაკვირვებული დავრჩი მე, როდესაც გავიგე, რომ საქართველოში რესპუბლიკის ბიუჯეტის 46 პროც. იხარჯება სახალხო განათლების საქმეზე, მაშინ, როდესაც ინგლისი მეტად უმნიშვნელო თანხას ხარჯავს ამ საქმეზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოთა კავშირში ყველას შეუძლია უმაღლეს სასწავლებელში შესვლა; ინგლისში მუშებს საშუალება არ აქვთ შევიდენ უნივერსიტეტებში უმაღლესი ცოდნის მისაღებად. მათთვის თუმცა დაარსებულია სპეციალური კოლეჯები, მაგრამ ისინი ვერ იტევენ უმაღლესი ცოდნის მიღების ყველა მსურველებს.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

კურსები სახალხო განათლების ინსპექტორთათვის

ბაქო, 15 ივლისი. განათლების სახალხო კომისარიატის მიერ გახსნილია თვიური კურსები სახალხო განათლების ინსპექტორების მოსამზადებლად. კურსებზე მიღებულია 25 კაცი.

პროგრამა შეიცავს სკოლის საქმეს და მეთოდოლოგიას. (ადს)

თევზის საკონსერვო ქარხანა

ბაქო, 15 ივლისი. ბაქოს ადგილობრივ მრეწველობის სამმართველო პროექტს იმუშავებს ბაქოში თევზის საკონსერვო ქარხნის ასაგებად. მუშაობა დაიწყება 1927—28 წლიდან (ადს).

ვიწრო ლიანდაგი

ბაქო, 15 ივლისი. საკავშირო სახალხო მეურნეობის საბჭო შეუდგა კვლევა-ძიებას ტაპანლი-დზორის ხეობიდან—სადგურ დალმამეტლამდე ვიწრო ლიანდაგის გასაყვანად. ლიანდაგის სიგრძე 45 კილომეტრი იქნება (ადს).

ვილიამ ბრაუნი ბაქოში

ბაქო, 16 ივლისი. 14 ივლისს ვილიამ ბრაუნმა დაათვალიერა დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები და მუშათა უბნებში აპშერონზე და ეცნობოდა მუშების ყოფა-ცხოვრებას. საღამოს ბრაუნი გამოვიდა სიტყვით საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის კონფერენციაზე.

თამბაქო

ბაქო, 15 ივლისი. აზერბეიჯანში თამბაქოს ნათესების სივრცე 300 დესიატინას უდრის. აქედან 250 დეს. კოოპერატივებს ეკუთვნის. მოსავალი მოსალოდნელია 24000 ფუთამდე. თამბაქოს დამზადებას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები აწარმოებენ (ადს).

მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმ-

ბაქო, 14 ივლისი. აზერბეიჯანის რესპუბლიკის საგეგმო კომისიამ შეიმუშავა ღონისძიებათა მთელი რიგი, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს თანამშრომელთათვის ხელფასის გასადიდებლათ იმ დონემდე, როგორც დაწესებულია რესპუბლიკის სხვა სახალხო კომისარიატებში და გაუმჯობესება ადგილობრივ აღმასკომების სამაზრო სტატბიუროს გამგეების უფლებრივი და მატერიალური მდგომარეობის. (ადს).

მეტრიული სისტემის გატარება

ბაქო, 12 ივლისი. აზერბეიჯანის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში მიღებული ცნობების თანახმად მაზრებში გლეხები ეჩვევიან მეტრიულ სისტემას და ყველა ოპერაციები სწარმოებს ამ სისტემით. მეტრიული სისტემის გასაცნობათ გლეხობისათვის სკოლებში ვადიან ამ სისტემის საფუძვლებს. დიდი მუშაობა სწარმოებს ამ მხრივ აგრეთვე კლუბებში და სამკითხველოებში. (ადს)

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

საზღვაო „განიარაღების“ კონფერენციაზე. — ჩემბერლენის მომავალი „გასტროლი“ ბერლინში. — ინგლისის მთავრობა—ბალტიის მხარის ქვეყნების „დამცველის“ როლში. — რუმინეთის საგარეო პოლიტიკა. — უხანის მთავრობა განუდგა რევოლიუცი-ას. — იმპერიალისტები ჩინეთში.

როგორც უკანასკნელ დღეების ცნობებიდან სჩანდა, ე. წ. საზღვაო „განიარაღების“ კონფერენცია თითქო ჩაიფუშა. მისი უკანასკნელი პლენარული სხდომა, კონფერენციაზე გამოაშკარავებული წინააღმდეგობათა გამო ინგლის - ამერიკას შორის, გადაიდო განუსაზღვრელი ვადით. შემდეგ დეპეშამ გვაუწყა, რომ ეს სხდომა შესდგებაო. წინეთ ეტყობოდა, რომ ინგლისი და იაპონია რამოდენიმედ ერთიანი ფრონტით გამოდიოდენ ამერიკის წინააღმდეგ. ეხლა თითქოს მოხდა ინგლის-ამერიკის დაახლოვება, ამასთან იზრდება იაპონიის უკმაყოფილება კონფერენციის მსვლელობით.

ყველაფერი ეს გვიჩვენებს, თუ რამდენად მერყევი და ცვალებადია კონფერენციის მონაწილეთა ურთიერთი დამოკიდებულება, ყველაფერი ეს გვეუბნება ინტერესთა ღრმა წინააღმდეგობის არსებობაზე მათ შორის.

კონფერენცია მოწვეულია ამერიკის ინიციატივით. მაგრამ არავინ იფიქროს, რომ დოლარის მთავრობას რაიმე სამშვიდობო მოტივები ამოქმედებდა. ის ვერ ურიგდება ინგლისის საზღვაო სიძლიერის უპირატესობას და უნდა მას გაუთანასწორდეს. ინგლისის ლოზუნგს ყოველთვის შეადგენდა ყოლოდა ისეთი ფლოტი, რომელიც ერთად აღებულ ორ დიდ საზღვაო ქვეყნის ფლოტის თანაბარი იქნებოდა. მაგრამ ამერიკის იმპერიალიზმი წინ აღუდგა ასეთ მდგომარეობას, —ჩემს ფლოტს არ შეიძლება მეორე ადგილი ეკავოსო, განაცხადა მან, ეკონომიურ - ფინანსიურ სიმდიდრით ზურგ გამაგრებულმა და მსოფლიო ჰეგემონიის ხელში ჩაგდების მოსურნემ.

ამ მხრივ პირველი გამარჯვება ამერიკამ მოიპოვა ვაშინგტონის კონფერენციაზე, რომელმაც დააწესა შემდეგი შეფარდება ინგლის - ამერიკა - იაპონიის მსხვილ გემებისათვის (იმ გემებისათვის, რომელთა წყალწყვა ათი ათას ტონას აღემატება) 5 : 5 : 3. ამ დამარცხების შედეგების გასაქარწყლებლად ინგლისმა თავისი საზღვაო მშენებლობის სიმძიმის ცენტრი უფრო წვრილ გემებზე გადაიტანა (მსუბუქები კრეისერები, ნაღმოსნები, წყალქვეშა ნავები). გამოირკვა, რომ ომში ასეთ საზღვაო ერთეულებს თუ მეტი არა, ნაკლები მნიშვნელობა არა აქვთ, ვინემ გემებს. მაშინ ამერიკის მთავრობამ გადასდგა მეორე ნაბიჯი: მან წამოაყენა წინადადება, რათა ვაშინგტონის შეთანხმება გავრცელდეს ყველა კატეგორიის გემებზე. ეს მით უმეტეს, რომ ჯერ ერთი, მოწინააღმდეგეთა აღნიშნული წვრილი გემები უფრო საშიშია ამერიკისათვის (მათ თავისუფლად შეუძლიათ პანამის არხში გავლა); მეორე, მათი აშენება შედარებით ნაკლები ჯდება და ამაზე ხარჯების გაწევა ინგლისს და იაპონიას უფრო ადვილად შეუძლიათ; ბოლოს, ამერიკა სწორედ ამ გემების მშენებლობაში საგრძნობლად ჩამორჩება თავის კონკურენტებს.

სწორედ ამიტომ წამოაყენა კულიჯის მთავრობამ აღნიშნული წინადადება. ინგლისი, რა თქმა უნდა, უბრძოლველად ვერ გამოეთხოვება თავის პირველობას, მან სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია ამერიკას. და ჩვენ ვიცით, რომ კონფერენციის მიმდინარეობაში კრიტიკული მომენტი დადგა, მისი ჩაშლა თითქო ფაქტი შეიქნა. მაგრამ აშკარაა, რომ ამერიკა ბოლოს და ბოლოს აიძულებს თავის მოქიშპეს მის წინააღმდეგ წამოიჩოქოს. ამერიკული გაზეთები სწერდენ: „თუ ინგლისი უარს არ იტყვის თავის მოთხოვნილებაზე (საზღვაო ძლიერების უპირატესობის შენარჩუნებაზე) მაშინ, შეერთებული შტატები ვაშინგტონის შეთანხმებას არ განაახლებენ 1931 წ. (როცა მას ვადა გაუდის) და დაამტკიცებენ, რომ ქვეყნის ფინანსიური და ტეხნიკური რესურსები საშუალებას იძლევიან შექმნილ იქნას ფლოტი, რომლის თანაბრის აგება არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია“-ო. და ეს მუქარა ცალიერი სიტყვა არ არის. ამიტომ შესაძლებელია, რომ ინგლისი კაპიტულიაციაზე წავიდეს რაიმე მოჩვენებითი კომპრომისული შეთანხმების სახით.

მაგრამ აშკარაა, რომ ასეთი „შეთანხმება“, თუ ის მიღწეული იქნა, ვერ მოსპობს ამერიკა - ინგლისს შორის არსებულ წინააღმდეგობას. ამასთან, თანაბარ საზღვაო ძალების არსებობა ამ ორ ქვეყანას შორის, რასაც ამერიკა ჯერ-ჯერობით მოითხოვს, სრულებით არ გულისხმობს, რომ მათ შორის ომი არ ატყდება. ამავე დროს, მიუხედავად ქაღალდზე დაწერილ მოსალოდნელ შეთანხმებისა, ფაქტიურად კვლავ გაგრძელდება შეიარაღების გაძლიერება, რომელმაც არ შეიძლება საბოლოო ანგარიშით ომი არ გამოიწვიოს.

⁂

საზღვაო „განიარაღების“ საკითხში ამერიკასთან შეტაკების მოსალოდნელი დამარცხება ინგლისს ხელს არ უშლის განაგრძოს თავისი ანტი - საბჭოთა კომბინაციები. პირიქით, ის ამ ხაზით ცდილობს თავისი შერყეული საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებას. ამ მხრივ, სხვათა შორის, აღსანიშნავია ის ცნობა, რომ ჩემბერლენი ახლო მომავალში აპირებს ბერლინისაკენ „გამოსეირნებას“. ეს დარბაზობა მას არა იმიტომ აქვს განზრახული, რა თქმა უნდა, რომ თავის თავად ბერლინის ნახვა მონატრია, არამედ იმიტომ, რომ ის კვლავ ილტვის გერმანიის ჩაბმისაკენ ანტი - საბჭოთა ბლოკში. თუმცა დიდი სიფრთხილით, მაგრამ ამას მაინც აღნიშნავს გაზ. „ტან“, რომელიც წერს: ეს ცნობა განსაკუთრებით ცოცხალ გამოხმაურებას გამოიწვევს მოსკოვში, რომელსაც საბუთი აქვს ყურადღება მიაქციოს ყველაფერს, რაც კი შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც ინგლისის და გერმანიის პოლიტიკის დაახლოვებაო.

„დაახლოვება“ ამ შემთხვევაში ისე უნდა გავიგოთ, როგორც ცდა გერმანიის გადაბირებისა ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საგულისხმოა „ტან“-ის აღსარება, რომ მოსკოვს საბუთი აქვს ყურადღება მიაქციოს ინგლის-გერმანიის დაახლოვების ცდასო, ე. ი. „ტან“, რომელიც კარგადაა გარკვეული ინგლისის საგარეო პოლიტიკაში, აღიარებს, რომ ინგლისი ლამობს გერმანიის გამოყენებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამით ერთხელ კიდევ ბათილდება ამის საწინააღმდეგო მტკიცება, რომელიც ჩემბერლენისა და შტრეზემანისაგან გამომდინარეობს.

ჩვენ ვიცით, რომ ჩემბერლენის მეცადინეობა, მიმართული იქითკენ, რომ გერმანია გადააქციოს თავის ანტი-საბჭოთა პოლიტიკის იარაღად, დღემდე მარცხით თავდებოდა. მაგრამ ის არ ისვენებს. ამას მოწმობს მისი მომავალი „გასტროლი“ ბერლინში. საგულისხმოა, რომ ჩემბერლენის შეხვედრა გერმანიის პოლიტიკის ხელმძღვანელებთან უნდა მოხდეს ერთა ლიგის საბჭოს სექტემბრის სესიის წინ. ამ სესიის დღის წესრიგის მთავარ საკითხად იქნება რეინის ოლქის საოკუპაციო ჯარების შემცირება და მისი დაწესებულ ვადამდე დაცლა. ეს საკითხი იდგა ერთა ლიგის საბჭოს უკანასკნელ სესიაზეც და გერმანიამ მაშინ მიზანს ვერ მიაღწია. საფრანგეთმა არ მოისურვა რაიმე დათმობაზე წასვლა და ამასთან ინგლისმა მხარი არ დაუჭირა გერმანიას, რადგან უკანასკნელმა არ გაიზიარა მისი ანტი-საბჭოთა პოლიტიკა და ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა ინგლის - საბჭოთა კონფლიქტში.

როგორც სჩანს, ჩემბერლენი შეპირდება გერმანიას, რომ ის ხელს შეუწყობს რეინის ოლქის საკითხის მის სასარგებლოდ გადაჭრას, ოღონდ ბერლინი დაითანხმოს თავის ძირითად მიზნის—საბჭოთა კავშირის გარემოცვის გატარებაში მონაწილეობაზე.

შტრეზემანი შებორკილია ერთი მხრით ლოკარნოთი, მეორე მხრით, რაპალოთი და მის მომდევნო ხელშეკრულებებით საბჭოთა კავშირთან. ცნობილი ავგური ამას აღნიშნავს და წერს: „დასავლეთის შტრეზემანი ჟენევაში ერთა ლიგის წევრებს არწმუნებს, რომ მას სძულს ბოლშევიკები, მაგრამ როცა აღმოსავლეთის შტრეზემანი იმარჯვებს, ის მოსკოვის დუდუკზე თამაშობს. კიდევ ბევრი დრო გავა, სანამ დასავლეთის შტრეზემანი დასძლევს აღმოსავლეთისას“. ჩემბერლენის მოსალოდნელ გამგზავრებას ბერლინში მიზნად აქვს დასახული სწორედ „დასავლეთის შტრეზემანის გამარჯვება აღმოსავლეთისაზე“.

შესძლებს კი ჩემბერლენი ამ განზრახვის განხორციელებას? მეტად საეჭვოა. თუ დღემდე გერმანია, მიუხედავად ლონდონის ყოველნაირი ცდისა, არ ემხრობოდა ინგლისის ანტი-საბჭოთა პოლიტიკას, ეს რა თქმა უნდა, არა მიტომ, რომ შტრეზემანი თავისთავად საბჭოთა კავშირისადმი რაიმე სიმპატიებით იყო გამსჭვალული, არამედ იმიტომ, რომ ჩვენთან ნორმალურ ურთიერთობის შენარჩუნებას გადაჭრით მოითხოვდენ გერმანიის ეკონომიური და საერთაშორისო ინტერესები. ამ მხრივ მდგომარეობა არ გამოცვლილა და შტრეზემანს არ შეუძლია ერთხელ აღებულ გზას გადაუხვიოს, თუ მას არ სურს თავის ქვეყანას აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენოს. ეს მით უმეტეს, რომ კონსერვატიულ ინგლისის მდგომარეობა ბოლო ხანებში საკმაოდ შერყეულია და მასზე დაყრდნობა ვერავითარი სალი ანგარიშით ვერ გამართლდება.

⁂

ჩემბერლენის განსაკუთრებულ „მზრუნველობის“ საგანს ბალტიის მხარის ქვეყნები შეადგენენ. ის „იცავს“ მათ თავდასხმისაგან... საბჭოთა კავშირის მხრით. სწორედ ასე ასაბუთებს ინგლისის დიპლომატია, მაგ. თავის მოთხოვნას დანიის მთავრობისადმი, რათა უკანასკნელმა უფლება მისცეს მას გააღრმავოს ზუნდის სრუტე, სადაც დღეს არ შეუძლიათ დიდ გემებს გავლა. ამ გზით ინგლისის მთავრობა მოიპოვებს საშუალებას თავისი ზედრედნოუტები და ჯავშნიანი კრეისერები ჩრდილოეთის ზღვიდან თავისუფლად გამოგზავნოს ბალტიის ზღვაში. ეს კი მისთვის საჭიროა ერთი მხრით იმისათვის, რომ ბალტიის და სკანდინავიის სახელმწიფოები უფრო მეტად მოაქციოს თავის გავლენის სფეროში. მეორე მხრივ, იმისათვის, რომ ბალტიის ზღვიდან ხელსაყრელ მომენტში შეიჭრას ფინეთის ყურეში და კრონშტადთან სცადოს თავისი „ბედი“.

დანიის მთავრობა დიდხანს ეწინააღმდეგებოდა ინგლისის ამ მოთხოვნას იმ საფუძვლიანი მოსაზრებით, რომ მისი დაკმაყოფილება დანიას საბოლოოდ გადააქცევდა ლონდონის ყურმოჭრილ ვასალად. როგორც გაზ. „ლატვის“ იუწყება, დანიის მთავრობა ეხლა თითქო „დასთანხმებულა“ ზუნდის გაღრმავებაზე, რის შემდეგ ინგლისის ფლოტი, გაზეთის სიტყვით, „საჭიროების“ დროს დაიცავს პოლონეთს და ბალტიის სახელმწიფოებს“.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ინგლისელი ოფიცრები ნესვიტი და ლოიდი მოგზაურობენ ბალტიის ქვეყნებსა და პოლონეთში, რათა იქ „გამოარკვიონ არმიის ბრძოლის უნარი და ინგლისისათვის აქტიური დახმარების შესაძლებლობა ინგლის - საბჭოთა კავშირს შორის მოსალოდნელ ომის შემთხვევაში“ და აგრეთვე ამ სახელმწიფოების „ინგლისური არტილერიით და ამუნიციით მომარაგების საკითხი“.

ყველაფერ ამას ინგლისი, როგორც ვსთქვით, სჩადის ბალტიის ქვეყნების და პოლონეთის „საბჭოთა კავშირისაგან დაცვის მიზნით“ ზედმეტია იმის მტკიცება, რომ საბჭოთა მთავრობა არავის არ დაესხმის თავს, ცდილობს ყველასთან, პირველ რიგში ამ სახელმწიფოებთან ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას და სავსებით უზრუნველყოფს მათ ეროვნულ დამოუკიდებლობას, რომელსაც ოქტომბრის რევოლიუციამ და მისმა ხელისუფლებამ ჩაუყარა საფუძველი. წინადადება საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ, სხვა სათანადო ნაბიჯები და საერთოდ საბჭოთა მთავრობის ნაციონალური პოლიტიკა ამის საუკეთესო დამადასტურებელია.

ეს კარგად ესმით ჩვენი დასავლეთ ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნების ფართე მასებს, რომელნიც კიდეც იბრძვიან მათი ინგლისის იმპერიალიზმის იარაღად გამოყენების წინააღმდეგ. გარდა ამისა, ბალტიის მხარის ზოგიერთ სახელმწიფოსთან (ლიტვა, ლატვია) ჩვენ საგარანტიო თუ სავაჭრო ხელშეკრულებები გვაქვს დადებული, რაც ნიშნავს ინგლისის ანტი-საბჭოთა პოლიტის დამარცხებას.

⁂

ინგლისის ანტი-საბჭოთა „მოღვაწეობის“ გამოხმაურებას წარმოადგენს აგრეთვე რუმინეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ტიტულესკუს განცხადება, რომელიც დეპეშამ ამ დღეებში გადმოგვცა. ტიტულესკუმ სთქვა: „რუმინეთის საგარეო პოლიტიკა მიზნად ისახავს კავშირის განმტკიცებას ანტანტის ქვეყნებსა და პოლონეთთან, რომელთა ინტერესები უთანხმდება რუმინეთის ინტერესებს, და აგრეთვე საფრანგეთსა, იტალიასა და განსაკუთრებით ინგლისთან, რომელმაც ხელი შეუწყო რუმინეთის ეროვნული მთლიანობის განხორციელებას. ამ მხრივ რუმინეთის ინტერესები უთანხმდება ინგლისის ინტერესებს და ამიტომ რუმინეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს ინგლისთან კავშირის გაღრმავება“.

როცა ტიტულესკუ ლაპარაკობს ინგლისის მიერ რუმინეთის „ეროვნული, მთლიანობის განხორციელებისათვის ხელის შეწყობაზე“, მას უმთავრესად მხედველობაში აქვს ბესარაბიის ოკუპაცია, რომელიც ინგლისის დასტურით მოხდა. აგრეთვე ინგლისის ზეგავლენით იტალიის მთავრობამ ამ ძალადობის აქტს რატიფიკაცია უყო ერთა ლიგის საბჭოს მარტის სესიის დროს. და ჩვენ არ გვიკვირს, რომ რუმინელი ბანდიტები ფეხქვეშ ეგებიან ბრიტანელ იმპერიალისტებს.

მაგრამ როგორ შეუძლია ტიტულესკუს დამოკიდებულების განმტკიცება იტალიასა და ინგლისთან ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით, მცირე ანტანტასა და საფრანგეთთან, — ეს მის „ღრმა საიდუმლოებას“ შეადგენს. საქმე ის არის, რომ ინგლისი და იტალია ცდილობენ მცირე ანტანტის დაშლას და საფრანგეთის გავლენის აღმოფხვრას ბალკანეთში. რუმინიის დაკავშირება იტალიასთან მას აშორებს სამხრეთ - სლავიისაგან, ამდენად ასუსტებს მცირე ანტანტას და აგრეთვე აუარესებს მის ურთიერთობას საფრანგეთთან. ასე, რომ ერთ და იმავე დროს ორი ერთი - მეორის საწინააღმდეგო ორიენტაციის დაცვა, როგორც ამას ფიქრობს ტიტულესკუ, მხოლოდ გზააბნეულობაა, რომელიც მოწმობს რუმინეთის საერთაშორისო მდგომარეობის მერყეობას.

როგორც ვიცით, ასეთ პოლიტიკას ფაქტიურად ვერც ატარებს რუმინეთის მთავრობა. ეს გამოიხატა თუ გინდ იმაში, რომ ავერესკუს მემკვიდრე კაბინეტმა უკან გამოიწვია თავის წინა მოადგილის მიერ იტალიაში სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად გაგზავნილი დელეგაცია. ბრატიანუს მთავრობა თავის საგარეო პოლიტიკის კურსს მიმართავს საფრანგეთისაკენ და ამით ის იტალიას სცილდება. ამავე დროს იგი ცდილობს ინგლისთან „დამეგობრებას“, მაგრამ ორივე ამ სახელმწიფოსთან „მეგობრობა“ ბალკანეთში ინგლის - საფრანგეთის ინტერესების წინააღმდეგობის პირობებში მოუხერხებელია.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რუმინეთს მეზობლად ყავს ისეთი შეურიგებელი მტერი, როგორიცაა უნგრეთი, რომელსაც მასთან დავა აქვს ტერიტორიალურ საკითხის გარშემო. ბოლოს, მხედველობაში მისაღებია რუმინეთის მშრომელთა ამხედრება ქვეყნის ეხლანდელ მესვეურთა წინააღმდეგ. თუ უკანასკნელ არჩევნებში „ლიბერალურმა“ ბურჟუაზიამ გაიმარჯვა, ეს სრულებით არ მიეწერება იმას, თითქო ბრატიანუს ჯგუფი მოსახლეობის ნდობით სარგებლობდეს, არამედ აიხსნება იმ საშინელი ტერორით და რეპრესიებით, რასაც მთავრობა მემარცხენე ელემენტების წინააღმდეგ მიმართავდა.

ასეთ საგარეო და საშინაო პირობებში რუმინეთის მთავრობას მეტად გაუძნელდება ინგლისის ანტი-საბჭოთა პოლიტიკის აქტიურ ფაქტორად გახდომა, თუნდაც რუმინეთის ეხლანდელ მესვეურებს ძალიანაც სურდეთ ჩემბერლენის „მაღალი ყურადღების“ დამსახურება.

⁂

მდგომარეობა ჩინეთში კვლავ მეტად რთულია. უკანასკნელი დღეები იმითაა აღსანიშნავი, რომ უხანის მთავრობაც განუდგა რევოლიუციონურ მასებს. ის უკვე აღარ წარმოადგენს რევოლიუციონურ ფაქტორს. უხანის ჯგუფი ჩამოყალიბდა წვრილ ბურჟუაზიულ მიმდინარეობად და ის ცდილობს მუშების და გლეხების მოძრაობის ჩაყენებას „ზომიერ“ კალაპოტში და „დემოკრატიის“ სახელით მოითხოვს მათგან თავის კლასობრივ მოთხოვნებზე შეკვეცას, არსებითად კლასობრივ ბრძოლაზე ხელის აღებას. ჩინეთშიც მეორდება ის, რაც ასეთ შემთხვევებში ყველგან ხდება. წვრილი ბურჟუაზია გადამწყვეტ კლასობრივ ბრძოლაში შორდება რევოლიუციას.

ამის შემდეგ კომუნისტების დარჩენა უხანის მთავრობაში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ამავე დროს კი კომპარტიამ კვლავ უნდა იბრძოლოს გომინდანის რიგებში მასების რევოლიუციონური დარაზმვის მიზნით. კომპარტიას დიდი გავლენა აქვს როგორც გომინდანის ქვედა ფენებში, ისე საერთოდ მის გარედ მყოფ მუშურ და გლეხურ მასებში. მოსალოდნელია, რომ გომინდანის ცეკა გადასწყვეტს კომპარტიის გამორიცხვას გომინდანიდან, რომ ამ გზით თავი გაინთავისუფლოს იმ ელემენტისაგან, რომელიც აფერხებს მისი წვრილბურჟუაზიული მიზნების გატარებას. მაგრამ კომპარტიამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ გომინდანის მასების დაპყრობისათვის მუშაობის გასაძლიერებლად. გომინდანიდან გამოსვლით ის მხოლოდ ჩინეთის რევოლიუციის მტრებს გაუწევდა სამსახურს და ამაზე ის ვერ წავა.

მაშასადამე, ამჟამად, როგორც ამას ამხ. ბუხარინი აღნიშნავს, შემდეგ სოციალურ დაჯგუფებებთან გვაქვს საქმე ჩინეთში: მუშათა კლასი და რევოლიუციონური გლეხობა კომპარტიის ხელმძღვანელობით, უხანის წვრილბურჟუაზიული ჯგუფი, „ლიბერალური“ ბურჟუაზია ჩან-კაი-შის მეთაურობით, ფეოდალური ხროვა ჩან-ძო-ლინის წინამძღოლობით.

უხანსა და ნანკინს შორის კიდევ წარმოებს ბრძოლა. ჩან-კაი-შიმ დაიწყო უხანის წინააღმდეგ შეტევა, რომ „ხელი შეუწყოს“ მისი საბოლოო „თვითგამორკვევის“ პროცესის ჩქარა დამთავრებას. ყველა ნამდვილად რევოლიუციონური ელემენტები, ცხადია, უხანს ჩამოსცილდებიან, დანარჩენები კი ნანკინს შეუერთდებიან..

ამავე დროს ჩრდილოეთის მილიტარისტები დიდ აქტივობას იჩენენ ბოლო დროს. ისინი შეტევას აწარმოებენ ფინ-იუი-სიანის და ჩან-კაი-შის წინააღმდეგ და მათ ნაწილობრივი გამარჯვებაც ჰქონიათ. აშკარაა, რომ ნანკინისათვის პირველ და მთავარ საქმეს რევოლიუციის განადგურება შეადგენს, ამაზე ახარჯავს იგი თავის ძალებს.

მაგრამ ნაადრევია რევოლიუციის მტრების სიხარული. მილიონიანი მასები როგორც უხანის სამფლობელოში, ისე ფინის და ჩან-კაი-შის მიერ დაკავებულ პროვინციებში მზად არიან ბრძოლისათვის. თუ მოხერხდა მათი სასწრაფო ორგანიზაცია და რევოლიუციონური ნებისყოფის მაქსიმალური გაშლა, ჩინეთის რევოლიუცია თავს დააღწევს იმ კრიზისს, რომელსაც ის განიცდის.

⁂

ჩინეთში დღეს შექმნილი მდგომარეობა კონტრ - რევოლიუციის ძალების მოქმედებასთან ერთად, იმპერიალისტების „მოღვაწეობის“ შედეგია. იმ გარემოებამ, რომ იმპერიალისტების ჯარებს უკავიათ ჩინეთის სტრატეგიულად და ეკონომიურად მნიშვნელოვანი პუნქტები თავის თავად მეტად შეუწყო ხელი კონტრ-რევოლიუციის გაძლიერებას. ამასთან, იმპერიალისტები რეაქციას, ცხადია, აქტიურ დახმარებას უწევენ.

ამავე დროს ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა იმპერიალიზმის და ჩინეთის კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის (ნანკინის) ურთიერთ შეთანხმება. თუ განადგურებული ჩან-ძო-ლინის ბანდა დღეს შეტევას აწარმოებს ჩან-კაი-შისა და ფინის წინააღმდეგ, ეს ბევრად აიხსნება იმპერიალისტების მიერ მისთვის ზურგის გამაგრებით. კერძოდ, იაპონია აშკარა ინტერვენციის გზას დაადგა. იაპონიის მთავრობის უკანაკნელ დეკლარაციაში ვკითხულობთ: „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მანჯურიას, მონგოლიას და აღმოსავლეთის სამ პროვინციას, ვინაიდან ამ ოლქებს დიდი მნიშვნელობა აქვთ იაპონიისათვის“.

იაპონიის კაპიტალი მეტ წილად აქაა თავმოყრილი. ეს პროვინციები მას თავის კოლონიად აქვს გადაქცეული. ამიტომ, იაპონიის „კანონიერ ინტერესების“ დასაცავად ტანაკის მთავრობამ დიდძალი ჯარი გადასხა შანდუნში. ამან კი ჩან-ძო-ლინს გაუადვილა შეტევის განახლება.

როგორც სჩანს, იაპონია კიდევ არ ენდობა ჩან-კაი-შს, ის კვლავ ჩან-ძო-ლინის გამაგრებაზე ზრუნავს, ჩან-ძო-ლინის, რომელიც იმ თავიდანვე იაპონიის აგენტია. იაპონიის მთავრობა ლაპარაკობს „გამანადგურებელ რადიკალურ ელემენტების აღმოფხვრის საჭიროებაზე“ და მას შესაძლებლად მიაჩნია თანამშრომლობა „ზომიერ“ ჯგუფებთან. ეს მოწოდებაა ჩან-კაი-შისადმი, რათა მან ერთი მხრივ ბოლო მოუღოს რევოლიუციონურ მოძრაობას, მეორე მხრივ, არსებითად ხელუხლებლად დასტოვოს იაპონიის პრივილეგიები ჩინეთში. ამ მოთხოვნის პირველ მუხლს ჩან-კაი-ში დიდი ერთგულებით ასხორციელებს, ის იძულებული შეიქნება იმპერიალიზმის წინაშეც სავსებით წამოიჩოქოს, ვინაიდან მის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ მშრომელ მასებთან ერთად და მათზე დაყრდნობით შეიძლება, ხოლო ჩან-კაი-ში პირველ ყოვლისა მათ განადგურებაზე ცდილობს და არა იმპერიალიზმის მონობისაგან ჩინეთის განთავისუფლებაზე.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ნანკინის დამოკიდებულება იმპერიალისტურ ქვეყნებთან გართულდა შანხაიში ახალი გადასახადების შემოღების გამო, რაც საექსპორტო - საიმპორტო საგნებს ედება. ჩან-კაი-შის ფული ესაჭიროება, მაგრამ უცხოელების ვაჭრობის დაბეგვრას ეს უკანასკნელნი არ დაუშვებენ. ინგლისმა და სხვა ქვეყნებმა ამის წინააღმდეგ ენერგიულად გაილაშქრეს.

აშკარაა, რომ ჩან-კაი-ში, შიგნით კონტრ - რევოლიუციონური ზრახვების განსახორციელებლად, მაქსიმალურ დათმობებზე წავა იმპერიალიზმთან და სრულიად ფარდა აეხდება მის თვალთმაქცობას, თითქო ის უცხოელების ბატონობისაგან ჩინეთის განთავისუფლებას ისახავდეს მიზნად.

გ. კ—ლი.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის კვირეული

კავშირი წითელ არმიასა და მშრომელთა შორის

საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებს წითელი არმიის სახით ჰყავთ ოქტომბრის მონაპოვართა უდრეკი დამცველი.

საბჭოთა კავშირის წითელი არმია, შემდგარი მუშებისა და გლეხებისაგან, მტკიცედ სდგას თავისუფლების სადარაჯოზე და იგი არავის მისცემს ნებას ხელი შეახოს მშრომელთა სამშობლოს.

გლეხობამ შეიგნო, მან ნათლად დაინახა მრავალჯერ, რომ წითელი არმია იცავს მის მშვიდობიან შრომას. ამიტომ, გლეხობა ნდობით უყურებს წითელ არმიას და სიხარულით გზავნის თავის შვილებს მის რიგებში.

წითელი არმია პირველი არმიაა დედამიწის ზურგზე, რომელსაც აქვს დამყარებული მტკიცე და მეგობრული კავშირი გლეხობასთან. ამის დასამტკიცებელი საბუთები მრავლათ მოიძებნება ჯარის ყოველ ნაწილებში.

წითელი ჯარის ნაწილებს ამშვენებენ დროშები და საჩუქრები, გადაცემული მშრომელ გლეხობის მიერ ნიშნად მადლობისა დახმარებისათვის.

აქ მოვიყვანთ წერილს, რომელიც გაუგზავნა ქვემო ჭალის (გორის მაზრის) თემის გლეხობამ მე-4-ე ქართულ მსროლელ ლეგიონის უფროსებს:

„თქვენდამი რწმუნებულ ლეგიონის დაუღალავმა მუშაობამ გორის მაზრაში და განსაკუთრებით ქვემო ჭალის თემში დიდი ნაყოფი მოუტანა მშრომელ გლეხობას კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეურნეო და მოსახლეობის გასამხედროების დარგში (სამთავისის კომუნისათვის ცნობების მიცემა, სამხედრო კუთხეების მოწყობა-მუშავება, გაზეთების გამოწერა, კასპის გზის შეკეთებაზე წვევამდელების დახმარება და მრავალი სხვა).

თქვენი ლეგიონის ასეთმა ენერგიულმა მუშაობამ მშრომელი მოსახლეობა გაამხნევა და მზად არის ყოველ წუთში თქვენთან ერთად ბრძოლის მუშებისა და გლეხების ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ, რომლებიც ემზადებიან ომისათვის და უნდათ, რომ ეს ომი მოახვიონ თავს საბჭოთ ხელისუფლებას.

ამ დროს არც ჩვენ გვძინავს და ამ მიზნით, როგორც გორის მაზრის სხვა კუთხეებში, ისე ქვემო-ჭალის თემშიაც ტარდება ყოველგვარი მუშაობა გლეხობის გასამხედროების საქმეში, რომ ღირსეული დახმარება გაგიწიოთ საჭიროების დროს".

ეს წერილი ცხადჰყოფს, თუ რა კავშირი არსებობს წითელ არმიასა და გლეხობის შორის.

საბჭოთა კავშირის მშრომელები და წითელი არმია—ერთი ოჯახია.

მომავალ ომის დროს საბჭოთა კავშირის მოსახლეობა იბრძოლებს წითელ არმიასთან ერთად, მოუდგება მას გვერდში.—ეს კი არის გამარჯვების უტყუარი თავდები.

წითელი არმიელი ხედავს, რომ მშრომელთა მასას უყვარს ის, ეს სიყვარული ამხნევებს მას, აძლიერებს მის ნებისყოფას მშრომელთა საქმის დასაცავად. ამიტომ წითელ არმიას მტკიცედ უჭირავს და ეჭირება თავისი შაშხანა.

ე. ხუციშვილი.

თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზ-ბის მუშაობა

„თავდაცვა ავიაქიმის ხელშემწყობი საზოგადოების" უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან უნდა დარაზმოს თავის რიგებში მშრომელთა ფართო მასები და მათი აქტიური დახმარებით მოამზადოს ქვეყანა თავდაცვისათვის.

მაგრამ დღემდე ამ საზოგადოების მუშაობას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. და მან ვერ შესძლო თავის რიგებში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა. სულ საბჭოთა კავშირში საზოგადოების წევრთა რიცხვი უდრის 2 მილიონ კაცს, ეს 150 მილ. მოსახლეობაზე, საქართველოში კი წევრთა რიცხვი აღწევს 40 ათასამდე, 2.500 ათას მცხოვრებზე. როგორც ვხედავთ, ეს მცირე პროცენტია.

სოციალური შემადგენლობა წევრებისა დაახლოებით შემდეგია: მუშები—11,680 კაცი, გლეხები — 8.018, მოსამსახურენი — 11,760, სამხედრო პირნი — 9.323, მოსწავლე ახალგაზ.—3.969 კ. პარტიული შემადგენლობა: კ. პ. წევრები და კანდიდატები—5.757 კ., ა. ლ. კ. კ. წევრები და კანდიდატები—4.569, უპარტიონი—29.722. სქესობრივი შემადგენლობა: ქალები—6 პროცენტი ანუ 2.400, კაცები—94 პროცენტი ანუ 37.600.

ამრიგად, საზოგადოების როგორც რიცხვობრივი, ისე სოციალური, პარტიული და სქესობრივი შემადგენლობა არ შეიძლება ჩავთვალოთ დამაკმაყოფილებლად. საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება.

სუსტია აგრეთვე დისციპლინაც: წევრთა მიერ საწევრო გადასახადის გადახდა, საზოგადოებრივ ვალდებულებათა შესრულებას, ფინანსიური სტატისტიკური და სხვა ცნობების თავის დროზე წარდგენას უმაღლეს ორგანიზაციაში არ ექცევა სათანადო ყურადღება.

ასეთი მდგომარეობა და ამის მიზეზი პირველ ყოვლისა თვით საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოებია. პრეზიდიუმების შემადგენლობა ადგილებზე უმეტესად დატვირთულია სხვა საქმით და საზოგადოების მუშაობისათვის დრო არ აქვს.

პარტიული და პროფესიონალური ორგანოები არ უწევენ შესაფერის დახმარებას საზოგადოებას. იყო ისეთი ოლქები და მაზრები, სადაც თავდაცვა - ავიაქიმის ორგანიზაციას ზედმეტად თვლიდენ. საზოგადოების ფაქტიურ მუშაკად საოლქო - სამაზრო მასშტაბით მხოლოდ ერთი ტექნიკური მუშაკი ითვლებოდა და ისიც უმეტეს შემთხვევაში სხვა ორგანიზაციაში მომუშავე. გადასახადის აკრება და მუშაობის ხელმძღვანელობა მხოლოდ ამ ერთ ტექნიკურ მუშაკს აწვებოდა. ისიც პარტიული ორგანოების ყურადღებისა და დახმარების გარეშე. ასეთ მდგომარეობაში ცხადია, არ შეიძლებოდა მუშაობა სათანადო დონეზე ყოფილიყო დაყენებული.

მძიმე იყო საზოგადოების ფინანსიური მდგომარეობაც. საზოგადოების უმთავრეს შემოსავლის წყაროს საწევრო გადასახადი შეადგენს, რომელიც ძალიან მცირეა. (წლიურად 1 მ და 20 კ., 60 კ., 30 კ და 10 კ.). საწევროდან უჯრედს რჩება 15 პროცენტი, საოლქო სამაზრო საბჭოს 25 პროცენტი, რესპუბლიკისას 25 პროცენტი, დანარჩენი კი იგზავნება უმაღლეს ორგანოში. აშკარაა, რომ ადგილებს, რესპუბლიკის, საოლქო - სამაზრო საბჭოებს და უჯრედებს, რომლებიც ფაქტიურად მთელ პრაქტიკულ მუშაობას აწარმოებენ, მეტად მცირე პროცენტი რჩებათ. რაც შეეხება სპეციალურ ფონდებს, როგორიცაა შეგროვილი ფულით თვითმფრინავების შესაძენად, საკავშირო საავიაციო ლატარია, შემოწირულებანი და სხვა, ე მთლიანად იგზავნება ცენტრში.

უსახსრობა, ნაკლები ხელმძღვანელობა პარტიული და პროფორგანოებს მხრივ, მუშა აპარატის სიმცირე, ხელმძღვანელ ორგანოების წევრების ზედმეტი დატვირთვა და აქედან გამომდინარე უყურადღებობა საზოგადოების საქმისადმი. აი, ის მთელი რიგი მიზეზებისა, რომლებიც ხელს უშლიდენ საზოგადოების ნაყოფიერ მუშაობას.

მართალია, არის მთელი რიგი მაზრებისა და ოლქების, სადაც მუშაობა კარგად არის დაყენებული. მაგ.: აფხაზეთი, ზუგდიდი, ფოთი, ქუთაისი; აქ საზოგადოებამ ფართოდ გაშალა თავისი მუშაობა, გაიზარდა ავტორიტეტი, მშრომელთა ფართო მასებია ჩაბმული მის პრაქტიკულ მუშაობაში. ეს არის ნაყოფი როგორც ადგილობრივი მომუშავე ამხანაგების ენთუზიაზმისა, ისე პარტიული და პროფესიონალური ორგანოების ყურადღების და დახმარების.

მიუხედავად ზემოდ აღნიშნულ მდგომარეობისა, საზოგადოებამ მიმდინარე წლის განმავლობაში შესძლო ჩატარება მეტად მნიშვნელოვანი მუშაობა. ეს მუშაობა შემდეგში გამოიხატება: 1) ჰაეროდრომების მოწყობა; არც ერთ მაზრაში არ იყო ვარგებული ჰეროდრომი, რაც მეტად უშლიდა ხელს როგორც ჩვენ საჰაერო ფლოტს მანევრების დროს, ისე არ გვაძლევდა საშუალებას, რომ ჩვენი სოფლის გლეხობა გაეცნო ავიაციასთან, მაშინ, როცა ინტერესი ამისადმი უდიდესია. ეს დაბრკოლება დღეს თითქმის დაძლეულია საზოგადოების მეცადინეობით. საქართველოს მთელ რიგ მაზრებში და ოლქებში გამოძებნილი იქნა შესაფერისი ადგილები და მოეწყო ჰაეროდრომები. ზოგან მუშაობა კიდევ არაა დამთავრებული, მაგრამ იმედია, რომ მალე დამთავრდება.

2) საზოგადოებამ დაარსა მთელი რიგი ავიაცია - ქიმიური რაზმები, რომელთა დანიშნულებაა ავიაცია - ქიმიური თავდასხმის დროს დახმარება გაუწიონ მოსახლეობას და გასწმინდონ გაზებით მოწამლული მიდამო. ზოგან ეს რაზმები მეტად ენერგიულად მუშაობენ, ზოგან მათ მუშაობაში არის ცოტა ნაკლი, მაგრამ ესეც გამოსწორებული იქნება.

3) დაარსებულია მთელი რიგი სანიტარული წრეებისა, — რომელთა დანიშნულებაა მოსალოდნელ თავდასხმის დროს სანიტარული დახმარების აღმოჩენა დაზარალებულთათვის. ეს წრეები ნაყოფიერად მუშაობენ. ამას წინად ჩატარებულ პრაქტიკულ მუშაობაზე მათ გამოიჩინეს საკმაო ცოდნა ამ საქმეში.

4) ქ. ტფილისში მუშაობდა სამოტორო კურსები,— ამ კურსებზე 50 მსმენელმა შეისწავლა საავიაციო მოტორების როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მხარე.

5) საზოგადოება გზავნის მსმენელებს ფრენოსნობის შესწავლის სკოლაში; ლენინგრადში მიმდინარე წელს გაიგზავნა საქართველოდან სულ 10 კაცი.

6) დაარსებულია მთელი რიგი მენახშეთა, საპლანერო სროლის შესწავლის და სამხედრო წრეები, სროლის შესწავლის ტირები, ავიაცია-ქიმიური და სამხედრო კუთხეები, სადაც როგორც წევრები საზოგადოებისა, ისე პროფკავშირისა — მუშა-მოსამსახურენი და სხვა, სწავლობენ სროლას, ეცნობიან ავიაცია - ქიმიის მიღწევებს და მათ მნიშვნელობას როგორც ომში, ისე მშვიდობიან მრეწველობაში, ქიმიური მენახშეთა და საპლანერო წრეებში იქმნება კადრი საავიაციო და ქიმიური სასწავლებლების შესავსებად.

საზოგადოების სექციები სწარმოებენ ფართო მუშაობას ქვეყნის თავდაცვის, (სროლის შესწავლის, ქიმიისა და ავიაციის სოფლის მეურნეობაში და ომში გამოყენების საკითხების შესწავლის დარგში.

წარმატებით ჩატარდა აგრეთვე საკავშირო საავიაციო ლატარია. გავრცელებული იქნა საქართველოში სულ 29.700 ბილეთი 14.850 მანეთის ღირებულებით; ეს თანხა გადაგზავნილია თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად.

ცხადია, ჩატარებული მუშაობა არ არის ცოტა, მაგრამ შექმნილი მდგომარეობა გვავალებს მუშაობის გაათკეცებას, რომ ჩვენი ქვეყანა და ხალხი მოსალოდნელ ომს მომზადებულად შეხვდეს. ამას კი საზოგადოება შესძლებს მხოლოდ მაშინ, როცა პარტიული, კომკავშირის, პროფესიონალური და ქალთა ორგანიზაციები მიიღებენ საზოგადოების მუშაობაში მხურვალე მონაწილეობას.

ა. ბზეკალავა.

მიტინგი აეროდრომზე

თავდაცვის კვირეულის და ავიაციის დღესთან (14 ივლისი) დაკავშირებით, გუშინ თბილისის ჰაეროდრომზე გაიმართა მიტინგი.

ჰაეროდრომზე თავი მოიყარეს საჰაერო რაზმის წითელ-არმიელებმა და რაზმის სახელოსნოს მუშებმა —კ. წ. ა. ს. საჰაერო ძალების უფროს ამხ. ვასილჩიკოვის მეთაურობით.

დანიშნულ დროისათვის ჰაეროდრომზე მივიდენ: კ. წ.-დ. არმიის შტაბის უფროსი ამხ. ალაფუზო, ეგიკოვი (ამ.-კავ. თავდაცვა-ავიაქიმიდან), ბზეკალავა (საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმიდან), სუტირინი (საქ. კომპარტიის ამ.-კავ. საოლქო კომიტეტიდან), მუშიშვილი (საქ. კომპარტიის ცეკადან), ასათიანი (განათლების კომისარიატიდან), ფოცხიშვილი (მე-4 რაიკომიდან) და სხვები.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდენ ამხ.: ალაფუზო, სუტირინი, ეგიკოვი და ბზეკალავა, რომლებიც შეეხენ ომის საფრთხეს და მოუწოდეს რაზმს თავდაცვის გაძლიერებისაკენ.

ილაპარაკეს აგრეთვე წითელ-არმიელებმა და მუშებმა.

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ვასილჩიკოვმა.

დასასრულ მოეწყო გაფრენა თვითმფრინავ „იუნკერსით". იფრინეს ამხ. მუშიშვილმა, ასათიანმა, ფოცხიშვილმა და სხვებმა.

კვირეული სამხედრო ნაწილებში

თავდაცვის კვირეულის ჩატარება სამხედრო ნაწილებში დაიწყო 10 ივლისიდან.

კვირეულის ჩასატარებლად დაარსებული იქნა კომისიები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ მთელ მუშაობას, კვირეულის ჩატარებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების უჯრედებმა.

№ ქართ. საკავშირო ასეულში

კვირეულის დაწყებისას შესდგა ასეულის საერთო კრება, რომელზედაც გაკეთებულ იქნა მოხსენება შემდეგ თემაზე „რისთვის ატარებს საბჭოთა კავშირი თავდაცვის კვირეულს". ვინაიდან ასეულში მრავლად არიან რუსი ცვალებადი წითელ არმიელები, მოხსენება გაკეთებულ იქნა რუსულ ენაზედაც.

კვირეულის განმავლობაში ყოველ საღამოთი ლენინის კუთხეში სწარმოებდა კვირეულთან დაკავშირებულ მასალის ხმა-მაღალი კითხვა ახსნა-განმარტებით.

ასეულში მოხდა თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების უჯრედის გადარჩევა, სწარმოებდა აგრეთვე უჯრედში ახალი წევრების მიღება. წევრთა რიცხვი გაიზარდა 20 პროც. ეხლა უჯრედის წევრებად ითვლებიან კადრის ყველა წითელი არმიელები და ცვალებადელნიც.

№ ქართ. მესანგრე ასეულში

კვირეულის დაწყებამდე შედგენილი იქნა სათანადო ლოზუნგები, რომლებიც გააკრეს ყაზარმის კედლებზე.

ასეულში სისტემატიურად იმართებოდა გაზეთების ხმა-მაღალი კითხვა და საუბრები კვირეულის მნიშვნელობაზე და თავდაცვის საქმეზე.

როგორც კადრის, ისე ცვალებად წითელი არმიელები ძალიან დაინტერესებული იყვნენ კვირეულის მსვლელობით და საუბრებზე იძლეოდნენ მრავალ საქმიან შეკითხვას. მათ უფრო აინტერესებდა საბჭოთა კავშირის და იმპერიალისტურ სახელმწიფოების სამხედრო ტეხნიკის მდგომარეობა.

ასეულის ბიბლიოთეკის მიერ კვირეულის განმავლობაში გაცემულ იქნა მრავალი წიგნი, რომელნიც თავისი შინაარსით ეხებოდა თავდაცვის საქმეს და მზადებას ომისათვის.

ასეულმა მიიღო მხურვალე მონაწილეობა მოძრავ გამოფენის მოწყობაში, რომელზედაც გაიგზავნა სასანგრე საქმის ნიმუშები, მოდელები და სხვა მასალა. გამოფენა მოწყობილ იქნა წითელ არმიის და ფლოტის სახლში და თბილისის მუშათა კლუბებში.

№ ქართ. საარტილერიო ლეგიონი

საარტილერიო ლეგიონის ყაზარმები კვირეულისათვის მორთულ იქნენ სათანადო პლაკატებით და ლოზუნგებით.

დივიზიონების, ბატარეიების და ლეგიონის მასშტაბით ჩატარებულ იქნა მოხსენებები თავდაცვის საქმეზე და კვირეულის მნიშვნელობაზე.

ლენინის კუთხეებში სისტემატიურად ტარდებოდა საუბრები და გაზეთების ხმა-მაღალი კითხვა.

ლენინის კუთხეებთან წითელ არმიელთა ინიციატივით ჩამოყალიბდნენ ჯგუფები, რომლებშიაც დამუშავებულ იქნა თავდაცვის საქმესთან დაკავშირებული საკითხები, როგორიცაა არის: ქიმია მომავალ ომში, დახმარების აღმოჩენა ომში დაზარალებულებს და სხვა.

ბიბლიოთეკის მიერ მოეწყო სათანადო ლიტერატურის გამოფენა.

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების უჯრედის წევრებათ ითვლებიან კადრის ყველა წითელ არმიელნი. ბევრი მათგანი ეწევა აქტიურ მუშაობას უჯრედში.

კვირეულის დასასრულს, სახელდობრ 17 ივლისს კლუბის შენობაში მოეწყობა საღამო-წარმოდგენა. დადგმულ იქნება ლეგიონის დრამწრის მიერ ინსცენირიოვკა, სადაც ნაჩვენები იქნება სცენები მომავალ ომიდან.

კვირეულის ქრონიკა

ამ.-კავ. და საქართველოს სასოფ.-სამეურნეო ბანკებში

შესდგა ამიერ-კავკასიის და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკების თანამშრომელთა გაერთიანებული კრება, რომელზედაც მოხსენებით საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის. ომის საშიშროების და ქვეყნის თავდაცვის პერსპექტივების შესახებ გამოვიდა ამ.-კავ. თავდაცვა-ავიაქიმის პასუხისმგებელი მდივანი. ამხ. ს. ეგიკოვი.

კრებამ გამოიტანა დადგენილება ესკადრილიის „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს"-ის ფონდის გასაძლიერებლად გადასდოს ნახევარი დღის ხელფასი.

სროლის შეჯიბრი ქუთაისში

თავდაცვის კვირეული ქუთაისში დაიწყო თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების სასროლე ტირის გახსნით და სასროლე შეჯიბრის მოწყობით.

პირველ დღესვე შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო 13 ჯგუფმა და 40 ცალკე მსროლელმა.

სროლა სწარმოებდა ჯილდოებზე. ჯილდო მიიღო ქართული მე-№ ლეგიონმა.

მუშათა ახალ კლუბში

14 და 15 ივლისს მუშათა ახალ კლუბში მოეწყო სროლის შეჯიბრი. შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო 110 კაცმა (აქედან 20 ქალი იყო). კლუბთან მოწყობილია ავიაქიმიური წრე—„ჩვენი პასუხი ჩემბერლენს". წრეში ჩაწერის მსურველები ბევრია. ამასთანავე მოწყობილია ქალთა სროლის წრე, რომელშიაც ჯერ-ჯერობით ჩაწერილია 18 ქალი.

კვირეულის განმავლობაში კლუბთან მოწყობილი იყო სამხედრო ლიტერატურის კიოსკი. წიგნების გაყიდვიდან შემოსული თანხის 50 პროცენტი მიდის თავდაცვა-ავიაქიმის ფონდში.

დღეს კლუბში ეწყობა გრანდიოზული საღამო-სეირნობა. მთელი შემოსავალი გადაეცემა თავდაცვა-ავიაქიმს.

გამოფენა რკინის გზელთა ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში

გუშინ, მოძრავი გამოფენა, მოწყობილი ქართული ჯარის ნაწილების მიერ წითელი არმიის და ფლოტის სახლში, ყველა თავისი განყოფილებები გადატანილ იქნა ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში.

საღამოთი კლუბში მოეწყო გრანდიოზული სეირნობა - წარმოდგენა თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად.

სეირნობის დროს გამოფენაზე ნაჩვენები იქნა არტილერიის და ტყვიამფრქვევის მოქმედება. რისთვისაც საველე ქვემეხებიდან და გაუბიცებიდან გასროლილ იქნა 40-მდე ამაო ყუმბარა.

ამ.-კავ. რკინისგზის სამმართველოში

ორშაბათს, 18 ივლისს, ამ.-კავ. რკინისგზის სამმართველოსთან იხსნება სამხედრო სექცია. სექციაში ჩაწერის მსურველთა რიცხვი დიდია.

ამ.-კავ. რკინისგზის სამმართველოსთან გახსნილი ქიმიური სექცია მუშაობას იწყებს ოთხშაბათს, 20 ივლისიდან.

სასპორტო სექცია ამ დღეებში დაიყოფა წრეებათ და შეუდგება მუშაობას.

სანიტართა გამოშვება

კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალში" მაისში დაარსდა სანიტარული წრე; ამ წრეში 30-მდე მუშაა, უმეტესობა ქალები. წრის მიზანია — ომის დროს სანიტ. დახმარების აღმოჩენა.

წრეს ხელმძღვანელობდა წით. ჯვრის საზ. ექიმი ამხ. აფზაროვი. წრეში მეცადინეობა სწარმოებდა თეორიულად და პრაქტიკულად. მუშები მეცადინეობდენ მუშაობის შემდეგ.

პრაქტიკულმა მეცადინეობამ მუშებში დიდი ხალისი გამოიწვია.

15 ივლისს ქარხანაში მოხდა ამ წრის გამოშვება, რომელსაც დაესწრენ წითელი ჯვრის საზოგადოების ც. კ. წევრები; მათ მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს მუშებს და უსურვეს წრეში მიღებული ცოდნის გამოყენება საჭიროების დროს.

კურსდამთავრებულ სანიტარ - მუშებს დაურიგდათ სათანადო მოწმობები.

მუშკორი ვანო.

თავდაცვის პროპაგანდა

მოსკოვი, 16 ივლისი. საკ. კომ. პარტ. (ბ) ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო ბიურომ განიხილა საკითხი სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის შესახებ საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის სამზადისთან დაკავშირებით.

აგიტპროპის კოლეგიის უახლოეს სხდომებზე მოსმენილი იქნება მოხსენებები თავდაცვა-ავიაქიმის ხელშემწყობ საზოგადოების, ფიზკულტურის საკავშირო საბჭოს, რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების, მთავპოლიტგანის და ქალთა განყოფილების მუშაობის შესახებ, ქვეყნის თავდაცვასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, ამავე ამოცანასთან დაკავშირებით, აგიტპროპის მიერ ცეკაში განსახილველად იქნება შეტანილი საკითხი პარტიაში და კომკავშირში პოლიტგანათლების დაყენების შესახებ.

დღეს ხონში საძირკველი ჩაეყრება

აბრეშუმის სახვევ ახალ ფაბრიკას

(ჩვენი ხონელ კორესპონდენტისაგან)

დღეს, 18 ივლისს, ხონისა და მისი რაიონის მშრომელი გლეხობა იზეიმებს ახალ, ძაფ-სახვევ ქარხნის საძირკვლის ჩაყრას. ახალი ქარხნის გახსნა გამოწვეულია მით, რომ ძველი ქარხანა ვერ ასწრებდა ხონის რაიონში დამზადებულ პარკის გადამუშავებას. ახალი ქარხნის აგებით, ერთის მხრივ, ფართო პერსპექტივები იშლება მეაბრეშუმეობის შემდეგი განვითარებისათვის, მეურნეობის იმ დარგის განვითარებისათვის, რომელიც წარმოადგენს ადგილობრივ მცხოვრებლების ეკონომიური კეთილდღეობის ერთ-ერთ ბურჯს და მეორე მხრივ კი სამუშაოს მისცემს ბევრ უმუშევარს. ყოველივე ეს თვალსაჩინოდ იგრძნო ხონის რაიონის მშრომელ გლეხობამ და მის აღფრთოვანებას საზღვარი არა აქვს.

ხსენებული ფაბრიკა იქნება 98 გობიანი (ძველი კი არის 48 გობ.).

სამუშაოთა დასაწყებათ უკვე ყველა წინასწარი მუშაობა ჩატარებულია: აგებულია მასალათა შესანახი საწყობები, მთლიანად დამზადებულია სილა და ხრეში, მომარაგებულია ცემენტი, რკინა, ხე-ტყე და მთელი საჭირო საამშენებლო მასალა. ქარხნის აშენების და მომავალი ექსპლოატაციის მიზნით გადმოყვანილია წყლის არხი დაახლოებით 300 საჟ. მანძილზე, გამოყვანილია ელსინათლეც, დაგებულია პატარა ლიანდაგიც მასალის გადასატან-გადმოსატანად და შენობის ბალავერიც უკვე გათხრილი და ამოღებულია.

ქარხნის აგება დასრულდება ოქტომბრის ბოლო რიცხვებში, ქვაბების დადგმა და საბოლოოდ ამუშავება კი უნდა მოხდეს 1928 წლის მაისს. მთელი მუშაობა, თანახმად შედგენილ ხარჯთაღრიცხვისა, ჯდება დაახლოებით 200 ათას მანეთამდე.

ამუშავების შემდეგ ფაბრიკაში ერთწყებათ იმუშავებს 250-მდე მუშა ქალი, 6 მექანიკოსი, 5 მუშა, ხოლო მოსამსახურეთა რიცხვი განსაზღვრულია 12-ით.

ძველი ფაბრიკის ეხლანდელი პროდუქცია ერთ წყებაში დღიურად უდრის დაახლოებით 1 ნახევ. ფუთს (ამოხვეულ მშრალ ძაფს), ხოლო ახალი ფაბრიკის ამუშავების დროს პროდუქცია აყვანილი იქნება 4—5 ფუთამდე ერთ წყებაში და რაიონში მოწეულ პარკის შესაძლო გადამუშავდება ადგილობრივ.

ამასთანავე ადგილობრივ ელსადგურზე, ადმასკომის მიერ ტრესტთან დადებულ პირობების თანახმად, ნაცვლად, 40 ცხ. ძალ. ძველი ტურბინისა დადგმულ უნდა იქნას 120 ცხ. ძალიანი ახალი ტურბინა. მუშაობა ამ დღეებში დაიწყება. ახალი ტურბინის დადგმის შემდეგ ელსადგური სავსებით დააკმაყოფილებს ფაბრიკის და ქალაქის მოთხოვნილებას.

ზეიმზე მთელი რაიონის გლეხობაა მოწვეული. სამუშაოთა მწარმოებლად უფროსად დანიშნულია ინჟ. **გიორგობიანი.**

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების დაუღალავი მზრუნველობით, ჩვენი ეკონომიურად ჩამორჩენილი კუთხე ნელ-ნელა იმართება წელში; უყურებ ამ სურათს და ფიქრობ, ნუ თუ კიდევ დარჩენილია ჩვენში ისეთი ბრმა ან ყრუ, რომ ეს ვერ დაინახა-გაიგონა და ასეთ აღმშენებლობას არ უწევს ანგარიშს, საათანადოთ ვერ აფასებს მას.

დეე, ჩვენმა მტრებმა ძლაყბონ რამდენიც სურთ (როგორათაც სჩვევიათ), ჩვენ კი განვაგრძობთ მუშაობას ქვეყნის აღორძინებლად.

ილ. ფალავა.

შოვის ელსადგური

ამ დღეებში ამუშავდება ახალი ჰიდრო-ელსადგური კურორტ შოვში. ელსადგური აგებულია მდინარე ჩაჩაზე სოფ. გლოლიდან 2 კილომეტრის დაშორებით. ჰიდრო-ელსადგურის აგებას ხელმძღვანელობდა სახელმწ. ელექტროტრესტი, რომელმაც სადგურის ყველა მოწყობილობები შეიძინა საბჭოთა კავშირის ქარხნებიდან.

აღნიშნული სადგურიდან სინათლე მიეცემა თვით კურორტ შოვს და ახლო-მახლო სოფლებს. ენერგია გამოყენებული იქნება აგრეთვე, სახერხი ქარხნისათვის და სხვა წარმოებებისათვის, რომელთა მოწყობაც განზრახულია მომავალ წელს.

სადგურის ძალოვნება უდრის 220 ცხენის ძალას და მისი აგება დაჯდა 60.000 მანეთამდე, რაც სპეციალისტების აზრით ძალიან იაფია.

გუშინ საღამოს შოვში გაემგზავრა სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს მიიღოს და შეამოწმოს აღნიშნული ჰიდროელსადგურის ნაგებობანი და მოწყობილობანი. კომისიაში შედიან—ს. მ. უ. ს. საელექტროფიკაციო განყოფილების უფროსი ინჟ. **ხიზანიშვილი**, საკურორტო სამმართველოს წარმომადგენელი და სახ. ელექტრო-ტრესტის სპეციალისტები.

სადგური ამუშავდება 20 ივლისიდან.

გლეხკომების ცენტრალურ კომიტეტის პლენუმი

მეორე დღე

პლენუმის მუშაობის მეორე დღეს გრძელდება ადგილებიდან მოხსენებების მოსმენა.

ზუგდიდის სამაზრო გლეხკომიდან მოხსენებით გამოდის ამხ. **ი. გაბუნია.** იგი ეხება გლეხკომის შემოსავალ-გასავალს და მუშაობის პროცესში მიღწეულ შედეგებს. სულ გლეხკომში შემოსავალი, საანგარიშო წლის განმავლობაში უდრის 4.093 მანეთს, ხოლო გასავალი 2.918 მან. დანარჩენი თანხა დატოვებულია ფონდში.

შემდეგ მოხსენებით გამოდიან—სენაკის მაზრიდან ამხ. **ა. მელია**, სიღნაღის მაზრიდან—ამხ **ს. ნატროშვილი** და სხ. სენაკის გლეხკომის წარმომადგენელი ეხება მთელ ჩატარებულ საქმიანობას, როგორიცაა სამაზრო გლეხთა სახლის მოწყობა, ურთიერთი დახმარება და სხვა.

თელავის სამაზრო გლეხკომის თავმჯდომარე ამხ. მ. ჩეკურიშვილი აღნიშნავს, რომ მაზრის გლეხკომების განკარგულებაში არის 17 სხვა და სხვა წარმოება აქედან 14 წისქვილი, ბორანი, 4 ტრაქტორი, ვაზის სათბური, სახარაზოები, აგურის ქარხნები 4, სადენი მანქანა და სხვა. სამეურნეო იარაღები. ექვსი თვის განმავლობაში გლეხკომს შემოსავალი ჰქონდა 36,900 მანეთამდე. აქედან დახმარებათ გაუცია 14000 მანეთი. შემოსავლის დანარჩენი ნაწილი წარმოებაშია დაბანდებული ხოლო ნაწილი შეტანილია ფონდში.

საღამოს სხდომებზე მოხსენებები გააკეთეს რაჭის, შორაპნის, ლეჩხუმის, აჭარისტანის და ყველა დანარჩენი სამაზრო გლეხკომების წარმომადგენლებმა.

ახალციხის სამაზრო, გლეხკომის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ გლეხკომებს ჰყავთ 10.815 წევრი. საწევრო გადასახადი შემოსულა 7.739 მანეთი. სულ შემოსავალი უდრის 24.837 მანეთი. დახმარების სახით დახარჯულა—4290 მანეთი. საანგარიშო პერიოდს განმავლობაში გლეხკომის კუთვნილ საწარმოებლად შემოსულა 52.377 მანეთი.

დღეს საღამოს დასრულდება პლენუმის მუშაობა.

სახკომსაბჭოში

საყინვე საქმის კომიტეტში

ამ.-კავ. ვაჭრობის სახ. კომისარიატთან არსებული ამ.-კავ. საყინვეს საქმის კომიტეტის წევრად დანიშნა ამხ. კაკაბაძე (ვაჭრობის კომისარიატი), ხოლო—ამხ. კოჯაიაძე — შემცვლელად საქართველოს სახ.-სამ. ბანკის წარმომადგენელი.

ფინსახკომთან არსებულ საკონტროლო საბჭოში

საქართველოს ფინსახკომთან არსებულ საკონტროლო კომისიის წევრების ამხ. მთავრობლაძის (შრომის სახალხო კომისარიატიდან) და კაკაბაძის (მ.-გ. ინსპექციიდან) სხვა დაწესებულებებში გადაყვანის გამო, აღნიშნულ კომისიის წევრებად დაინიშნენ ამხ. ჭელიძე (შრომის სახ. კომისრის მოადგილე) და ამხ. აკირტავა (მ.-გ. ინსპექციის სახ. კომისრის მოადგილე).

სახელმწიფო სპირტისა და სახ. მამულების ტრესტის გაერთიანება ერთ ორგანოში

ეკონომიური საბჭოს მიერ არჩეულ კომისიის დადგენილებით, ს. მ. უ. საბჭოს „სახელმწიფო სპირტის" სალიკვიდაციო ბალანსის შედგენამდე, ამ ტრესტის მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობა დაეკისრა მიწსახკომის სახალხო მამულების ტრესტს. ხსენებულ დაწესებულებათა გაერთიანების საქმის ჩასატარებლად უნდა დაინიშნოს კომისია მ.-გ. ინსპექციის სახ. კომისარიატის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით.

პურეულის ბალანსის შემფასებელი საბჭოს გარდაქმნა

სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოსთან არსებული პურეული—საკვების ბალანსის შემფასებელი კომისია გარდაიქმნა სასოფლო-მეურნეობის პროდუქციის შემფასებელი საექსპერტო საბჭოდ.

საგეითლო საქმის კომიტეტის ორგანიზაცია

მიწსახკომის დასკვნის თანახმად, სახკომსაბჭოს გამწესრიგებელ სხდომამ მიზანშეწონილად სცნო საგეითლო საქმის კომიტეტის მოწყობა რ. ს. ფ. რ. მიწსახკომთან.

ქაღალდის ფაბრიკა

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ გამწესრიგებელ სხდომამ ნება დართო საქართველოს ს. მ. უ. ს. საბჭოს ხელშეკრულება დასდოს საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. ქაღალდის მრეწველობის სამეცნიერო-ტეხნიკურ საბჭოსთან ჯვარის ქაღალდის ფაბრიკის ახალი პროექტის შედგენის შესახებ.

ზუგდიდი-ჯვარი

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ ნება დართო საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს ზუგდიდ-ჯვარის რკინის გზის შტოის გაყვანის საქმე გადასცეს შავი-ზღვის რკინის გზის სამმართველოს

ახალი ხიდი

ამჟამად აჭარისწყალზე შენდება ახალი ხიდი, ხიდს აგებს აჭარისწყალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის საამშენებლო სამუშაოთა სამმართველო. ხიდი შენდება ბათომ-ხულოს გზატკეცილზე. სწორედ იმ ადგილს, სადაც მდ. აჭარისწყალი შედის საფსკეროო გვირაბში. ამჟამად სწარმოებს ხიდის ბურჯების აგება, რკინის ფერმა ხიდისათვის უკვე მოტანილია. ხიდის სიგრძე 25 მეტრს უდრის.

პროფაქტივის ჩაბმა

თბილისის საბჭოს სექციებში

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა საორგანიზაციო განყოფილების მიერ შემუშავებული პროექტი თბილისის საბჭოს სექციების მუშაობაში ძირითად უჯრედების პროფაქტივის ჩაბმის შესახებ.

პირველ რიგში, თბილისის საბჭოს სექციების მუშაობაში ჩაბმული იქნება 300 კაცი ყველა კავშირებიდან. თბილისის საბჭოსთან პროფაქტივის მიმაგრება გატარებული იქნება ფაბქარხადგილკომების საშუალებით.

მიმაგრება გატარებული იქნება მუშა-მოსამსახურის ნებაყოფლობით და სრული თანხმობით. ყველა აქტივისტი მიმაგრების შემდეგ უნდა ჩაეწეროს სამუშაოდ თბილისის საბჭოს ერთ-ერთ სექციაში.

კავშირების ცენტრალურ გამგეობებს და ფაბქარხადგილკომებს დაევალა პერიოდულად მოისმინონ მოხსენება პროფაქტივისტებისა და საბჭოს სექციებში მუშაობის შესახებ და მიიღონ ზომები მათი ნორმალურ მონაწილეობისათვის საბჭოს მუშაობაში.

მსოფლიოს ამბები და ქართველი ხალხი

8

რევოლიუციის მიმართულება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და აღმოსავლეთ იდან დასავლეთისაკენ

მთელი კაპიტალისტური წყობილების განვითარების ანალიზი სულ უკანასკნელ დრომდე ჩვენ გვანახებს მის ორს უმთავრეს ფორმას, ჩვენ ვხედავთ მისი ჩამოყალიბების ორ სახეს: ერთია კაპიტალიზმის ნორმალური გზით ჩამოყალიბება, ე. ი. საშინაო საერთო კულტურის წიაღიდან მისი თანდათან უმაღლეს საფეხურებზე ასვლა, მეორე—მისი ზევიდან მოვლინება, არა ორგანიული პროცესის გზით, მისი, ისე ვსთქვათ, ექსპლოსიური ფორმა. ევროპის კონტინენტი წარმოადგენს კაპიტალიზმის ნორმალურის გზით განვითარებას, ხოლო ყველა კოლონიალურ და ჩამორჩენილ ქვეყნებში კაპიტალიზმი ჩნდება „ერთბაშად", ექსპლოსიურად, რამდენადაც პირველი პროგრესიულია, იმდენად მეორე რეაქციონურია, ვინაიდან ამ ექსპლოსიურ კაპიტალიზმს არავითარი ფესვები არ აქვს ადგილობრივ ცხოვრების პირობებში; ის ევლინება ადგილობრივ ხალხს ქარხანის სახით, მაგრამ ამ ქარხანას ამავე ხალხში არავითარი სოციალური კვანძები არ აქვს. ექსპლოსიურ კაპიტალიზმის ქარხანა სრულიად შემთხვევითი მოვლენაა, მას აარსებენ მომენტისათვის, რათა მომენტი, არსებული ხელსაყრელი მდგომარეობა კოლონისტ-კაპიტალისტმა სწრაფად გამოიყენოს. როგორც კი ეს უკანასკნელი თავის მისიას შეასრულებს, ან როგორც კი მას აქ აღნაგ არახელსაყრელი პირობები დაუდგება ის ისევე დაბრუნავს და აბარგავს თავის ქარხანას, როგორც ტურისტი აბარგავს ხოლმე თავის გუდანაბადს. ჩვეულებრივი მოგზაურობის დროს. შანხაიში ინგლისელებმა ფართლეულობის ქარხნები ააშენეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩინელი კული (მუშა) ათჯერ იაფია ინგლისელ მუშაზე. ხოლო როგორც კი ჩინელი მუშა ადამიანობის უფლებებს მოითხოვს და ინგლისურ მუშასავით იბრუნებს მაღალს ხელფასზე, ყველა ეს ქარხნები ისევე გაქრება, როგორც 1903—4 წლებში ხელფასის მომატების ნიადაგზე ქალაქ ბათომიდან გაჰქრა მთელი რიგი წარმოება-ქარხანა, რომელიც ინგლისის და ბელგიის კაპიტალისტებმა ალექსანდრიაში გადაიტანეს.

საქარხნო კულტურის ასეთი „ხეტიალი" ევროპაში შეუძლებელია, ვინაიდან აქაურ საქარხნო წყობილებას მთელ საზოგადოებაში აქვს ფესვები გადგმული, აქ ქარხანა ეკზოტიური მცენარე კი არ არის, არამედ ძალა, რომელსაც საზოგადოების ყოველ უჯრედში ლოშა და მაგარი სოციალური ქსელი აქვს გადგმული.

კოლონიებში თარეშობენ არა მხოლოდ ევროპიელი კაპიტალისტები პერსონალურად, პირადათ, ისინი ასევე ათარეშებენ მთელ ქარხნებსაც. არც ერთი ევროპიელი ამჟამად თავის სამრეწველო მოწყობას კოლონიაში არ უყურებს, როგორც სისტემას, იგი მას უყურებს მხოლოდ როგორც შემთხვევას, როგორც მომენტს, როგორც ეპიზოდს. ეს იმიტომაც ხდება, რომ არც ერთს ევროპიელ კაპიტალისტს თავის წარმოების ბაზა არ აქვს კოლონიაში, კოლონიებში იგი მიდის არა ბაზით, არა თავისი მთავარი ხელობით და მთავარი წარმოებით, არამედ ის ევლინება კოლონიებს, როგორც ფილიალი, როგორც ნაწილაკი, როგორც სამრეწველო აგენტურა.

აი, ამიტომ არის, რომ კოლონიალური კაპიტალიზმი და მისი ექსპლოსიური ფორმა არსად ისე პარაზიტული არ არის, როგორც კოლონიებში, არსად ისე ტლანქი, ბარბაროსული და ბრუტალური არ არის, როგორც კოლონიებში. კოლონიალური კაპიტალიზმის ეს მხეცობა მარტო იმაში კი არა სჩანს, რომ იგი საშინლად ყვლეფს ადგილობრივ მკვიდრს, მისი ბატონობის და მოვლინების გარეგნული ფორმებიც პირდაპირ განმაცვიფრებელია. საკმარისია შეეხოთ მის რომელსამე სულისდგმას და თქვენ ის თავს დაგატეხს საშინელებას, რომელზეც კოლონიალურ ხალხს წარმოდგენაც არ შეუძლია. მოახდინეთ თქვენ უბრალო ტერორისტული აქტი ასეთ მხეც ევროპიელ კაპიტალისტზე და თქვენ მოწამე იქნებით იმისა, რომ ერთის ხელის დაკვრით გაანადგურებენ თქვენს მთელს ხალხს, მთელს თქვენ ქონებას. ამის შესანიშნავ სურათს თქვენ გაჩვენებს ამჟამად ინგლისის პოლიტიკა ჩინეთში. ევროპის კულტურულმა სახელმწიფოებმა მთელი ქალაქი ნანკინი დაანგრიეს, 7000 კაცი დახოცეს რამოდენიმე მხეც სოვდაგარისათვის. განა წარმოსადგენია ასეთი მოვლენა ევროპაში? გერმანიის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცეცხლ-ცხელების დროს წმინდა პოლიტიკურ ტერორს მსხვერპლი იყო ბავარიის მინისტრთა პრეზიდენტი ეისნერი (1919 წ.), მაგრამ განა ამით მიუნხენის რომელიმე სახლმა უბრალო შპანელის „გავლენა" იგრძნო. 1922 წელში სოციალისტმა გამოასალმეს საგარეო საქმეთა მინისტრი რატენაუ, მაგრამ ამის გამო ბერლინის თუნდაც რომელიმე სახლი დაანგრიეს? მაგრამ აბა ხელი ახლოს ვინმემ შანხაიში უბრალო გენერალ ადმირალს დუნკანს და თქვენ დაინახავთ, რომ მთელი მიდამო ცეცხლის და მახვილის პირში იქნება მოქცეული. ეს ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ როგორც ევროპიულ კაპიტალიზმს კოლონიაში არავითარი სოციალური ქსელი არ აქვს ადგილობრივ ცხოვრებაში, ისე ევროპიულ მთავრობას არავითარი ორგანიული ქსელი არ აქვს კოლონიის ხალხთან და ამ უკანასკნელი ხალხის დანგრევა-დარბევით არ იქნება დარღვეული არც ერთი მისი საკუთარი ინტერესი.

ასეთს ეკონომიურს და პოლიტიკურ პირობებში ხანგრძლივი არსებობა შეუძლებელია. ყოველი კოლონია პირველ ყოვლისა ცდილობს კაპიტალიზმის ექსპლოსიური ფორმა შესცვალოს ნორმალური და სოციალური ეკონომიკის განვითარებით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებში და კოლონიებში არ შეიძლება ნორმალური ეკონომიკის შექმნა გარეშე სახელმწიფო ძალის ჩარევისა, არ შეიძლება ჩვეულებრივის გზით, გარეშე პროტექციონიზმისა, უშუალო ხელმძღვანელობისა, აშკარა გეგმისა. ევროპიული კაპიტალი და ევროპიული ქარხანა ყოველ ადგილობრივად წამოწყებულ საქმეს ჩაყლაპავს დაუყოვნებლივ თუ ეს კაპიტალი „მიშვებულ იქნა ბუნებრივის" გზით როგორც ამას ნ. ჟორდანია ბრძანებს.

მაგრამ ყველა ჩამორჩენილ ქვეყნის, ყველა კოლონიის ეკონომიური განვითარების აუცილებელი პირობაა რათა ის კაპიტალიზმი, რომელიც მას ექსპლოსიურად მოევლინა, გადაატრიალოს იქ მხრივ, რომ მას შემოაგლიჯოს ფილიალის იარლიყი. მას მოაშოროს ზედმეტი ტომარა, მან მოაშოროს თვითონ უცხოელი და გახადოს იგი ექსპლოსიურად მოსულ წარმოება, როგორც ერთი უმთავრესი ფაქტორი ნაციონალური მრეწველობისა. ესე იგი კოლონიის განვითარების შინაგანი ბუნება მოითხოვს ორ ხასიათის აქტს: ნაციონალიზაციას წარმოების და განდევნას უცხო ბრუტალურ კაპიტალისტის, ე. ი. რევოლიუციას. მაგრამ რაკი ნაციონალიზაცია და რევოლიუცია ორივე თავმოყრილია პირდაპირ სოციალისტურ სისტემაში, სოციალისტურ მოძღვრებაში, სოციალისტურ პოლიტიკაში, ამიტომ კოლონიალურ ხალხების პირველივე განმანთავისუფლებელი ნაბიჯები ღებულობენ სოციალისტურ მოძრაობის ხასიათს და მისი განვითარება, როგორც ხედავთ მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტური აღმშენებლობით შეიძლება.

თუ დღეს საქართველო შენდება და ქართული უმაღლესი ეკონომიური ფორმები ქართულ სოციალურ სამოსელში ეხვევიან, ესე იგი თუ ჩვენ ვხედავთ მთელი ჩვენი კულტურის აღდგენა-განახლებას და ისტორიულ ტრანსფორმაციას, ეს ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენში მუშაობა სწარმოებს ფართო ნაციონალური და რევოლიუციონური, ე. ი. ანტიკაპიტალისტური გზით და არა კაპიტალისტურის გზით.

აქედან ჩვენ გამოგვყავს შემდეგი გენერალური დებულება: ჩამორჩენილ ქვეყნების და კოლონიების თანამედროვე მოძრაობას აქვს აშკარა სოციალისტური ხასიათი, ის უაღრესად რევოლიუციონური მოვლენაა.

სოციალ-დემოკრატიული პარტია მთლიანად, ხოლო კერძოდ მისი უმემარჯვენესი ფრთა ქართველი მენშევიკები მუდამ იმის მტკიცებაში არიან, რომ ჩამორჩენილ ქვეყნებში შეიძლება მხოლოდ ჯანყი, შფოთი, ამბოხება, მაგრამ არა რევოლიუციის, არა ფართო ხასიათის საზოგადოებრივი პოლიტიკური მოძრაობა. მთელი აღმოსავლეთი-აზია, რევოლიუცია ხომ კულტურის შედეგია, ხოლო აზია უკულტუროა, როგორ შეიძლება უკულტურო ხალხების რევოლიუციაო—აი როგორ მსჯელობენ სოციალ-დემოკრატები. კულტურას და რევოლიუციას ჩვენ მოველით მხოლოდ დასავლეთიდან და ევროპიდანო—გაიძახიან ისინი. რაკი სოციალ-დემოკრატიული პარტია ასე ზერელედ უყურებს კოლონიალურ ხალხების პრობლემას, ისინი მთლიანად ჩარიგებული რჩებიან მთელი აღმოსავლეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობიდან, ესე იგი პარტია ირიყება თანამედროვე რევოლიუციონურ მოძრაობიდან საზოგადოთ.

ასევე ეპყრობა სოციალ-დემოკრატიას თვით კოლონიალური ხალხები. არც ერთს უდიდეს კოლონიალურ ქვეყანაში, სადაც განაწამები ხალხი იბრძვის განთავისუფლებისათვის, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ აქვს არავითარი გავლენა და პატივისცემა. ჩინეთის რევოლიუციის დღესასწაულში, სადაც პოლიტიკურ დემონსტრაციებში ორასი და სამასი ათასი კაცი იღებს მონაწილეობას თქვენ დაინახავთ წითელ დროშების ტყეს, თქვენ ხედავდით სუნ-იატ-სენის სურათს, თქვენ ხედავდით ლენინის სურათს, მაგრამ არც ერთი სურათი არც კაუცკის, არც რენოდელის, არც ვანდერველდეს, არც მაკდონალდის. ეს არის შესანიშნავი ისტორიული დემონსტრაცია და ილიუსტრაცია კოლონიალურ ხალხების კომუნისტურ და სოციალ-დემოკრატიულ პარტიებისადმი დამოკიდებულებისა. ამგვარად ჩამორჩენილმა და განაწამებმა ხალხებმა მშვენიერი პასუხი გასცეს მსოფლიო სოციალ-დემოკრატიას, მას პირდაპირ ზურგი შეაქციეს და ბოიკოტი გამოუცხადეს.

მაგრამ ჩვენ ნუ დავკმაყოფილდებით მარტო ასეთ განმარტებით. რევოლიუციის ისტორიული მიმართულების ანალიზი მეტისმეტად რთული, მეტად დიდი საკითხია, მას აქვს ძალიან დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ის გარემოება, რომ რუსეთი გარდაიქცა უმტკიცეს საფუძვლად და ფორპოსტი საერთაშორისო რევოლიუციისა აიხსნება არა მარტო იმ გარემოებით, რომ ამას სურვილი ჰქონდა კომუნისტურ პარტიას, ეს მიეწერება არა ჟინს და თავხედობას კომუნისტებისას, როგორც ამას ნ. ჟორდანიას ხალხი ფიქრობს, არა აქ არის მთელი ისტორია, მთელი ლოღიკა მსოფლიოს ეკონომიკის და პოლიტიკის ვითარებათა.

გავშალოთ შინაარსი ამ ვითარებათა, მოვნახოთ კანონი იქ, სადაც ბევრი შემთხვევას ხედავს, ვნახოთ შინაგანი ვითარებანი მოვლენათა იქ, სადაც ბევრი ავანტიურას ამჩნევს, მხოლოდ ცხოვრების საფუძვლების ანალიზი დაგვანახებს აშკარად, რომ მთელი ჩვენი თანამედროვე სოციალისტური მუშაობა არის არა უბრალო ქარით მობერილი სტიქია, არამედ იგი ორგანიული მოვლენაა, სოციალ-ლოღიკური შედეგი მთელი თანამედროვე ეკონომიური და პოლიტიკური პროცესების.

აბა დააკვირდით მსოფლიოს ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებას. აქაც ჩვენ შევეხებით და მოვიყვანთ ყველასათვის ცნობილ ფაქტებს.

რამდენიმე საუკუნის ევროპის ისტორიას რომ დააკვირდეთ, თქვენ მყისვე დაინახავთ, რომ მე-19 საუკუნის შუაგულამდე მთელი ევროპა სისტემატიურად გახვეული იყო შინაურ ომებსა და რევოლიუციებში, ხოლო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მეოცე საუკუნემდე ომიც მცირდება და რევოლიუციის ალიც ნელდება ევროპაში. სოციალ-დემოკრატიული მსჯელობა, რომ მართალი იყოს, მაშინ ჩვენ უნდა დაგვენახა ევროპაში კაპიტალიზმის მეტის განვითარებით, კაპიტალიზმის მომწიფებით, კულტურა - განათლების მეტად გავრცელებით ევროპაში რევოლიუციის ალის არათუ შემცირება და ჩაქრობა, არამედ მისი გადიდება, მისი გაღრმავება, რევოლიუციის ხშირად მოვლინება. მაგრამ ჩვენ სრულიად ამის საწინააღმდეგო მოვლენას ვხედავთ. თვით საფრანგეთი, რომელიც მუდამ და ყველას მიერ მიჩნეული იყო, როგორც სამშობლო ყოველგვარი შფოთისა, სადაც თითქოს ყოველ ფრანგის სისხლში ამჩნევდნენ რევოლიუციის ვიბრიონებს, სადაც მართლა თითქმის ყოველ დიდი ქალაქის ყველი ქუჩა მორწყულია რევოლიუციონური სისხლით, თქვენ ხედავთ, რომ ამ „ტემპერამენტოვან" საფრანგეთში მთელი 56 წლის განმავლობაში ერთხელაც აღარ ამოვარდნილა რევოლიუციის ალი და თითქოს სადღაც ჩაღუპულა იგი.

საფრანგეთის და პარიზის მაგალითი ტიპიური მოვლენაა მთელი ევროპისათვის და არა მხოლოდ შემთხვევა. ჩვენ კარგად უნდა დავაფასოთ ამ შესანიშნავ მოვლენის მნიშვნელობა, ვინაიდან ჩვენ აქ ვხედავთ ნასკვნებს და მთელს შინაარსს მსოფლიოს პოლიტიკის უმთავრეს საიდუმლოების.

ჩვენ ვსთქვით, რომ ომი და რევოლიუცია — ეს ორი მოვლენა ერთი-მეორეს რომ მისდევს, ერთი მეორეს რომ ეჭიშვება და რომელნიც ხშირად ერთი მეორეს რომ სცვლიან, თანდათან გადადის ევროპის ქვეყნებიდან ჩამორჩენილ და დაზარალებულ ქვეყნებისაკენ და მიდის იმ მიმართულებით, სადაც კაპიტალიზმი წყნარი, მყუდრო და ნორმალური კი არ არის, არამედ, სადაც კაპიტალიზმი იშლება, როგორც მღელვარე ზღვის ტალღები, სადაც ის მშფოთვარეა, სადაც ის შხუის, ერთი სიტყვით, სადაც ის აკეთებს ათას ჰეშეფტებს, სადაც ის ეპიზოდიური ნახტომებით მიდის წინ, სადაც ის იღებს ვახშურ სარგებელს, სადაც ის ექსპლოსიური ხასიათის არის.

დიახ, რევოლიუციის მიმდინარეობა აღმოსავლეთისაკენ და კოლონიალურ ქვეყნებისაკენ არის პირმშო შვილი მთელი თანამედროვე კაპიტალისტური წყობილების შინაგანი განვითარებისა და ჩვენც, როგორც ერთი აღმოსავლეთის ქვეყანა, ვიმყოფებით ამ ისტორიულ პროცესის შუაგულში.

მე-15 საუკუნიდან შიდა ევროპა იმყოფება გამუდმებულ ომის მდგომარეობაში. 1492 წლიდან, 1598 წლამდე,—ამბობს ამ საკითხის გამომრკვევი როზენტალი—ე. ი. 106 წლის განმავლობაში სამხედრო ოპერაციები გრძელდებოდა ოთხმოცი წლის განმავლობაში. 1689 წლიდან 1815 წლამდე, ე. ი. 126 წლის განმავლობაში ჩვენ გვაქვს ევროპაში 64 ოფიციალური ომი, მაგრამ 1815 წლიდან მთელი 60 წლის განმავლობაში, როცა მთელი ევროპა ყველაზე უფრო შეიარაღებული იყო, ხოლო გარეგნულად ევროპას უნდა ეწარმოებია გაცილებით მეტი ომი, ვიდრე ის აწარმოებდა წარსულში, როცა ის ნაკლებად იყო შეიარაღებული, ჩვენ ვხედავთ მხოლოდ რამდენისამე ომს. 1849 წელში ჩვენ ვხედავთ ომს პრუსიასა და დანიის შორის, 1859 წელს იტალიის ომს, 1864—66 წ. ომს დანიასთან და ავსტრია-პრუსიის შორის, 1870 წელს ომს გერმანია-საფრანგეთ შორის.

როგორც ვხედავთ, ომები თანდათან მცირდება ევროპაში. მაგრამ ევროპის შინაური მშვიდობიანობა სრულებით არ ნიშნავს ნამდვილ მშვიდობიანობას; ევროპა ამ ხნის განმავლობაში აღარ ომობს შინ, თავის საკუთარს სახლში, მაგრამ მან გადაიტანა ომი იქ, სადაც გადაიტანა თავისი კაპიტალი, ესე იგი ევროპამ ომის ცეცხლი გადაიტანა აღმოსავლეთსა და სხვა კოლონიალურ ქვეყნებში.

გატყავება ჩამორჩენილ ქვეყნების, დამონავება და გაფცქვნა უკულტურო ერების, ნორმალური სარგებლის მაგიერ კოლოსალური სარგებლის მიღება— აი, მომწიფებული ევროპიულ კაპიტალიზმის ლოზუნგი. და ამ ევროპას ომის მიმართულება გადააქვს აღმოსავლეთსა და კოლონიებისაკენ.

აბა დააკვირდით შემდეგ ისტორიულ ამბებს. 1853—56 წ. წ. ევროპა აწარმოებს და იწყებს აღმოსავლეთთან (ოსმალეთთან) ომს, 1858 წელში ჩვენ ვხედავთ ინგლისის ომს ჩინეთთან, 1879 წელს ინგლისელები კაფრებს ებრძვიან. 1879 და 1881 წლებში ინგლისელები ომობენ ინდოეთში, 1881—1895 წლებში საფრანგეთი ებრძვის მადაგასკარს, 1888 წ. საფრანგეთი ებრძვის ჩინეთს. 1899 წელს ინგლისი ებრძვის აფრიკაში ბურებს, 1894 წელს იაპონია ებრძვის ჩინეთს, 1904 წელში ჩვენ გვაქვს რუსეთ-იაპონიის ომი.

განა ეს ისტორიული ამბები არ გვიჩვენებენ ჩვენ კაპიტალისტურ წყობილების მსვლელობა - მიმდინარეობის მთელს სიღრმეობას? განა ეს ფაქტები არ გვარწმუნებენ, რომ ევროპამ ევროპიდან გადაიტანა ომის გეზი აღმოსავლეთსა და სხვა კოლონიებში, ე. ი. კაპიტალისტური ექსპანსიის მიმართულებით?

რისთვის ეწეოდა ევროპა ამ ომებს? მხოლოდ იმისთვის, რომ მას მთლიანად და უფრო კარგად დაემონავებია უბედური ქვეყნები და უბედური ხალხები. 1914 წლამდე ამ ომებში 40 წლის განმავლობაში ინგლისმა მოიგო და დაიმონავა 142 მილიონი ხალხი, ძველმა რუსეთმა ამავე ხნის განმავლობაში დაიმონავა 15 მილიონი ხალხი, საფრანგეთმა ხელში ჩაიგდო 45 მილიონი ხალხი, ამერიკამ—(შეერთებულმა შტატებმა) 10 მილიონი, იაპონიამ 16 მილიონი ხალხი. ამ უკანასკნელ 40 წლის განმავლობაში კაპიტალისტურმა დიდმა 6 სახელმწიფომ სულ დაიპყრო 250 მილიონი ოთხკუთხედი კილომეტრი. აი, შედეგი იმპერიალისტური კამპანიის. ევროპა არ ომობდა თავის სახლში, მაგრამ ის ომობდა გარედ და იპყრობდა უამრავ ხალხებს, ხელში იგდებდა უამრავ მიწა-ადგილებს. ევროპა მშვიდობიანობას ქადაგებდა შინ და მშვიდობიანობის ლიგას აარსებდა, თითქოს ომი არ უნდოდა და ამისთვის „ხალხთა ლიგა"-ს ქმნიდა, მაგრამ ნამდვილად კი ევროპას არასოდეს არ უწარმოებია ომი, ისე სასტიკი ,ისე ულმობელი, ისე ნაყოფიერი მისთვის როგორც ამ „მშვიდობიანობის" ქადაგების დროს. არასოდეს ეს ომები არ ყოფილა ისე სასტიკი, როგორც ახლა და ამ დროს.

როცა ეს ომები თვით ევროპაში ხდებოდა,—როცა კაპიტალისტები უმთავრესად საკუთარ მუშათა კლასზე ახდენდნენ შეტევას და თავდასხმას, მაშინ რევოლიუციის სიმართლე ყველას ესმოდა, მაგრამ ახლა, ყველა ამ ფაქტების შემდეგ ჩვენ გვინდა ვიკითხოთ: რად არ უნდა ესმოდეს ყველას აღმოსავლეთ ქვეყნებში წარმოშობილ რევოლიუციების სიმართლე. ნუ თუ ყველასათვის აშკარა არ არის ამის შემდეგ რევოლიუციების მიმართულებაც სწორედ ამ ხაზით, ამ გზით იქნება და არა სხვა გზით. ვინც დღეს მნიშვნელობას უკარგავს და არ აფასებს აღმოსავლეთის ხალხის რევოლიუციონურ მოძრაობას, ის მხოლოდ და მხოლოდ მნიშვნელობას უკარგავს თვითონ რევოლიუციას საზოგადოთ. ვისაც რევოლიუცია და რევოლიუციონური მუშაობა სწყურია ის უნდა მივიდეს რევოლიუციასთან, იქ, სადაც რევოლიუცია სწარმოებს. მენშევიკები სიტყვით თითქოს რევოლიუციონერები არიან, მაგრამ სხედან ბერლინში, პარიზში, ლონდონში და უცდიან იმ დროს, როცა ევროპაში რევოლიუცია მოხდება.

დააკვირდით კიდევ ევროპის რევოლიუციებს. ჩვენ გვაქვს მეჩვიდმეტე საუკუნეში რევოლიუცია ინგლისში, ჩვენ გვაქვს მე-18 საუკუნეში რევოლიუცია საფრანგეთში, ე. ი. 1789 წელს, შემდეგ რევოლიუციონური გამოსვლა პარიზში 1810, 1830, 1838, 1848 წ. 1871 წელს. ავსტრიასა და გერმანიაში ჩვენ გვაქვს რევოლიუცია 1848 წელს. მეორმოცე წლებში ჩვენ გვაქვს ჩარტისტული მოძრაობა ინგლისში. როგორც ხედავთ, რევოლიუციების მთელი წყება ამოიწურება მე-19 საუკუნის შუაგულით, შემდეგში გვაქვს ჩვენ მხოლოდ პარიზის კომუნა, ხოლო გადის მთელი 50—60 წელიწადი და არც ერთს დიდ ევროპიულ სახელმწიფოში აღარ სჩანს რევოლიუცია. სად გაქრა რევოლიუციების ცეცხლი? რა საკვირველია, რევოლიუციის ცეცხლი საზოგადოთ არ გამქრალა, ევროპის ზეკაპიტალიზმის პირობებმა შექმნეს რევოლიუციის ახალი პირობები, ახალი პლაცდარმი, ახალი ასპარეზი, ახალი კონტინენტი, ახალი კონტინენტი და აი, ამ ქვეყნებისაკენაც გადავიდა ცეცხლი რევოლიუციის. თუ ჩვენ ევროპაში ვეღარ ვხედავთ რევოლიუციის ძალას, სამაგიეროდ აღმოსავლეთის ქვეყნებში ჩვენ ვხედავთ რევოლიუციის მთელს მრისხანებას, რევოლიუციის უსასტიკეს ფორმებს. ბევრს გონია, რომ აღმოსავლეთურ რევოლიუციების სიმკაცრე აღმოსავლეთის ხალხის უკულტურობის შედეგია, ჟორდანია ამ რევოლიუციებს ბარბაროსულ რევოლიუციებს უწოდებს, ნამდვილად კი ამ მოვლენის ასე იდეალისტურად ახსნა მხოლოდ ზერელე გონების ნაყოფია. რევოლიუციის სტიქია გამომდინარეობს კაპიტალიზმის პირობებიდან, ხოლო კაპიტალიზმის უსასტიკესი და ბარბაროსული ფორმები იწვევენ რევოლიუციის ასევე სისასტიკეს. წავიდა დრო „რეფორმისტული რევოლიუციების", კაპიტალიზმი აყენებს მისთვის ყოფნა არ ყოფნის საკითხს, კაპიტალიზმის თავდაცვის ორგანოებმა აღარ იციან არავითარი ზომიერება და აშკარაა, ყველა არსებული და დიდი ქვეყნებს რევოლიუციები იღებენ და მიიღებენ მეტად სასტიკ ფორმებს.

მეოცე საუკუნე გაიშალა ჩვენს წინაშე, როგორც საუკუნე ახლად გამოღვიძებული აღმოსავლეთის ხალხების, როგორც საუკუნე აღმოსავლეთში რევოლიუციონური მიმართულების გაძლიერებისა.

ამ ახალ საუკუნის პირველსავე მეოთხედში ჩვენ გვაქვს მთელი წყება რევოლიუციისა სწორედ აღმოსავლეთში. 1905 წელში რევოლიუციის ზარი რუსეთში დაირეკა, ხოლო ხსენებულ მოკლე დროის პერიოდში ძველმა რეჟიმმა და მეფეებმა დაკარგეს ტახტი (რევოლიუციონურ მოძრაობის მეოხებით) რუსეთში, სპარსეთში, ოსმალეთში, ჩინეთში.

როცა ამ ვეებერთელა აღმოსავლეთის სახელმწიფოებში რევოლიუციონურმა ხალხმა სამუდამოდ აღკვეთეს მეფეების რეჟიმი, როცა ამ უკულტურო ხალხმა გაიგო, რომ მეფეების საშუალებით აღარ შეიძლება ცხოვრება და განვითარება,—აი, ეს ელემენტარული, მაგრამ დიდი რევოლიუციონური ჭეშმარიტება დღესაც ვერ შეუგნია უკულტურონიზეს ინგლისს, სადაც ქვეყანას ისევ მირონცხებული მეფე განაგებს.

დიახ, აღმოსავლეთში წარმოებული შექმნილი რევოლიუციები არიან პირმშო შვილნი რთული სოციალ-ეკონომიური ვითარებისა, აუცილებელი შედეგი ზეკაპიტალიზმის განვითარებისა.

საქართველოც ამ კანონიერ, ამ შესანიშნავი რევოლიუციონურ მოძრაობაშია გახვეული. ჩვენ ფაქტიურად მთელს აღმოსავლეთთან ხელი-ხელ ჩაკიდებული მივდივართ რევოლიუციის გზით სოციალიზმისაკენ და მთელი აღმოსავლეთის რევოლიუციონური გამარჯვება ერთი უმთავრესი საწინდარია ჩვენი თავისუფლების და ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის გამარჯვებისა.

მაგრამ ჩვენს რევოლიუციონურ მოძრაობას, ჩვენს სოციალისტურ - პოლიტიკურ - ეკონომიურ აღმშენებლობას საფუძვლებს უმაგრებენ არა მხოლოდ აღმოსავლეთის ხალხების რევოლიუციონური გამარჯვებანი, არამედ ის ახალი პირობები, რომელნიც იქმნებიან თვით ევროპაშიაც. ნება მომეცით ევროპის ამ უახლოეს შესანიშნავ პირობებზე მოგელაპარაკოთ შემდეგს წერილში.

თედო ღლონტი.

ბერლინი.

პარტიული ცხოვრება

პარტგანათლების შედეგები თბილისში

(ლენინის რაიონი)

საქ. კომ. პარ. (ბ) ლენინის რაიკომის პლენუმის ერთ-ერთ სხდომაზე, დანარჩენ საკითხებს შორის დღის წესრიგში იდგა საკითხი რაიონის პარტგანათლების შედეგების შესახებ 1926-27 წ. სასწავლო წლის დასაწყისში, რაიკომის აგიტპროპის მიერ ჩატარებულ მოსამზადებელ მუშაობაზე, მსმენელთა შეგროვებასა და პოლიტსკოლების ქსელის გახსნაზე იმოქმედა შექმნილმა შინაპარტიულმა მდგომარეობამ, ერთის მხრივ, და საკვალიფიკაციო სიის ცუდათ შედგენამ, მეორეს მხრივ. ამ გარემოებამ ხელი შეუშალა მეცადინეობის დროზე დაწყებას. მეცადინეობა დაიწყო წ. წ. 15 ოქტომბრიდან. სასწავლო წლის დასაწყისში 40 სკოლა აერთიანებდა 1.062 კაცს. მაგრამ მომქმედ სკოლებისა და მათ მსმენელთა შემადგენლობის გადათვალიერების შემდეგ, დატოვებულ იქნა მხოლოდ 35 სკოლა, მათგან 12 სკოლა პირველი საფეხურის, 15—მეორე საფეხურის და 8—საბჭოთა პარტსკოლა, სულ 675 მსმენელით. დანარჩენ მსმენელების რიცხვიდან 340 კაცი გადაყვანილი იქნა თვისუფალ სწავლებაზე, რადგან სამსახურის ხასიათის მიხედვით მათ არ შეეძლოთ სკოლაში სიარული, ხოლო 47 კაცი განთავისუფლებულ იქნა სხვადასხვა მიზეზით, როგორც მაგალითად: ავადმყოფობის, მოხუცებულობის, ღამე მუშაობის მიზეზით და მათი ნაწილი სასწავლებლად დაიგზავნა სხვა რაიონებში.

მომხსენებელმა ამხ. ქორქოლაძემ პლენუმის ყურადღება მიაქცია ყველა ნაკლულევანებებსა და დეფექტებზე, რომლებიც ხელს უშლიდენ პოლიტსკოლების ნორმალურ მუშაობას. მთავარი მიზეზები იყო: საპროპაგანდო ძალების ხშირი ცვლა, სათანადო მოწყობილობის უქონლობა, საპროპაგანდო ძალების ცუდი შერჩევა, თვით სკოლის მსმენელთა დატვირთვა სხვადასხვა პარტიულ, პროფესიონალურ და სხ. მოვალეობებით, რამაც გავლენა იქონია დასწრების რიცხვზე, ხელმძღვანელთა გაწვევა ა.-ქ. კომ. უნივერსიტეტიდან (ისინი შეადგენდენ ხელმძღვანელების 63 პროც.) და უჯრედების მიერ ნაკლები ყურადღების მიქცევა პარტგანმანათლებელი მუშაობისათვის. რაიკომის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებამ მიიღო სათანადო ზომები ამ არანორმალობის აღმოსაფხვრელად და ნაწილი აღმოფხვრა კიდეც. ერთიან პარტდღეს უჯრედებში დაისვა სპეციალური საკითხები პარტგანათლების შესახებ. ადგილებს დაეგზავნათ ცირკულიარი პოლიტსკოლებისათვის ხელმძღვანელობის გაწევის შესახებ და უჯრედების დახმარებით მოხერხდა სკოლებისა და მსმენელების განსაზღვრული რაოდენობის ჩამოყალიბება. რაიკომის პრეზიდიუმის განკარგულებით მკაცრად ტარდებოდა საპროპაგანდო დღეები და ამიტომ ადვილი აღარ ჰქონია მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევებს. როგორც რაიკომი, ისე უჯრედები სისტემატიურად აწარმოებდენ მეცადინეობაზე დასწრების შემოწმებას.

სასწავლო წლის მიწურულში, მსმენელთა სუსტი დასწრების გამო, დაიხურა პირველი საფეხურის სამი სკოლა, მეორე საფეხურის ერთი სკოლა დაიშალა ხელმძღვანელის მიზეზით, ხოლო საღამოს 8 საბჭოთა პარტსკოლა გაერთიანდა 4 სკოლად მსმენელთა მცირერიცხოვანობისა და სუსტი დასწრების გამო.

გამოშვებითი კამპანია რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ დაიწყო 12 მაისიდან. აგიტ-კოლეგიამ გამომშვებ კომისიაში გამოყო 7 კაცი. გამოცდები დასრულდა 7 ივნისს.

გამოცდების შედეგები ასეთია: პირველი საფეხურის 9 სკოლიდან გამოშვებულია 127 კაცი, მეორე საფეხურის 14 სკოლიდან—283 კაცი, 4 საბჭოთა პარტსკოლიდან—76 კაცი. სულ გამოშვებულია 486 მსმენელი. ყველა სკოლებიდან არ გამოცხადდა გამოცდებზე 189 კაცი, მთელი შემადგენლობის 27 პროც. ყველა სკოლებში კარგად მოსწავლე მსმენელთა პროცენტი აღწევს 90-ს.

ამხ. ქორქოლაძის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში აღნიშნულ იქნა მომხსენებლების მიერვე ჩამოთვლილი ნაკლულევანებები. წარსული სასწავლო წლის პარტგანათლების შედეგების მიხედვით, რაიკომის პლენუმმა მისცა სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებას მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებები 1927-28 წლისთვის.

ვ. პოპოვი.

თბილისის ორგანიზაციის მიღწევები და ნაკლულევანებები

მიმდინარე წლის იენისში ჩატარებულ იქნა უჯრედების ბიუროების საანგარიშო კამპანია. ამრიგად კამპანია მიმდინარეობდა იმ დროს, როდესაც, სხვადასხვა პირობების გამო იწყება მუშაობის „შენელების“ ხანა. მიუხედავათ ამისა, შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ კამპანია ჩატარდა სიცხოველით და ორგანიზაციამ საკმაო აქტივობა გამოიჩინა.

თუ მაშინდელ კამპანიის დროს, რომელიც ჩატარებული იყო სექტემბერ-ოქტომბერში, კრებებზე დასწრების პროცენტი შეადგენდა 70, წელს საშუალოთ დასწრების პროცენტი აღწევდა 75,1 პროცენტს.

კამათში გამოსულთა რიცხვი შეადგენს საშუალოთ თითო უჯრედზე 8 ამხანაგს. შარშან იყო 11, მაგრამ, სამაგიეროთ, შარშან უჯრედის დღის წესრიგში იდგა 3-4 მოხსენება და, მაშასადამე, სალაპარაკო საგანიც მეტი იყო. ამიტომ წლევანდელი აქტივობა სრულებით არ ჩამოუვარდება შარშანდელ აქტივობას, პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ სჯობნის კიდეც მას.

საანგარიშო კამპანიამ ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ თბილისის ორგანიზაცია არ მიჰყვება ოპოზიციის დეზორგანიზატორულ მუშაობას, რომ მას სურს საქმიანი მუშაობა, მიმართული ჩვენი წარმოების გასაუმჯობესებლათ და სოციალიზმის ასაშენებლათ.

უჯრედებმა მეტი ყურადღება მიაქციეს წარმოება-დაწესებულების მუშაობას. სამეურნეო ხასიათის საკითხებმა უფრო მეტი ადგილი დაიკავეს უჯრედების საერთო მუშაობაში. გაუმჯობესდა დამოკიდებულება ადმინისტრაციასა, ადგილკომის და უჯრედის შორის. კომისიონური მუშაობა შესამჩნევათ გამოკეთდა. ორგანიზაციაში საგრძნობლათ იკლო ინტრიგამ და „სკლოკამ“. კომუნისტებს ემჩნევათ შეკავშირება და მეტი დარაზმულობა.

გეგმიანი მუშაობა თითქმის სავსებით ტარდება.

ამ ბოლო ხანებში გამოცოცხლება დაეტყო ავიაქიმის საზოგადოებათა მუშაობას, რაც აიხსნება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის გართულებით. ნაკლულევანებათა შორის აღსანიშნავია შემდეგი მომენტები:

ჩატარებულმა კამპანიამ დაგვანახა ერთი არანორმალური მდგომარეობა, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ უმაღლესი პარტიული ორგანოების დირექტივები და დადგენილებები ვერ აღწევენ სავსებით უჯრედებამდე და, თუ აღწევენ, უჯრედები მათ ვერ ამუშავებენ და ვერ ატარებენ ცხოვრებაში. „ზევით“, პარტიულ კომიტეტში ბევრი რამ კეთდება, ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები მუშავდება—უჯრედებში კი ისინი ვერ ჰპოულობენ სათანადო გამოხმაურებას. ავიღოთ თუნდაც ასეთი საკითხები, როგორიც არის საცალო ფასების დაკლების კამპანია, საბჭოთა აპარატის რაციონალიზაცია, პარტიის ზრდის საკითხი და სხვ. უჯრედები ვერ იჩენენ საკმაო ინიციატივას ამ საკითხების გადაჭრაში და ხშირათ ვერც ერკვევიან მათში.

მაგ., პარტიის ზრდის საკითხში სამლებრო საამქროს უჯრედის მდივანი სრულებით ვერ გარკვეულა, როდესაც ფიქრობს, რომ „ყველაზე აქტიური მუშა უკვე შემოვიდა ჩვენს პარტიაში, დარჩენ მხოლოთ ყველაზე სუსტნი“ და, თითქოს ამიტომაა, რომ ჩვენი პარტია ვერ იზრდება. სამჭედლო საამქროში კი ფიქრობენ, რომ აღარავინ არის პარტიაში მისაღები, რადგან დარჩენ ან „მოხუცი, ან და სრულებით ახალგაზრდა მუშები“-ო.

თითქმის ყველა რაიონებში ადგილი აქვს პარტიული დისციპლინის სისუსტეს. განსაკუთრებით ეს შესამჩნევია მეორე და პირველ რაიონში. დისციპლინის დარღვევა გამოიხატება უმთავრესათ საწევრო გადასახადის შემოუტანლობაში (მაგ., 1-ლ რაიონში ორგანიზაციის 20 პროც. დავალიანებულია 2-3 და 6 თვითაც), კრებებზე დაუსწრებლობაში, უჯრედის საიდუმლო დადგენილებათა უპარტიო მასაში გადატანაში, ნაწილობრივ სიმთვრალეშიც და სხვა.

სუსტი იყო ხელმძღვანელობა კომკავშირის და ნორჩ პიონერთა ორგანიზაციების მუშაობაზე. პარტმიმაგრებულნი სრულებით ვერ ერკვევიან ამ ორგანიზაციების მუშაობის ახალ ფორმებში.

ამ საკითხს საჭიროა მიექცეს სერიოზული ყურადღება. მიზანშეწონილი იქნება, როგორც ეს მოხდა ბაქოს ორგანიზაციაში, კომკავშირის უჯრედებზე პარტიული უჯრედების მდივნების მიმაგრება.

რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნულით სავსებით არ ამოიწურება მთელი ის მუშაობა, რომელსაც აწარმოებდა თბილისის ორგანიზაცია. ჩვენ შევჩერდით უმთავრეს მომენტებზე, რომლებიც ნათლად დაგვანახა ჩატარებულმა კამპანიამ, და აღვნიშნეთ მიღწევები და ნაკლულევანებანი.

მომავალი პერიოდი, ბიუროების მორიგი საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე, უნდა ხასიათდებოდეს მეტი ენერგიული მუშაობით, რათა სავსებით გავაჯანსაღოთ და უფრო გამოვაცოცხლოთ ჩვენი მუშაობა.

ი. რ—ძე.

მუშაობა გამოცოცხლდა

სურამის პარტორგანიზაცია აერთიანებს 7 კომუჯრედს. აქედან ერთი ქალაქშია. აღნიშნული უჯრედები თავის გარშემო იკრებს 150 პარტიის წევრს და კანდიდატს. პარტიის წევრები მეტი წილი გლეხებია.

სურამში პირველ ხანებში პარტიული მუშაობა მოისუსტებდა, მაგრამ ამ ბოლო დროს მუშაობა გამოცოცხლდა. დღემდის ორგანიზაციას აწეწილი ჰქონდა საქმეები, არ იყო თავის ადგილას ოქმები, ცირკულიარები და სხვა. ეხლა ყველაფერი მოგვარდა. ხშირად ხდება კომუჯრედების გაერთიანებული კრებები, რომელზედაც ბლომათ ესწრება უპარტიო გლეხკაცობა. ურთიერთობა პარტორგანიზაციისა, კომკავშირთან დამაკმაყოფილებელია. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ სურამის პარტორგანიზაცია იზრდება როგორც რიცხობრივათ, ისე თვისობრივათაც. მომავალში ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მუშაობა კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

მათის ამხანაგი.

ახალი უჯრედი

1-ლი ქართ. მსროლელი ლეგიონის № 13 უჯრედი სულ ორი თვეა რაც დაარსდა. ის აერთიანებს 18 კაცს.

უჯრედში სისტემატიურად ტარდება კრებები და მოხსენებები სხვადასხვა თემებზე.

პარტიაში შესვლის მსურველთა რიცხვი საკმაოდ დიდია. პარტია იზრდება მუშებისა და გლეხების ხარჯზე.

კომუჯრედის წევრები კრებებს თავის დროზე ესწრებიან და პარტსაწევრო გადასახადიც თავის დროზე შემოაქვთ. უჯრედის წევრებს დავალებული აქვთ სხვადასხვა საქმე. გარდა ამისა ისინი მიმაგრებული არიან სხვადასხვა ორგანიზაციებზე. უჯრედის მიერ დავალებულ საქმეს პარტიის წევრები პირნათლად ასრულებენ.

უჯრედი უმთავრეს ყურადღებას აქცევს გრძელ ვადიან შვებულებაში მიმავალ პარტიულებს და კომკავშირელებს. მათ შორის დაწყებულია სათანადო მუშაობა.

გოგოლაძე.

კომკავშირში

ჩვენი კადრები თანდათან იზრდება

(მე-5-თე ლეგ. სკოლა)

ლეგსკოლის კომკავშირის მეათე ჯგუფში ამ ბოლო დროს გამოცოცხლდა მუშაობა. ხშირად იმართება კრებები და ირჩევა დღიური საჭირ-ბოროტო საკითხები. ყოფა ცხოვრების საკითხებზეც სისტემატიურად კეთდება მოხსენებები. უპარტიო მასის ლტოლვა ჯგუფის რიგებისაკენ თანდათან იზრდება.

ამ უკანასკნელ დღეებში ახკომკავშირის წევრებად მიღებული იქნა 12 აქტიური კურსანტი. ისინი მტკიცედ ასრულებენ, როგორც სამხედრო დისციპლინას ისე კავშირის ყოველგვარ დავალებებს. გამოყოფილი იქნა ორი მომზადებული ამხანაგი, რომლებიც შეასწავლიან ახლად მიღებულ წევრებს კომკავშირის ისტორიას და მის როლს, როგორც პარტიის დამხმარისა და რეზერვისას. განსაკუთრებით კი ექცევა ყურადღება კომკავშირის დანიშნულებას წ.- ჯ.-რის რიგებში. მეცადინეობა უკვე დაწყებულია.

ახლად მიღებული წევრები გულმოდგინეთ ეკიდებიან მეცადინეობას.

მ. ვ—ძე ღლონტი.

საქმიანი უჯრედი

(საგარეჯო, თბილ. მაზრა)

საგარეჯოს 9 წლ. შრომის სკოლასთან 1926 წ. ოქტომბრის შუა რიცხვებში დაარსდა ახ. ლ. კ. კ. მოწაფეთა უჯრედი, რომელიც პირველად აერთიანებდა სულ 8 მოწაფეს, ხოლო ამჟამად საკმაოდ გაიზარდა და მოღონიერდა. იგი ამჟამად აერთიანებს 17 წევრს. უმრავლესობა ეკუთვნიან ღარიბ გლეხების ოჯახს, მათში ოთხი ქალია. თითქმის ყოველკვირა ხდება ღია კრებები, სადაც 600-მდე მოწაფე ესწრება. ჩამოყალიბებულია სხვადასხვა წრეები, როგორიცაა მაგ. სალიტერატურო, დრამწრე, ფიზბურთელთა, ფიზკულტურის და ქალთა წრე. უკანასკნელ წრეში თავს იყრის 32 ქალი-მოწაფე. უჯრედი ხელმძღვანელობას უწევს სკოლის თვითმართველობებს.

ვ. გარსიაშვილი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

საქალაქო ფართო მუშათა კონფერენცია

ქუთაისი, 15 ივლისი. დამთავრდა ფართო საქალაქო მუშათა კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 200 დელეგატზე მეტი და 100 მუშა და მოსამსახურე. დარბაზში ადგილის უქონლობის გამო, ბევრს წაერთვა კონფერენციაზე მისვლის საშუალება. კონფერენციამ მოისმინა მოხსენებები საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და ფასების დაკლების კამპანიის მიმდინარეობის შესახებ. (ადს)

ლექციები

ქუთაისი, 15 ივლისი. სოფ. გორდში, ქუთაისის მაზრაში, ქუთაისის სამაზრო აგრონოსექციის მიერ მოწყობილი იქნა ლექციები და საუბრები საქონლის საკვები ბალახის დათესვის აუცილებლობაზე. აგროსექციას გადაწყვეტილი აქვს, მოაწყოს აქ საჩვენებელი მინდორი იმ მიზნით, რომ გლეხები უზრუნველყოს თესლით. (ადს)

საავადმყოფო კავთისხევში

გორი, 15 ივლისი. კავთისხევის თემის მოსახლეობამ, თვითდაბეგვრის წესით მოაგროვა საჭირო თანხა საავადმყოფოს ასაშენებლად. საავადმყოფოს შენობა შესდგება 11 ოთახისაგან და მისი აგება დაჯდა 9.500 მანეთი (ადს).

ნიაღვარი

ქუთაისი, 15 ივლისი. სოფ. გორდი და კონჩხას რაიონში უკანასკნელი დღის წვიმებმა დააზიანეს სიმინდი. გლეხებს ეშინიათ არ დაკარგონ მთელი მოსავალი. ამავე რაიონებში ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან ვენახებიც, ვინაიდან შაბიამნის უქონლობის გამო მათ ვერ უწამლეს თავის დროზე. (ადს)

ახალი ტურბინა

ქუთაისი, 15 ივლისი. ხონის ჰიდროელექტრო - სადგურზე დაწყებულია მუშაობა ახალი ტურბინის დასადგმელათ. (ადს)

პარკის დამზადების კამპანია

ხონი, 15 ივლისი. პარკის დამზადების კამპანია ხონის რაიონში დაიწყო თავის დროზე. სულ მუშაობს 3 პუნქტი. ხონის პუნქტზე, რომელსაც განაგებს აბრეშუმის სადგური, დღემდე შემოსულია 1 ხარისხის პარკი: თეთრი—93.020 კილო და ყვითელი—166 კილო; მეორე ხარისხის—41.034 კილო. ღანირ-ქუტირის და გუბისის პუნქტებზე შემოსულია 3.000 ფუთი პარკი. ფიქრობენ, რომ კამპანია გაგრძელდება კიდევ ერთ კვირას და ამ ხნის განმავლობაში შემოვა 700 ფუთი. ფუთ პარკში გლეხებს ეძლევა 24 მანეთი (ადს).

წერილები

უფლებით სპეკულიაცია

საგადასახადო კანონმდებლობა კოოპერატიულ ორგანიზაციას დიდ შეღავათს აძლევს გადასახადის შეწერის და გადახდის საქმეში, მაგრამ სწორედ ეს უფლება ვერ მოუხმარიათ ზოგიერთ კოოპერატივებს და იყენებენ მას ბოროტათ, რის დასამტკიცებლად მოვიყვან ორ მაგალითს, რომელსაც ადგილი ჰქონდა გორის მაზრაში.

წითელ ქალაქის კოოპერატივს ამ რამოდენიმე წლის წინათ ქონდა წითელი სასადილო, წითელი „ვივესკით“ და მთავრობის გერბით (!) ივაჭრა რამოდენიმე ხანი და შემდეგ იჯარით გასცა კერძო პირზე. აღებული და დროგაუსვლელი სარეწაო მოწმობაც მოიჯარადრეს გადასცა. საგადასახადო უწყებას საქმე ქონდა პატენტის პატრონთან და ყველა გადასახადებში აძლევდა კანონით გათვალისწინებულ შეღავათს ამ კოოპერატივს, მაგრამ ფაქტიურად კი კერძო ვაჭარ-მიკიტანს. შემდეგ ისევ კოოპერატივმა დაიწყო ამ სასადილოს ოპერაციები და ახალი საგადასახადო წლის მოწმობაც აიღო. ცოტა ხნის შემდეგ აიღო და ისევ იჯარით გასცა სასადილოც და თავისი უფლებაც, რომლითაც მას ეძლეოდა შეღავათი.

მეორე მაგალითი: სოფ. კავთისხევში ვინმე სვიმონიშვილი, რომელიც უპატენტოთ ვაჭრობდა და ფინინსპექციამ აღმოაჩინა ეს ფაქტი, დაუბეჭდა სამიკიტნო და საკითხი დასვა მის დაბეგვრის შესახებ მაგრამ აქ გამოუჩნდა ამ მიკიტანს მფარველი კავთისხევის სას. სამ. საკრედიტო ამხანაგობა, რომელმაც აიღო ღვინის გატანით ვაჭრობის პატენტი და ეს პატენტი ჩააბარა მოქ. სვიმონიშვილს, აგრეთვე ამ ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ წინათ ნაწარმოები „ჩუმი“ ოპერაცია ეკუთვნოდა მათ და სვიმონიშვილიც მათი დაქირავებული იყო. ამხანაგობამ პატენტის აღებისთანავე თავის თავისუფალი თანხაც ღვინის შესყიდვის ოპერაციებში დააბანდა და ამჟამად სვიმონიშვილი ბანკის უფლებით და ხარჯით აწარმოებს გახურებულ ოპერაციას. ამნაირად ამხანაგობამ სასოფლო მეურნეობისათვის დასახმარი თანხები და სხვა, მოიხმარა სხვა დანიშნულებაზე ე. ი. კერძო ვაჭრის ჯიბის გასქელებისათვის.

საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს ასეთ წმინდა სპეკულიანტურ მოქმედებას. ჩვენს სასამართლო ორგანოებს მმართებთ, რათა „უფლებებით მოვაჭრეთ“ მოსთხოვონ პასუხი.

კოსტა.

ზესტაფონის ამბები

მაზრის ცენტრის გადმოტანის შემდეგ ზესტაფონს გამოცოცხლება დაეტყო. პირველ რიგში ხელისუფლება შეუდგა ქალაქის კეთილმოწყობას და გამშვენიერებას. დაწყებულია მთავარი ქუჩების მოკირწყვლა, აიგო ხიდი აჯამეთზე, კეთდება ბონდი მდინარე ყვირილაზე; უახლოეს ხანში დამთავრდება 150 ცხენის ძალიანი ელექტრო-სადგურის აგება, რომლის საშუალებითაც განათდება მთელი ქალაქი.

ძველი მიძინებული ქალაქი თანდათანობით იღვიძებს და განვითარების გზაზე დგება, რაც დიდ კმაყოფილებას იწვევს მშრომელთა შორის.

გუ-ინ.

წერილებიდან

— **სახალხო სახლის ირგვლივ.** (ს. მათხოჯი, ქუთ. მაზრა). მათხოჯის სახალხო სახლში მუშაობა გაცხოველებულად სწარმოებს. შენდება ლობე. ახალგაზრდობა გლეხობასთან ერთად ენერგიულად მუშაობს. შენობის რამოდენიმე ნაწილში მოთავსებულია სხვადასხვა დაწესებულებანი, მათ შორის აღსანიშნავია ფოსტა. ფოსტის საშუალებით სისტემატიურად მოგვდის გაზეთები. ამ ჟამად სულ მოდის 150 ცალი „ახალი სოფელი“ და სხვა გაზეთები, რომელსაც ბევრ გლეხს აქვს გამოწერილი. გლეხობა ჩახალისებულია ყოველ ორგანიზაციაში დამაკმაყოფილებელ მუშაობით და არ შურავს თავის ძალღონეს სახალხო სახლის დასამთავრებლად.

კარლო მელაძე.

— **ხალხი ერკვევა სინამდვილეში.** (ს. თამაკონი, სენაკ. მაზრა). ამას წინად ს. თამაკონში შესდგა მიტინგი, რომელზეც გაკეთდა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. მიტინგზე დამსწრე მშრომელთა სულისკვეთებიდან ნათლად ჩანს ის გარემოება, რომ გლეხობა სრულიად განთავისუფლებულია მენშევიკური გავლენისაგან, რომელთაგან, გარდა უბედურობისა, არავინ სიკეთეს არ მოელის.

თუ ვინმე ბინძური ხელებით შეეხება ჩვენს მშრომელთა ქვეყანას, გლეხობა და მშრომელი ინტელიგენცია აღუთქვამს ხელისუფლებას, რომ ის მზად იქნება გვერდში ამოუდგეს კომუნისტურ პარტიას.

„ბუდ—ლი“.

სოფლის ქრონიკა

— **აბანო გლეხებისათვის.** სოფელ გორისჯვარში (გორის მაზრა) სათემო საბჭო შეუდგა ადგილობრივი აბანოს გაფართოებას.

— **ტყეების დაცვა.** ახალციხის სამაზრო აღმასკომმა მიმართა ყველა სათემო აღმასკომებს აუკრძალოს გლეხებს ნებადაურთველათ ტყეების გაჩეხვა.

— **ქოხ-სამკითხველოს გახსნა.** სოფ. პამაჯში (ახალც. მაზრა) შეუდგნენ ქოხ-სამკითხველოს მოწყობას.

— **გლეხების კოლექტივი.** სოფ. მაღალ-ერეოში (ოზურგეთის მაზრა) დაარსდა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი, რომელშიაც შედის 200 მეკომური გლეხი.

— **თავდაცვის ფონდში.** დუშეთის სამაზრო გლეხკომის ყრილობამ დაადგინა გადაიხადოს 234 მანეთი თავდაცვის ფონდის სასარგებლოდ.

— **ჯიშიანი ღორების მოშენება.** გორის გლეხკომების ინიციატივით მოწყობილია ჯიშიანი ღორების მოსაშენებელი სადგური.

— **აგურის ქარხანა ხაშურში.** ხაშურის აღმასკომმა დაადგინა აგოს აგურ-კრამიტის ახალი ქარხანა.

— **ახალი კოოპერატივი.** დუშეთის სამაზრო გლეხკომის ინიციატივით სოფ. ჯადისჯვარში მოეწყო ახალი კოოპერატივი.

— **ცეცხლის გაჩენა.** ს. კაკაბეთში (სიღნაღის მაზრა) 24 ივნისს ღამის 11 საათზე ცეცხლი გაუჩნდა ილიკო მალარიძეს და დაიწვა ბეღელი 12 კოდი პურით, თავლა და სახლის მოწყობილობა.

— **საშინელი გრიგალი.** 11 ივლისს სალხინოზე (სენაკის მაზრა) გადაიარა დიდმა გრიგალმა, რომელმაც 5 წუთს გასტანა. დანგრეულია სახლები, მოგლეჯილია ხეები, წაქცეულია სიმინდები: მდ. ტეხურზე გაწყვიტა კანატის ხიდი. ზარალის გამოსარკვევად შედგენილია კომი- სოფლის ქრონიკა

— **რადიო სოფლად.** სოფ. მარტყოფში დადგეს რადიო მიმღები აპარატი. საღამოობით გლეხები ისმენენ რადიო-კონცერტებს და რადიო-ლექციებს.

— **მერძევეობის კურსები.** სოფ. ციხის-ჯვარში (ახალც. მაზრა) მერძევეობის კურსები დაასრულა 25 გლეხმა.

— **გლეხური ახალგაზრდობის სკოლები.** ოზურგეთის მაზრაში ამჟამად გახსნილია ექვსი გლეხური ახალგაზრდობის სკოლა.

მუშათა ცხოვრება

ბორჯომისსაბჭოს საქმიანობა

ამას წინეთ ბორჯომის ჩარხის წყლის მუშათა უბნის საბჭოს ამომრჩეველთა საზოგადო კრებამ მოისმინა მოხსენება აღმასკომის 3 თვის მუშაობის შესახებ, მოხსენებიდან გამოირკვა, რომ აღმასკომის სამოქმედო გეგმა 96 პროცენტით შესრულებულია, რაც გამოიხატება ქალაქის კეთილმოწყობაში: ქუჩების მოკირწყვლა, ხიდების შეკეთება, დარაბების შეკეთება ახლად შენდება 11 დარაბა კოოპერატივისათვის; აღმოფხვრილია ბიუროკრატიზმის ნაშთები, რომელსაც წინად ადგილი ჰქონდა აღმ. ქვემდებარე აპარატებში; სწორი კურსია აღებული ეკონომიის რეჟიმის გატარებისათვის და იმატა შრომის ნაყოფის ზრდამ.

აღმასკომი პერიოდულად ისმენდა სხვადასხვა ორგანოების მუშაობის ინფორმაციას; აძლევდა მითითებებს ზოგიერთი ნაკლულევანებების გამოსასწორებლად, მოსახლეობას უფარდებდა სოციალისტურ აღმშენებლობას და ავკარგიანობას. აღმასკომი მთავარ ყურადღებას აქცევს გარშემო მოსახლეობის ჩაბმას და თვით კოოპერატივის საშუალებით მუშების და გლეხების მოთხოვნილების უზრუნველყოფას. აგრეთვე აღმასკომმა მიიღო აქტიური მონაწილეობა სამრეწველო საქონლის და კოოპერატივის საქონლის ფასების დაკლების კამპანიის ჩატარებაში, რითაც მიღებულია შედეგი: ბორჯომის კოოპერატივმა საქონელზე ფასის დაკლება ჩაატარა 10 პროცენტით და სწარმოებს მუშაობა ამ მიმართულებით.

აღმასკომის სამი თვის მუშაობა კრებამ მოიწონა.

საინტერესოა, რომ წარსულთან შედარებით ამომრჩევლების საქმიანი აქტივობა დიდათ გაიზარდა. მოხსენების ირგვლივ კამათში მრავალი მუშა იღებდა მონაწილეობას. მოხსენების შემდეგ აღმასკომს მიეცა მითითებანი ზოგიერთი ნაკლის გამოსწორების მიზნით.

მუქ.

ადგილკომის ანგარიში მოვისმინეთ

(თბ. საქონლის სადგური)

თბ. საქონლის სადგურის მტვირთველ მუშების ადგილკომი 500 მუშა-მოსამსახურეებს აერთიანებს. 1926 წლის ივლისიდან 1927 წ. ივლისამდე ბევრი მწვავე და საჭირბოროტო საკითხები მოგვარდა. სხდომა ადგილკომს ქონდა 42.

დამზღვევი სალაროს საკითხი ეხლა ადგილკომის მეცადინეობით მოგვარებულია და ისევ რკინის გზის სალაროში გადავრიცხეთ. ადგილკომი პიონერებს შეფობას უწევს და ეხმარება მათ შეძლებისდაგვარად. გვაქვს კავშირი შრომის ინსპექტორთან, კულტკომისია სათანადო დირექტივებით მუშაობს და სხვ. მოგვარებულია საკონფლიქტო - შემფას., საწარმოო კომისიის და შრომის დაცვის დამოკიდებულება ადგილკომსა და ადმინისტრაციას შორის და სხვ.; კოლექტიური ხელშეკრულება ჯერ-ჯერობით არაა სისრულეში მოყვანილი, რომელიც გატარდება ცხოვრებაში 1 ივლისიდან. ადგილობრივად მოეწყო ჭადრაკი და სხვა გასართობები, რომელიც გადატანილია უფრო მყუდრო ადგილას — ავტო-კლუბში. მუშების ჯამაგირის დაგვიანებას ჰქონდა ადგილი ხშირად, მაგრამ ამჟამად გამოსწორებულია. დარაჯების გადაყვანა უნდოდათ საუწყებო მილიციაში, მაგრამ ეს დატოვებულია ჯერ-ჯერობით „ზაკპოგრუზის“ ხელში; კვირა-უქმეში მუშაობდენ, ამჟამად ესეც გამოსწორებულია.

ადგილკომმა აგრეთვე დაავალა ადმინისტრაციას გამოემუშავებია შინაური განაწესი, რომელიც გამოკიდებული უნდა ყოფილიყო თვალსაჩინო ადგილას. მიღებულია ზომები წითელი კუთხის მოწყობისთვისაც. მუშებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის იმართება კონცერტები და ლექციები. საერთოთ ჩვენი ადგილკომის წარსული მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

მუშა ხიდ გელი.

კულტმუშაობა გამოცოცხლდა.

(თბილისი აღმასკომში)

თბ. აღმასკომი აერთიანებს მაზრისა და ქალაქის მასშტაბით რამოდენიმე ათას მუშა-მოსამსახურეს. თუ წინად კულტმუშაობა მოიკოჭლებდა, ეხლა ადგილობრივმა კომკავშირმა გააცხოველა კულტმუშაობა და ამ დარგში თვალსაჩინო ინიციატივა გამოიჩინა. მათი მონაწილეობით ეხლა გაერთიანებული კომისიაა და შიგ შედიან საბჭოთა მუშაკების, კომ. მეურნეობის და მიწა-ტყის წარმომადგენლები; ამრიგად მოწყობილ იქნა ლენინის, სამხედრო და ქალთა კუთხეები; ამასთან ჩამოყალიბდა ცნობათა ბიურო, შახმატის მოყვარულთა წრე და ლიტერატურული წრე და სხვ.

შედგენილია სამოქმედო გეგმა შემდეგი კულტმუშაობისათვის. აგრეთვე მოეწყო კლუბი სცენით და გვყავს საკუთარი ძალები.

ამგვარად ჩვენი კულტმუშაობა გამოცოცხლების გზაზეა.

ც. ნ.

ასე არ ივარგებს

(ქარხანა „ინტერნაციონალი“)

„თურქესტანის აბრეშუმა“ კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალს“ დაუკვეთა აბრეშუმის ძაფისათვის 400.000 ცალი კოლოფი.

ქარხანა უკვე შეუდგა მის დამზადებას. კოლოფები ორივე მხარეს დაცხრილული იქნება მანქანით ჰაერისათვის.

კერძო შეკვეთების გარდა, ქარხანა ამზადებს უმთავრესად პაპიროსის კოლოფებს. ივნისის განმავლობაში თამბაქოს ტრესტისათვის ამ ქარხანამ დაამზადა სხვადასხვა მარკის 2178528 ცალი კოლოფები.

ნედლი მასალით ქარხანა უზრუნველყოფილია.

შრომის ნაყოფიერებამ საგრძნობლად აიწია. ქარხანას ყველა განყოფილებაში აქვს ვენტილიატორები და სიცხეში მუშებს უადვილებს შრომას.

ამჟამად ქარხანაში მუშაობს 299 მუშა-მოსამსახურე, მათში 23 მოზარდია.

მუშკორი ვანო.

მეტის-მეტად იქანცებიან

გურჯაანის რკინისგზაზე დღე-ღამეში 4 ორთქლმავალი მუშაობს, რასაც ოთხი მემანქანე და ოთხი თანაშემწე სჭირდება ნამდვილად კი მუშაობს სამი თანაშემწე და უხდებათ მუშაობა 24 საათი, რაც იწვევს მათ ძლიერ დაღალვას, ამას კი შეიძლება მოჰყვეს უბედური შემთხვევა; საჭიროა ამ გარემოებას დროზე მიექცეს ყურადღება.

გარდა ამისა, გურჯაანში არ მოიპოვება ქვიშა ღუმელის გასაშრობათ, რაც მეტად აფერხებს მუშაობას.

ამ გარემოებასაც ესაჭიროება დროზე გამოსწორება თბილისის დეპოს მიერ.

მუშკორი ვ. ი—შვილი.

ნახევარ კაპეიკიანს არ იღებს

კახეთის და ალავერდის შუა ქუჩაზე მე-7 უბანში ერთი წყლის ონკანია, სადაც გამგე ნახევარ კაპეიკიანებს არ იღებს, რაც ჰქმნის დიდ უხერხულობას მცხოვრებთათვის.

მუშკორი სიმართლის მაძიებელი.

სიბინძურე გვაწუხებს

პუშკინის ქუჩაზე, № 29, სახლში, სადაც ლითონტრესტის რკინის მაღაზიაა, საშინელი უსუფთაობას განიცდით ზემო სართულში მდგმურები. ეზოშიაც გავლა შეუძლებელია დიდძალი ხარახურების გამო, რომელიც ხსენებულ მაღაზიის ეკუთვნის.

მ. ვაჩეიშვილი.

ჩვენი წარმოება ფართოვდება

კედლის გაზეთ „საყვირის ფურცელში“ № 9 შენიშვნა იყო ამხ. არუთინოვის შესახებ, რომელიც მთავარ სახელოსნოს სადურგლო ცეხის გამგეა. დიდი ხანი არაა, რაც არუთინოვი გადმოიყვანეს სადურგლო საამქროში, მაგრამ წარმოების არაფერი დატყობია გაუმჯობესებისა, პირიქით, გაუარესდა და მუშების ხელფასიც დაეცა.

აი ფაქტი: ამას წინათ მან ორჯერ დატვირთა ბათუმში გასაგზავნი ვაგონები ხე-ტყით და ორჯერვე დაცლევინა, მერე კიდევ ისევ დაატვირთვინა. როცა ჰკითხეს მას, რატომ შვრება ამასო, ასეთი პასუხი იყო: „შეცდომა მომივიდა“-ო.

ზარალობს თუ არა ასე უთავბოლო ვაგონების დატვირთვა - გადმოტვირთვით წარმოება? ასე არ ივარგებს.

მუშკორი ჩიკო.

მოგვაქციეთ ყურადღება

(უქსის საყურადღებოდ)

ვცხოვრობ დიდუბეში კოოპერაციის ქ., № 13-ში, აღმასკომის სახლში, ბნელ სარდაფში და ქუჩიდან შიგ წვიმის დროს ნიაღვარი შემოდის;; გავსებულია ვირთხებით და ყოველგვარი სიბინძურეა ამ ბინაში. რამდენჯერმე მივმართეთ „უქს“-ის განყოფილებას, მაგრამ არავითარი ყურადღება აქამდე არავინ მოგვაქცია. სამი წელია ასეთ აუტანელ გაჭირვებას განვიცდი ექვსი სულისაგან შემდგარი ოჯახი. ჩვენს ეზოში ყველას შეუკეთეს ბინები; თუ კი სხვებს შეუკეთეს ბინა, მე რაღა დავაშავე?

მუშა მიხეილ არჯევანიძე.

კუთვნილი მიეცით

1927 წ. 1-ლ თებერვალს თბილისის დეპოდან გაიგზავნა მოსკოვში ვაგონი № 2129, მას გამცილებლად კი [illegible] სირაძე და თევზაძე. დაბრუნებისას, მე-4 დარგის კანტორამ მათ წარმოდგენილ მივლინების ფურცელი 1 მან. და 54 კაპ. რაოდენობით დღეში, ყველა—ინსტანციაში საქმე მუშების სასარგებლოდ გადაწყდა, მაგრამ მეექვსე თვე გადის და დღემდისაც არ უჩანს ბოლო სირაძის და თევზაძის საქმეს.

როცა მოთმინებიდან გამოსულებმა სამმართველოს მიმართეს, მოანგარიშე ქალმა უთხრა:

— თქვენი განცხადება ლებენთან არის და მე ახლა არ მცალიან, სულ ერთია, ერთი წლის ადრე ვერ მიიღებთ ფულსო.

შემდეგ ქაღალდი იქვე აღმოჩნდა, მაგრამ სირაძეს და თევზაძეს მაინც დღემდე ანგარიში არ მიუღიათ.

ამხ. უსტიევმა ამ მუშებს ყურადღება უნდა მიაქციოს და ანგარიში გაუსწოროს.

მუშკორი შავსოფელი.

აურ-ზაურის მოყვარული

მოძრაობის დარგის მე-2 განყ. აგენტი ვიქ. ჰუმბურიძე ხსენებულ განყ. კანტორის თანამშრომლებს მუშაობის დროს მოსვენებას არ აძლევს: მიდის მთვრალი, სტეხს აურ-ზაურს და ზოგჯერ მუშტზეც იყურება.

ჰუმბურიძემ განცხადება შეიტანა უბნის კავშირში დნო—2 სანიკიძის შესახებ ყალბი საბუთებით, რაზედაც უბკავშირის პრეზიდიუმმა მას შენიშვნა გამოუცხადა. იგი მაინც არ ისვენებს. 14 ივლისს ძალზე გალეშილმა ჰუმბურიძემ ერთი აურ-ზაური ასტეხა კანტორაში.

— მე მაგარი მუშტი მაქვს, თუ გამაბრაზებთ, სულ მიგილეწავთ აქაურობას.

რას გავს ეს? ნუ თუ ასე უნდა გაათამამონ ვ. ჰუმბურიძე?

მუშკორი თბილისელი.

საყურადღებო წვრილმანი

— **გადაგვარჩინეთ ამ ხულიგნებს.** კერესელიძის ქ. № 7 ცხოვრობს დედაშვილი კოლჩამსკები, ისინი გასულ წელს გადასახლებამისჯილ ხულიგნების სიაში იყვენ მოთავსებული, მაგრამ რატომღაც ისევ ქალაქში დარჩენ. ამ სახლის და მეზობელ სახლის მდგმურები უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებიან თავმეტბულ ხულიგნების თარეშის გამო.

საჭიროა ბოლო მოეღოს ამ მდგომარეობას.

მდგმურების რწმუნებული.

— **თავხედი ფიზარდიანი.** მთავარ სახელოსნოს სახარატო საამქროში მუშაობს ვინმე ფიზარდიანი, რომელიც უხეშად ეპყრობა მუშებს. 12 ივნისს მან უმიზეზოთ გამოლანძღა უფროსი მუშა კაზიტაშვილი. უყვირა სხვებსაც. ერთი ან ორი შემთხვევა რომ იყოს ასეთი, არას ვიტყოდით, მაგრამ, რადგან ფიზარდიანი სისტემატიურად თავხედობს, მას ლაგამი უნდა ამოსდონ.

ჭია-ლევან.

— **მიხედეთ ვერის ხიდს.** ვერის ხიდის ცალი მხარე, სადაც ფეხით მოსიარულენი დადიან, კარგა ხანია, რაც შეკეთებას ითხოვს. ფიცრები ზოგი დამტვრეულია, ზოგი ფეხქვეშიდან ეცლება გამვლელს და ფეხი შიგ ვარდება. ადვილი შესაძლებელია მარცხი მოხდეს.

ნიკო ას—ლი.

— **დროზე გამოიტანეთ განაჩენი.** ამას წინად საგზაო კომიტეტში გაირჩა სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის კონდუქტორთა საქმე, რომელთაც რკინის გზაზე არსებულ წესის მიხედვით, ერგებოთ იანვრის და თებერვლის ჯილდო 6-7 მან.

მაგრამ უკვე ორი კვირა გადის და განაჩენი კი ჯერაც არ არის გამოტანილი.

თბილისელი.

— **ლატარია შეიყვარეს.** სახალხო სადგურში (თბილისი) ძალიან შეიყვარეს ზოგიერთებმა ლატარია. ან კი რატომ არ შეიყვარებდენ, როცა ლატარია მათ გაფუჭებულ საათებს, ძველ ქამრებს, ქუდებს და სხვა ნივთებს უსაღებს და საკმაო შემოსავალსაც აძლევს.

მართალია, სიყვარული კარგი საქმეა, მაგრამ გატაცებაც არ ვარგა, ადგილკომმა და ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს ზომები, რომ ეს ლატარიას სიყვარული მოარულ სენათ არ გადაიქცეს, თორემ მუშებს ზოგიერთების უცნაური სიყვარული ცოტა ფული არ უზის.

გ. შოველი.

— **დაუთურგნავი ხევი.** საბჭოს ქუჩაზე (სახლი 136 ახლოს), არის უზარმაზარი ხევი. წვიმის დროს ეს ხევი ივსება წყლით და მტკვარს ემსგავსება. აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილებამ მოჰკიდა ხელი ამ ხევის მოკირწყვლას, მაგრამ მოკირწყვლა საქმეს ვერ უშველის. საჭიროა რაიმე სხვა ზომების მიღება, თორემ მცხოვრებლები ძალიან შეწუხებულნი არიან.

მარო დვალი.

— **ლოთი მემანქანე უნდა დაისაჯოს.** (ქუთაისი). 15 ივნისს მემანქანე რ. მარგველაშვილი და მისი თანაშემწე ჩვეულებრივ მთვრალნი გამოცხადდენ სამუშაოზე ორთქლმავლის მისაღებად. მათ ჩხუბი აუტეხეს წინა ცვლას და სცემეს მემანქანე მელაძეს. საჭიროა ამ საქმის გამოძიება და დამნაშავის დასჯა.

მაყურებელი.

ჩემი მოგზაურობა ჩინეთში

III

კანტონში

ბანკეტზე

სხვადასხვა სახის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომელნიც გაერთიანდნენ, რათა ჩვენი დელეგაცია მიეღოთ, სახელდობრ კანტონის მუშების დელეგატთა კონფერენციამ, კვანტუნის საყოველთაო სინდიკატმა, მექანიკოსთა კავშირმა და გლეხთა კავშირებმა აგრეთვე საჭიროდ სცნეს ჩვენთვის ბანკეტი გაემართათ.

უნდა ითქვას, რომ ჩინეთში ბანკეტი თითქმის იმავე როლს თამაშობს, რასაც ჩვენში მიტინგი

რამდენიმე ასეული დელეგატი სასტუმრო „აზიაში“ მოვიდა. ყველანი დაახლოვებით ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდნენ, ეს სიტყვები ჩემის აზრით საუკეთესოდ არის გადმოცემული „მეზღვაურთა და რკინისგზელთა დეკლარაციაში“. იქ ნათქვამია ასე:

„ჩვენ მივესალმებით საერთაშორისო მუშათა დელეგაციის წევრებს, არა როგორც განსაკუთრებულ პირთ, არამედ როგორც ჩვენი დასავლეთელი ამხანაგების წარმომადგენელთ, როგორც ევროპის და ამერიკის იმ რევოლიუციური პროლეტარიატის მოციქულებს, რომელთანაც ჩინეთის მუშათა კლასი და ჩინეთის ხალხი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული. ჩვენ დიდი ხანია შევიგნეთ, რომ იმპერიალიზმი მუშათა კლასის და კოლონიური ხალხების საერთო მტერია და გამარჯვების მისაღწევად საჭიროა საერთო ფრონტის დამყარება მათ შორის. დღეს ჩვენ შანსი გვაქვს გამარჯვებისათვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩინელმა ხალხმა მჭიდრო კავშირი უნდა იქონიოს თავის დასავლეთელ მეგობრებთან და ამას ნაციონალური და მსოფლიო რევოლიუციის უჩვეულო განვითარება უნდა მოჰყვეს“.

ჩინელი მუშების ამ წარმომადგენლებს, ნაციონალისტური სულის ნატამალიც კი არ აქვთ. მათ მეტად ნათელი წარმოდგენა აქვთ კლასთა ურთი-ერთობაზე მსოფლიოში: ერთი მხრით სდგას იმპერიალიზმი, მეორე მხრით მისი მტერი, მუშათა კლასი. პირველის წინააღმდეგ ულმობელი ომია საჭირო, ხოლო მეორესთან ერთობა და შეთანხმება.

მაგრამ ერთობის გასამტკიცებლად ბანკეტზე მარტო სიტყვების წარმოთქმას როდი სჯერდებოდნენ.

მოპატიჟებულთა შორის გულითადი დამოკიდებულება სუფევდა. დაიწყო მეგობრული საუბარი, სხვადასხვა ამბების გადმოცემა. მაგრამ ჯერ კანტონურ და შემდეგ პეკინურ დიალექტზე გადათარგმნის შემდეგ ჩვენამდე ხშირად ყოველივე ეს დამახინჯებული აღწევდა. თვით ჩვენ საბრალო მთარგმნელებს აღარაფერი ესმოდათ, ისე დაიბნენ. სიტყვების წარმოთქმა უკეთ მიმდინარეობდა: ამ საქმეში უკეთ იყვნენ შეჩვეულნი.

შემდეგ სიმღერა დაიწყო: ძველ ინგლისურ სიმღერებს კარმანიოლა მოჰყვა, კარმანიოლას „ახალგაზრდა გვარდიის ჰიმნი“, ამ ჰიმნს ჩინური სიმღერები. ყოველივე ეს შეთანხმების განმტკიცებას ემსახურებოდა.

უცებ აფეთქების ხმამ შეგვაჩერა. ათი წუთის განმავლობაში პეტარდები სკდებოდა სასტუმროს მახლობლად. ეს არის ჩინური წესი სასურველი სტუმრის მისასალმებლად.

მუშათა მასის შემადგენლობა

მეორე დღეს ჩვენ შევუდექით კანტონის პროფკავშირების შემადგენლობისა და მდგომარეობის გამორკვევას.

კანტონის მუშათა მასას ექვსი უმთავრესი ჯგუფი შეადგენს.

საერთო რიცხვიდან რვა პროცენტი ინდუსტრიულ პროლეტარიატს ეკუთვნის: ესენია მექანიკოსები, ელექტრო-ტეხნიკოსები, არსენალის მუშები. მათ ყველაზე დიდი ჯამაგირი აქვთ ამ ქალაქში: დოლარ ნახევარი, ე. ი. 10—15 ფრანკამდე დღეში (სამ მანეთამდე). ესენი ერთგვარ მუშურ არისტოკრატიას წარმოადგენენ. ზოგიერთნი გაერთიანებულნი არიან მექანიკოსთა სინდიკატში, რომელიც ინგლისური ტრედიუნიონიზმის გავლენით ძველ კორპორატიულ ფორმაშია ჩამოყალიბებული. ეს ადამიანები გულწრფელი რეაქციონერები არიან.

მეორე მხრით არიან პატარა ფაბრიკებისა და სახელოსნოების მუშები, მეწუმწუმეები, მეაბრეშუმეები, მათი ჯამაგირი ძლივს აღწევს 15 დოლარს თვეში (80 მანეთს), მათი კლასობრივი შეგნება განვითარებულია, მაგრამ მხრებზე კიდევ კორპორატიზმის მძიმე ტრადიციები აწევთ. ამისდამიხედვით ეს ხალხი მნიშვნელოვან რევოლიუციურ ძალას წარმოადგენს.

მაგრამ მუშათა მასის სამოც პროცენტს ხელოსნები შეადგენენ, აქ ხელფასი მეტად ცვალებადია: დოლარს ზევით არ სცილდება, ხშირად ძლივს აღწევს 60 ცენტ. ეს კი საკმაო არ არის ნორმალური ცხოვრებისათვის.

ხელოსანთა შეკავშირებაც დიდს სიძნელეს წარმოადგენს: დასაძლევია ლოკალიზმი, კორპორაციზმი—პროფესიონალიზმი და უწინარეს ყოვლისა ტენდენცია პატრონებთან ერთად შეკავშირებისა, გილდიების და საამქრო კავშირების შექმნისა, როგორიც ევროპაში საშუალო საუკუნეებში არსებობდა.

ორგანიზაციის თვალსაზრისით კანტონის მუშები ორათ განიყოფებოდნენ: ერთი უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი ემხრობოდა ეგრეთწოდებულ „მუშათა დელეგატების კონფერენციას“,—ხოლო მეორე, რომელსაც დაახლოვებით 20.000 წევრი ჰყავდა, შედიოდა „კვანტუნის საყოველთაო სინდიკატში“. ამ სინდიკატში პატრონებიც შედიოდნენ და მუშებიც.

ლუმპენპროლეტარიატის არმია

შემდეგ მოდიან ეგრეთ-წოდებული კულიები: მათ არავითარი რეგულიარული სამუშაო არ აქვთ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ბარგს ზიდავს მათი რიცხვი დღითი - დღე იცვლება: ხან მატულობს, ხან კი კლებულობს. ეს ყველაზე ბეჩავი ხალხია ჩინეთში. არავითარი კანონი არ არსებობს მათ დასაცავად.

მათი გაჭირვება აუწერელია განსაკუთრებით, დღეს, როცა ყოველ დღეს ახალი სატრანსპორტო საშუალება მოაქვთ ჩინეთში: ავტობუსი, ტრამვაი და სხ. ტახტრევანის მატარებელმა „ცხენ-კაცმა“ ზამთარ-ზაფხულ დღე და ღამე უნდა ირბინოს წვიმაში და პაპანაქება სიცხეში, რომ ორიოდე გროში იშოვოს.

ამ ადამიანს არასოდეს არ ძალუძს ნორმალური ჰასაკს მიღწევა. მას ჭლექი, ნაადრევი უძლურება, ნაადრევი სიბერე ელის. ეს კარგად იცის ამ უბედურმა.

ამ მასის შეკავშირება განსაკუთრებით ძნელია. დღეს ბარგის დამტარებელი ხვალ უმუშევარია, ზეგ კი „ცხენ-კაცი“, მაგრამ ის ყოველ შემთხვევაში ყველაზე თავგამოდებულ მეამბოხეს წარმოადგენს: ყოველთვის მზათ არის ბრძოლისათვის.

რაც შეეხება მენავეებს, ისინი მესაკუთრეები არიან, პასივობას იჩენენ, მაგრამ რევოლიუციას მტრულად არ უყურებენ.

შემდეგ მოდიან ნოქრები, რომელნიც აგრეთვე მეტად ბეჩავ მდგომარეობაში იმყოფებიან: ისინი მიჯაჭვულნი არიან მაღაზიას და სულ მცირედ ხელფასს ღებულობენ. ჩინური ახალ წელიწადს, თებერვალში, პატრონს შეუძლიათ მათი დათხოვნა გაუფრთხილებლად, ხოლო მათ კი უფლება არ აქვთ ფირმა დასტოვონ. ეს იყო იმ კონფლიქტის მიზეზი, რომელიც წინადაც ზემოთ აღვნიშნეთ. თვით ამ კონფლიქტის ფაქტი მოწმობს, რომ ნოქრები მზათ იყვნენ ბრძოლისათვის. მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ ისინი ვერ შექმნიდნენ დამკვრელ რაზმს, რომელიც რევოლიუციის ბედს გადასწყვეტდა.

პროფკავშირული ორგანიზაცია

კანტონის მუშათა მდგომარეობის სურათი გვიჩვენებს თუ რა სერიოზული დაბრკოლებანი ელობებიან წინ პროფკავშირულ ორგანიზაციებს. ამისდამიხედვით ჩვენ დავრწმუნდით, რომ კანტონის „მუშათა დელეგატების კონფერენცია“, რომელიც ჩინეთის „შრომის საყოველთაო ფედერაციას“ ემხრობა 190.000 წევრს შეიცავს. კანტონის ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა ჰონგკონგის გაფიცვას.

ჩვენი ყოფნის დროს კანტონში პრაქტიკულად ის უწევდა ზედამხედველობას და მეთაურობას მუშათა ყველა გამოსვლებს. ის აკავშირებდა 200 ორგანიზაციაზე მეტს, რომელთა შტოები მთელს ქალაქში იყო გახლართული და ჩქარი ნაბიჯითაც მიდიოდა წინ. 1926 წლის იანვარში ის მხოლოდ 108 დარგს აკავშირებდა 140.000 წევრითურთ. ივლისში, მეორე ყრილობის მომენტში, 128 დარგსა და 160.000 მუშას, ხოლო ნოემბერში 203 დარგსა და 190.000 მუშას.

საყურადღებოა ამ პროფკავშირების ორგანიზაცია, „ეკონომიური ბრძოლის კომიტეტის“ ხელმძღვანელობით კანტონის ორგანიზაციამ სერიოზული ბრძოლები აწარმოვა და შესამჩნევად გააუმჯობესა მუშათა ეკონომიური მდგომარეობა, როგორც ხელფასისა, ისე ჰიგიენისა და სამუშაო დღის ხანგრძლივობის მხრივ, „თავდაცვის კომიტეტის“ ხელმძღვანელობით თვითეულმა პროფკავშირმა თავისი „პიკეტი“ შეადგინა, ე. ი. მილიტარულათ გაწვრთნილი მილიცია, გამოსადეგი შეიარაღებული ბრძოლისთვის.

— როგორია თქვენი დამოკიდებულება ნაციონალურ მთავრობასა და გომინდანთან—ვკითხეთ ჩვენ ამ ორგანიზაციების ბელადებს.

ზოგიერთი წინასწარი მოსაზრების გარეშე, რომელიც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ისინი ერთხმად აღიარებდნენ, რომ ნაციონალური მთავრობისა და გომინდანის ისტორიული როლი იმაში მდგომარეობს, რომ ორგანიზაციის თავისუფლება მისცა ჩინეთის მუშათა კლასს.

— წინათ ჩვენ არ შეგვეძლო შევკავშირებულიყავით; ეხლა ეს ადვილად შეგვიძლია და ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ბრძოლისათვის.

კანტონიდან—შანხაისაკენ

„15 ფრანგის“ სამფლობელო

კანტონში ორი კვირა დავრჩით. ამ ხნის განმავლობაში ორგანიზაციებმა ერთი წუთითაც არ მოგვასვენეს, ყოველდღე მიღებას ან მიტინგს გვიმართავდნენ. ორი მანიფესტაცია მოვიწვიეთ, რათა პროტესტი გაგვეცხადებია ჯარების გადმოზავნის წინააღმდეგ; თითქმის მთელი კანტონის მოსახლეობა დაგვესწრო.

6 მარტს კანტონი დავსტოვეთ. დილის ხუთი საათიდან პროფკავშირების, მთავრობის, ჯარის დელეგატები უკვე ჩვენს სასტუმროში იყვნენ. ზოგიერთს დროშები მოეტანა ევროპის ორგანიზაციებისათვის გადასაცემად, ზოგიერთს კიდევ საჩუქრები, რათა კანტონის ნავთსადგური გადაგვესერა და რკინის გზის სადგურზე მივსულიყავით. ჩვენს გამოსამშვიდობებლად წყალში რამდენიმე პეტარდა გადაისროლეს, მათი ხმა ყრუთ მოგვესმოდა ტალღებიდან. უამრავ ნავებისა და ხომალდებიდან, რომელნიც ნავთსადგურში ირწეოდნენ, გაკვირვებული ადამიანების თავები გამოჩნდნენ ჩვენს საცქერად.

ჩვენ გავიარეთ შამეენის მახლობლად, ესაა საერთაშორისო კონცესია „15 ფრანგის“ სამფლობელო, შამეენი პატარა კუნძულია; რომელიც სამი ხიდითაა შეერთებული კანტონთან: აქედან შეიძლება ნავთსადგურის ჩაკეტვა. მაშასადამე მისი დაცვა მეტისმეტად ადვილია. მაგრამ ამისდამიუხედავად ფრანგმა პოლიციელებმა ამ კუნძულიდან 1925 წელს სროლა აუტეხეს მანიფესტანტებს, რომელნიც კანტონის მხარეზე გადავიდნენ და 58 კაცი მოჰკლეს

ფრანგი კონსულის შესარცხვენად ჩვენ გვირგვინით შევამკეთ იმპერიალიზმის ამ მსხვერპლთა საფლავი.

შამეენი კარგადაა დაცული, აქაა საფრანგეთის, ინგლისის და ამერიკის სამხედრო გემები. როცა ჩინეთის ტერიტორიაზე დემონსტრაცია ხდება, ინგლისის გემები ზარბაზნებს უმარჯვებენ და ბრძოლისათვის ემზადებიან.

„გაუმარჯოს შავი ზღვის მეზღვაურებს“

ჩვენი თხოვნის თანახმად ჩვენმა ხომალდებმა ახლო გაუარა სამხედრო გემებს. რამდენიმე მეტრის მანძილზე გვერდით ჩაუარეთ ფრანგულ „ვიჟილანტს“. მეზღვაურები ქვანახშირს დასტრიალებდნენ. მე ვიცნობდი ზოგიერთს მათგანს, მათი ვითარება გამოვკითხე: ცუდათ იკვებებიან, მცირედი ჯამაგირს ღებულობენ, უფროსები ცუდათ ეპყრობიან, და რისთვის? მათ მხოლოდ ორი სურვილი აქვთ: უნდათ გაიგონ რა ხდება ჩინეთში და საფრანგეთში დაბრუნებაზე ოცნებობენ.

ჩვენ ინტერნაციონალი ვიმღერეთ. მეზღვაურებს ჯერ გაოცება დაეტყოთ, შემდეგ თანაგრძნობით შემოგვხედეს. უფრო გაბედულებმა ქუდები მოიხადეს, სხვებმა ფარულად მოწონების ნიშანი მოგვცეს. საჭირო იყო სიფრთხილე: ოფიცერი ხიდზე იდგა.

მეზღვაურები დიდის ინტერესით უცქეროდნენ ჩვენი ხომალდებისა და დროშების მწკრივს. ერთს ბაირაღზე მათ შეეძლოთ წაეკითხათ შემდეგი მიძღვნის სიტყვები: „კანტონის რკინისგზელები და მეზღვაურები თავიანთ ფრანგ ძმებს“.

ვისაც ჩვენს ხომალდზე ფრანგულად ლაპარაკი შეეძლო, წამოვდექით და დავიძახეთ: „გაუმარჯოს შავი ზღვის მეზღვაურებს“. ამით ჩვენ ის აზრი გამოვთქვით, რომ ჩინეთის წყლებში მყოფ ფრანგ მეზღვაურებმა უნდა წაბაძონ იმ ფრანგ მეზღვაურებს, რომლებიც საფრანგეთმა გააგზავნა რევოლიუციონური რუსეთის წინააღმდეგ შავ ზღვაში, ისინი კი რევოლიუციას მიემხრნენ.

მაგრამ უკვე ინგლისურ სამხედრო გემის მახლობლად ვიყავით. ტომ მანმა თავისი ფართო წითელი ყელსახვევი აფრიალა.

„დაე ფრანგმა — მუშებმა მხარი დაგვიჭირონ“

ჩქარა სადგურს მივაღწიეთ. რკინისგზელების კავშირმა ვაგონ - სალონი მოგვცა. მთელი მატარებელი აჭრელებული იყო რევოლიუციური ლოზუნგებითა და მოსალმების სიტყვებით. ჩვენი გამგზავრების ამბის გაგონებისთანავე რამდენიმე ათას მუშას მოეყარა თავი. მათთან ერთად ვიმღერეთ რევოლიუციონური სიმღერები, ერთი საინტერესო ინცინდენტი მოხდა. ერთმა მანიფესტანტმა სადარბაზო ბარათი გამომიწოდა. ეს მეტად გავრცელებული ჩვეულებაა ჩინეთში. მაშინვე ყველამ მოინდომა ბარათების გადმოცემა. ორიოდე წუთში რამდენიმე ასეული სადარბაზო ბარათი დამიგროვდა. ერთზე ჩინელს მუშას, რომელიც ომის დროს საფრანგეთში ყოფილიყო კრეზოს ქარხანაში, უმწეო ფრანგული ენით წარწერა გაეკეთებია. „დაე, ფრანგი მუშები დაგვეხმარონ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

— იმედიანად იყავი, ამხანაგო. ისინი უკვე გეხმარებიან, ხოლო როცა თქვენი ბრძოლების ამბავს გაიგებენ, კიდევ უფრო მეტად დაგეხმარებიან.

ვაგონიდან გამოსასალმებელი სიტყვები წარმოვსთქვით. შემდეგ მატარებელი ნელა დაიძრა. „ვამპუს“ ორკესტრი უკრავდა, პროფკავშირების და ჯარების პიკეტები სამხედრო სალამს გვაძლევდნენ. ოფიციალური პირებიც გვემშვიდობებოდნენ. მაგრამ ყველაზე ძლიერი, დაუვიწყარი შთაბეჭდილება ამ ზღვა ხალხის „ურამ“ მოახდინა, რომელიც კიდევ დიდხანს გაისმოდა. უფრო გაბედულებმა იმდენხანს გვსდიეს ლიანდაგის გასწვრივ, სანამ არაქათი არ გამოეცალათ, თითქო სურდათ კიდევ შორს წამოეღოთ კანტონელი მუშების სიყვარული და აღფრთოვანება.

გლეხებთან ერთად ბრინჯის ყანებში

ჩვენს გარშემო ბრინჯის ყანები გაიშალა. ყველგან გაცხარებული მუშაობა იყო. არც ერთი გოჯი მიწა არ ჩანდა დაუმუშავებელი. აქ მიწას რწყავენ, წარღვნის დროინდელი გუთნით ხნავენ. ეს ყოველივე საკმაოდ პრიმიტიული ტეხნიკის შთაბეჭდილებას ახდენს.

ეს კიდევ არ არის ჩინეთის ღარიბი ნაწილი. მხლებლებმა გვითხრეს, რომ პირიქით ეს პროვინცია მეტად მდიდრად ითვლებაო. სოფლები სუფთა, სახლები უბრალო ერთფეროვანი მაგრამ, როგორც ჩანს, მკვიდრად ნაშენი. ზოგიერთი თეთრი სახლი, რომელიც შეძლებულ და მემამულეებს, ჩარჩებს ეკუთვნის, უფრო დიდი კოხტაა, ვიდრე სხვა შენობები და აცხოველებს სოფლის ერთფეროვან პეიზაჟს.

სადგურთან მიახლოვებისას ხელახლა პეტარდების ტკრციალი ისმის, რკინისგზელების კავშირს გაუფრთხილებია თავისი ადგილობრივი წევრები და ყველანი სადგურზე გვხვდებიან ჩამწკრივებულნი. მრავალ სოფელში გლეხთა კავშირებს თავიანთი წევრების მობილიზაცია მოეხდინათ და გაეშლიათ გომინდანის დროშები, რომელზედაც თეთრი გუთანი და ვარსკვლავია გამოხატული. მათ წესიერების დასაცავად რაზმელები ახლდათ მხრებზე გადაკიდებული თოფებით, უნდა ითქვას, რომ ეს შეიარაღება არ სდგას თანამედროვე ტეხნიკის სიმაღლეზე, მაგრამ მაინც სჯობია ბამბუკის ჯოხებს, რომელთაც ხანდახან რეაქციონერ მილიციონერებთან ბრძოლის დროს ხმარობენ.

ამ გლეხებს თავი მოსწონდათ, რომ ცოტაოდენი დამოუკიდებლობა მოიპოვეს თოფებთან ერთად: ჩვენ ძალაუნებურად რამდენიმე საჩქაროდ თავმოყრილი მიტინგი მივილეთ. დიდ სადგურებზე იძულებული გავხდით სიტყვები წარმოგვეთქვა და ჩვენი დელეგაციის მიზნები აგვეხსნა. ამრიგად მატარებელმა ოთხი საათი დაგვიანებით მიაღწია ჩიუშოვს.

გენერალი ჩენ-შია-იუ

ჩვენ იქ მაშინვე მოგვესალმენ გენერალი ჩენ-შია-იუ, გლეხების მეგობარი და მისი არმიის პოლიტიკური კომისარები. ერთმა მათგანმა, რომელიც 1925 წელს გაქცევიათ საფრანგეთიდან, დიდათ გამაოცა, როცა საუცხოვო ფრანგული ენით ამბები გამომკითხა ჩვენი მუშათა მოძრაობის მეთაურების შესახებ.

სადგურის სანაპირო ქუჩაზე საუცხოვო სურათი გველოდა. თავი მოეყარა 2.000-დე კაცს, თვითეულს ხელში დიდი სანათური ეჭირა. ამ თავისებური პროცესიის წინამძღოლობით შევაღწიეთ იამენს, ერთი ინცინდენტი მოხდა. ბორანი დაირღვა დიდი სიმძიმის გამო და მრავალი მანიფესტანტი სანათურებითურთ წყალში ჩავცვივნდა. დიდის წვალებით მაინც მოვახერხეთ მეორე ნაპირას გადასვლა, სადაც ადგილობრივი გლეხური და მუშური ორგანიზაციები შემოგვეგებნენ.

გენერალი ჩენის ხელმძღვანელობით ყოველივე თითქო ოჯახურ ატმოსფერაში სწარმოებდა. ჩენი სრულიად უბრალო ადამიანია. როცა ჩვენ ჩვეულებრივი უნდობლობით გლეხთა კავშირის მდივანს ვკითხეთ, ვინ არის გენერალი ჩენი, მან გვიპასუხა: „ეს არის ადამიანი, რომელიც კარგად მუშაობს ჩვენთან ერთად. შეძლებისდაგვარად გლეხებს აიარაღებს, როცა რეაქციონერებს გლეხთა კავშირებზე იერიშები მოაქვთ, ის ურტყამს მათ. ასე რომ გლეხებმა მრავალჯერ მოითხოვეს, რომ ის აქ დარჩენილიყო როცა გენერალმა ლი-სინ-ჩინმა მისი გადაყვანა განიზრახა მისი ხალხოსნური პოლიტიკის გამო.

„ჩემი სახლი თქვენს განკარგულებაშია“

გენერალმა ჩენმა მეტად მეგობრულათ მიგვიღო, ამ პატარა ჩამგვრალებულმა, ენაწყლიანმა კაცმა შემდეგი გვითხრა: „ეს პირველი შემთხვევაა, რომ უცხოელები შემოუშვით ჩემს იამენში, არც მისიონერს, არც კომერსანტს აქ ფეხი არ დაუდგამს: მიტომ, რომ მე ვიცი ისინი აქ ჩვენს გასაყვლეფად მოდიან. ამას გარდა არასოდეს ისინი მარტო არ არიან: თან მოჰყავთ შეიარაღებული ძალები, რომელნიც ომებს გვიმართავენ. თქვენ კი მეგობრები ხართ. ჩემი სახლი თქვენს განკარგულებაშია. შეგიძლიათ ისარგებლოთ, როგორც და რამდენ ხანსაც გენებებათ“.

შემდეგ საუბრის საგანი შეიცვალა და დაგვეკითხა: „გვითხარით, რა ხდება თქვენს ქვეყნებში“-ო.

ჩიუშოუში

გლეხებთან ერთად

ჩიუშოუ ციხე სიმაგრეა საშუალო საუკუნოების გალავნით გარშემორტყმული; აქ ჩანან გონქურებიანი კედლები, ასაწევი ხიდები, თხრილები. ეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტია. გენერალმა ჩენმა ყველაფერი დაგვათვალიერებია.

ჩვენ ვინახულეთ მისი იამენი, უზარმაზარი მამული, რომელიც ერთი-მეორეს მომდევნო ეზოებისაგან შესდგება. ამ ეზოებს გრძელი ხეივნები აერთებს. დიდათ საინტერესოა შენობები. სახურავებზე უცნაური დრაკონებია ამართული. კედლების როლს ხის თხელი სატიხარი ასრულებს, რომელსაც ქაღალდი აქვს გადაკრული; ალაგ-ალაგ სარკმელია გამოჭრილი. ჩვენ ღამით პატარა საველე საწოლზე დავწექით. მასპინძელმა თავისი ლოგინი ტომ მანნს დაუთმო.

ჩინელები არაჩვეულებრივი მოწიწებით ეპყრობიან მოხუცებულ ადამიანებს. ჩვენი დელეგაციის ფასი მათ თვალში დიდათ ასწია ისეთმა სერიოზულმა დამაჯერებელმა საგანმა, როგორიც იყო 72 წლის მოხუცი ტომ მანნი. დიდი მადლიერნი იყვნენ მისი, რომ ასეთი დამღლავი მოგზაურობა იკისრა. დიდის პატივისცემით ეპყრობოდნენ. ღირსიც იყო ასეთი პატივისცემისა.

ქალაქის დათვალიერება გენერალ ჩენთან ერთად

ჩენს ქალაქში მივყევართ. ქუჩებს ორიოდე მეტრის სიგანეც არ აქვს. არაფერი ნიშანი ეტყობა თანამედროვე ტეხნიკისა და კულტურისა ამ ქალაქს, სადაც 100.000 სული სცხოვრობს. დღესაც ისეთივეა, როგორიც ათასი წლის წინათ ყოფილა, როცა ის აუშენებიათ. დუქნები და სათამაშო სახლები ერთი-მეორეს სცვლიან. „სათამაშო სახლი ცუდი რამ არის, მაგრამ შემოსავლის წყაროს წარმოადგენს მთავრობისთვის“. შეუძლებელია მათი დაკეტვა დღეს-დღეობით.

აი გლეხთა კავშირის სკოლა, სადაც 120 მოწაფე სწავლობს; ყველანი სოფლებიდან არიან მოსულნი სამი თვის კურსის გასავლელათ. გადიან უმთავრესად პოლიტიკურ და სამხედრო საგნებს, რათა შემდეგ კავშირისა და მილიციის ხელმძღვანელობა შესძლონ—დიდს იმედებს ვამყარებთ ამათზე—გვითხრა გენერალმა ჩენმა.

კურსი დაყრდნობილია დოქტორ სუნ-იატ-სენის „სამ დიდ ტაქტიკურ დებულებაზე“. როგორ უნდა განთავისუფლდეს ჩინეთი“ რომელი გზით? რა საშუალებებით? ამისთვის საჭიროა შეკავშირება რუსეთის რევოლიუციასა და მთელი მსოფლიოს რევოლიუციონურ პროლეტარიატთან, თანამშრომლობა ჩინელ კომუნისტებთან (ამ ტაქტიკის მიხედვით ჩინელი კომუნისტები გომინდანში შევიდნენ), მუშებისა და გლეხების მასსებზე დაყრდნობა. ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ დისკუსიებში და მრავალი ცნობა გავაცეით საერთაშორისო მუშათა მოძრაობის შესახებ.

ჩენი გველაპარაკა თავისი რაიონის მნიშვნელობის შესახებ.

— ეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული რაიონია, სთქვა მან: ეს კლასიკური ბრძოლის ასპარეზი იყო სამხრეთელებსა და ჩრდილოელებს შორის, როცა ეს უკანასკნელნი კვანტუნში შემოიჭრნენ. ჩვენმა შემოსვლამ მშვიდობიანობა დაამყარა. მაგრამ ეს კუთხე ღარიბია. ეს მთიანი ადგილები ნაკლებ ნაყოფიერია, ომმა დიდი განადგურება გამოიწვია, ჩვენ გლეხებს ვეხმარებით ორგანიზაციულად დაირაზმონ. სამაგიეროთ დახმარება გაგვიწიეს ომის წარმოებაში. მათ სიამოვნებით გადაჰქონდათ ჯარის სურსათი და ამუნიცია. ჩვენ საჭირო ცნობებს გვაძლევდნენ, ხოლო მტრებს გზებს უბნევდნენ. თუ გლეხებთან ერთად ვიქნებით, მუდამ გავიმარჯვებთ.

ინტერვიუ გლეხთა ორგანიზატორთან

მაგრამ აი ჩვენ „გლეხთა კავშირს“ ვესტუმრეთ. ჩვენ გვთავაზობენ „მწვანე ჩაის“, თამბაქოს და კვახსა და მზესუმზირას მარცვალს. „გლეხთა კავშირის“ ორგანიზატორი „სიპი“ არის ე. ი. კომუნისტური პარტიის წევრი. ის გვიუბნება:

— მდგომარეობა მეტად მძიმეა. ჩვენ ღარიბნი ვართ. გლეხები სჩივიან, რომ მიწის გადასახადები მეტად დიდია. დააკვირდით საშუალო ბიუჯეტის ნორმალურ დროს:

— აქ ერთი მუ (ე. ი. დღიურის ერთი მეთექვსმეტე ნაწილი) მოსავლიან წელიწადში იძლევა 400 კინე, ანუ კატი ბრინჯს (კინე ანუ კატი დაახლოვებით გირვანქა ნახევარს უდრის).

გლეხის ხარჯები კი შემდეგია: ის იხდის 200 კინე იჯარას.

50 კინე საქონლისთვის სჭირია, კიდევ მეტიც თუ დაქირავება დასჭირდა.

50 კინე თესლათ მიდის.

50 კინე სასუქის ფასათ.

50 კინე ოჯახის გამოკვებას სჭირდება (5-6 სულის). ამრიგათ, როგორც ხედავთ მშრომელი გლეხის ოჯახს თითქმის არაფერი რჩება.

— რამდენ მუს ღებულობს დაახლოვებით მოიჯარადრე გლეხი?

— აქ ცოტას, 3-დან 6-დე. მე ვილაპარაკე კარგ მოსავლიანი წლის შესახებ. წარსულ წელს ცუდი მოსავალი იყო, მუზე 150 კინე მოვიდა საშუალოთ, მაგრამ იჯარა მტკიცეთ განსაზღვრულია და გლეხმა მაინც 200 კინე უნდა გადაიხადოს. ეს მას არ ძალუძს, რასაკვირველია. და დანაკლისის ასანაზღაურებლად იძულებულია ფული ისესხოს ჩარჩისგან. ეს კი საზღაპრო პროცენტ ღებულობს. მაგალითად 10 კინესთვის ერთი წლის შემდეგ 150 კინე უნდა ჩააბაროს ე. ი. 50 პროც. გადაიხადოს. მაგრამ რადგან აქ ბრინჯის მოუსავლობა ხშირია უმრავლეს შემთხვევაში ვერც ამ პროცენტს იხდის და ვერც იჯარას.

— მაშინ რა ხდება?

— მაშინ მემამულე მოიჯარადრე გლეხს მიწასართმევს და ჰყიდის (აქ ეს საერთო ტენდენციაა) ან სხვა მოიჯარადრეს აძლევს. ხოლო ბოგანო გლეხი მთებში მიდის. ბანდიტიზმი აქ მეტად გავრცელებულია. ის იწყებს ძარცვასა და ქურდობას, რაკი მუშაობის უფლება წართმეული აქვს. ვიმეორებ რომ ჩვენს რაიონში საშინელი სიღარიბეა. ერთს ანეგდოტს მოგითხრობთ. ერთს დღეს ორმა გლეხმა დამპატიჟა ადგილობრივი კავშირის პირველი კრების შემდეგ. მათ შორის კამპანია დაიწყო: „შენ არ შეგიძლია სტუმარი შინ წაიყვანო, მიტომ რომ ბადე არ გაქვს კოღოებისაგან თავის დასაცავათო“. უთხრა პირველმა მეორეს. „შენ არა თუ ბადე არ გაქვს, არც საკმეველი გაგაჩნიაო“ უპასუხა ამ უკანასკნელმა (საკმეველს კოღოების გასაფანტავათ აბოლებენ). უნდა იცოდეთ რომ საკმევლის უქონლობა ჩინურ სოფელში უკიდურესი სიღატაკის მაჩვენებელია.

„თოფი უწინარეს ყოვლისა“

რას შვრებით თქვენ ყოველივე ამის წინააღმდეგ?

— ჩვენ საჩქაროდ ვრაზმავთ გლეხკაცობას. ჩვენს ოლქში 800 ორგანიზაციაა 160.000 წევრითურთ. მაგრამ დიდი სიძნელეებია გადასალახავი: მეტად გავრცელებულია წერა კითხვის უცოდინარობა; ახალგაზრდობის ექვსი მეათედი არავითარ სწავლა-განათლებას არ ღებულობს, მათ უნდა იმუშაონ რათა თავი გამოიკვებონ და სკოლისთვის არ სცალიათ. რეაქციონერები, „კეთილშობილები“ ჯერ კიდევ ძლიერნი არიან საკუთარი მილიცია ჰყავთ, რომელიც თავს ესხმის ჩვენს ორგანიზაციებს. გუშინაც კი ერთ სოფელში 50 ლის მანძილზე აქედან (ლი ნახევარ ვერსტს უდრის) ამ მილიციონერებმა, 20 გლეხი მოჰკლეს ან დასჭრეს.

ჩვენ გადავსწყვიტეთ 30 პროც. შეგვემცირებია საიჯარო გადასახადი. მესაკუთრეები უარს ამბობენ ბრინჯი გვასესხონ თესლისთვის და ფული აუცილებელი ხარჯების გასასტუმრებლად. ჩვენ ჯერ კიდევ იმდენად ძლიერნი არ ვართ, რომ ჩვენი გადაწყვეტილებანი მივაღებინოთ. თოფები გვჭირდება რეაქციონური მილიციის წინააღმდეგ საბრძოლველად, ამრიგად ადვილად აიხსნება ის მოთხოვნილებანი, რომელნიც თვით გლეხებმა გამოსთქვეს:

1. საიჯარო გადასახადის შემცირება.
2. მიწის წართმევის აკრძალვა.
3. ნაციონალური არმიისა და მისი მეთაურის გენერალ ჩენის შენარჩუნება.
4. თოფების მიღება.

— საერთოდ ამ ოთხი მოთხოვნილებისგან ორი ხომ ძალის საკითხს სვამს გლეხებსა და მესაკუთრეებს შორის?

— დიახ, გლეხებს შორის ძლიერი მოძრაობაა თოფების შეძენის სასარგებლოდ. ყოველგან თოფებს ეძებენ. უღარიბესი გლეხები უკანასკნელ პერანგს ჰყიდიან, რომ თოფი შეიძინონ. ჯარმაც გადმოგვცა თოფები. მაგრამ თვით ჯარს აკლია იარაღი, საუკეთესო დახმარება, რომელიც მას შეუძლია გაგვიწიოს. ესაა ჩვენსა და რეაქციონერებს შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტების გადაწყვეტა ჩვენს სასარგებლოდ. სამწუხაროდ ჩან-კაი-შის მიერ დანიშნული გენერლები რეაქციონერებს ეხმარებიან. ამიტომ გლეხები ხშირად გვეკითხებიან:

— რატომ ემხრობიან გომინდანის ბელადები რეაქციონერებს“-ო?

ეს გარემოება გვიმტკიცებს, რომ როგორც ქალაქში, ისე სოფლად გომინდანი გათიშულია მუშათა და გლეხთა საკითხში.

„ერთად ვიბრძოლოთ“

ჩვენ მიტინგი გველის. იძულებულნი ვართ ეს საუბარი შევსწყვიტოთ და გავემგზავროთ. გარედ წვიმს კოკისპირულათ, რაიც ჩვეულებრივი მოვლენაა ჩინეთში. გზაზე გლეხების რაზმები ჩამწკრივებულნი მიდიან. ჩვენ მათთან ერთად ვაღწევთ ფართო მოედანს. ამართულია ბამბუკის ტრიბუნა. მიტინგი შესდგება გლეხებისა, მოხელეებისა, მენავეებისა, ვაჭრებისა, მოსწავლეებისა, ჯარისკაცებისაგან. ძნელია მათი დანახვა, მიტომ რომ ფართო ჩალის ქუდები ახურავთ ან კიდევ ზეთწასმული ქაღალდის ქოლგები, ჰარმონიული სურათებით მოხატული.

ერთს წუთს ჩვენ ვყოყმანობთ და ვერ გადაგვიწყვეტია დავიწყოთ თუ არა სამიტინგო სიტყვების წარმოთქმა ქოლგებისა და ჩალის ქუდების წინაშე. ამ მდგომარეობიდან უეჭველად ბუდდამ გამოგვიყვანა. წვიმა შესწყდა, ქოლგები დაიკეცა. ჩვენ უკვე ვხედავთ მსმენელების სახეებს. სჩანს იგივე ცნობის მოყვარეობა, იგივე თანაგრძნობა, იგივე აღფრთოვანება როგორიც კანტონში შევამჩნიეთ. ამის დასამტკიცებლად მხოლოდ ერთს საბუთს დავასახელებ: იმ დროშაზე, რომელიც ჩიოუში გადმოგვცეს შემდეგი ეწერა: ვიბრძოლოდ ერთად“.

ჟაკ დორიო.

„ლიუმანიტე“ 28 და 29 ივნისი.

(გაგრძელება იქნება)

ქრონიკა

უკრაინელ ამხანაგების ჩამოსვლა

გუშინ საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ჩამოვიდენ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრი ამხ. ი. ე. ფედკევიჩი, უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს წევრი ამხ. პ. პ. ბორბუნოვი, უკრაინის ცაკის წევრი ამხ. ვ. ი. კონოტაპი და უკრაინის სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. ი. პორაიკო.

თბილისის აღმასკომში

◆ **საიმპორტო გეგმა.** კომუნალურმა განყოფილებამ შეიმუშავა თბილისის აღმასკომის წარმოებათათვის საჭირო საიმპორტო საქონლის სია.

◆ **თავშესაფარი.** სართიანის ქუჩაზე დაწყებულ თავშესაფარის აგება დაჯდება 165.000 მანეთი.

◆ **ვერის დაღმართზე** აღმასკომი შეუდგა მინერალური წყლების გასაყიდი კიოსკის აგებას. კიოსკი გაცემული იქნება იჯარით.

◆ **თბილისის მაზრაში** არსებულ სკოლების შესაკეთებლათ წელს საჭირო იქნება 36.136 მანეთი. ჯერ-ჯერობით გადადებულია 25.000 მან.

◆ **დახმარება უმუშევრებს.** ამჟამად თბილისში გახსნილია 4 სასადილო, საიდანაც სადილები უფასოდ ურიგდებათ უმუშევრებს, ღარიბ მოსწავლეებს და უპატრონო ბავშვებს.

განათლების კომისარიატში

◆ **სკოლების შეკეთება.** განათლების კომისარიატმა დაუგზავნა ყველა მაზრებს ცირკულიარი, რომ მომავალი სამოსწავლო წლის დასაწყისამდე დაამთავრონ სკოლების შეკეთება.

◆ **სოფლად მუშაობა.** განათლების კომისარიატმა მიმართა ჯანსახკომს, გამოყოს კომისია სოფლად სკოლებისა და ჯანმრთელობის ორგანოების თანამშრომლებისათვის საერთო წესების გამოსამუშავებლათ.

◆ **შეშის მომარაგება.** განათლების კომისარიატმა დაავალა ყველა სამაზრო განათლებ. განყოფილებებს მიიღონ ზომები სკოლების შეშით უზრუნველსაყოფად მომავალი ზამთრისათვის.

მიწათმოქმედების კომისარიატში

◆ **ბამბის ნათესები.** დასავლეთ საქართველოში ბამბის ნათესების სივრცე, კომისარიატში მოსული ცნობებით, უდრის 1.650 დესეტინას.

◆ **ხორბლის გაწმენდა.** მიწათმოქმედების კომისარიატის ღონისძიებებით ქუთაისის, ოზურგეთისა და სენაკის მაზრებში ქიმიურად გაწმენდილია 60.000 ფუთ ხორბალი.

მეფუტკრეობის განვითარება. მიწათმოქმედების კომისარიატმა გამოიმუშავა ღონისძიებები ოზურგეთის მაზრაში მეფუტკრეობის განსავითარებლათ.

ჯანსახკომში

◆ **ბრძოლა ვენერიულ სენებთან.** ჯანსახკომმა დაუგზავნა ყველა მაზრებს პლაკატები ვენერიულ სენებთან ბრძოლის შესახებ.

◆ **ექსპედიციების გაგზავნა.** ჯანსახკომს გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე ზაფხულზე გაგზავნოს სპეციალური ექსპედიცია რაჭის მაზრაში ვენერიულ სენებთან საბრძოლველათ და მათი გავრცელების მიზეზის გამოსაკვლევად.

◆ **ხუთწლიანი გეგმა.** ჯანსახკომში სწარმოებს ჯანმრთელობის დარგში მუშაობის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმის დამუშავება. გეგმა შედგენილი იქნება მრეწველობის განვითარების შესახებ გამომუშავებული პერსპექტიული გეგმების მიხედვით.

ს. მ. უ. ს.-ში

◆ **სატყეო მრეწველობა** ს. მ. უ. საბჭომ მოსკოვიდან მიიღო ცნობა, რომ საკავშირო შრ. და თავდაცვის საბჭომ გადასდო დამატებით 300.000 მანეთი ამ.-კავკასიის სატყეო მრეწველობის განსავითარებლათ. აქედან 150.000 მანეთი მოხმარდება საქართველოს სატყეო მრეწველობას.

◆ **სპეციალისტებს მივლინება.** ს. მ. უ. ს. სამთო სამმართველომ ყაზბეგის რაიონის სიმდიდრეების გამოსაკვლევათ მიავლინა სპეციალისტი-ინჟენერები.

◆ **მეტრიული ინსპექცია.** ს. მ. უ. საბჭოსთან განზრახულია დაარსდეს მეტრიული ზომა-წონის მეთვალყურე ინსპექცია.

სხვადასხვა

◆ **სურინჯის მადნები.** სამთო მრეწველობის ტრესტი ამ დღეებში შეუდგება სურინჯის მადნების გამოკვლევას სოფ. უბისში (შორ. მ.). გამოკვლევაზე იგზავნება გეოლოგი ბახტაძე.

◆ **ახალი დანიშვნ.** თბილისის აგურ-კრამიტის ქარხნების გამგეთ დანიშნულია ამხ. ა. ოგანეზოვი.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები:** კამენეციდან—ა.-კ. სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს, მოსკოვიდან—მახარაძეს, მოსკოვიდან—ბეკზადიანს, ტიხორეცკიდან—სურიაევს, ბაქოდან—არუთინოვს, დუშეთიდან—ბადიაშვილს, ბაქოდან—კოზლატნიკოვს, გორიდან—ბახჩიევს, აბაშიდან—ქემოკლიძეს, ლენინაკანიდან—კარაპეტოვს, კავკავიდან—ნალბანდიანს, კარაკლისიდან—არუთინოვს, ერევანიდან—მარგარიანცს, ბათომიდან—რევიას, ერევანიდან—ზ. კ. პ.-ს, ბაქოდან—ტოლინევს, ლენინაკანიდან—ჯაგინოვს, კავკავიდან—ისმაილოვს, ზუგდიდიდან—ქირიას, ბათომიდან—მამიაშვილს ხიდისთავიდან—სიმონიშვილს, მოსკოვიდან—ანჩარსკის და კატაევს, კაზანიდან—აცმანს, ბათომიდან—ტუტვალს.

შემთხვევები

თავდასხმა არ მომხდარა

ამ ორი დღის წინეთ ჩვენს გაზეთში მოთავსებული იყო ცნობა კუთისის მიმართულებით მეურმეებზე თავდასხმის შესახებ. აღნიშნულ ცნობის შესახებ სისხლის სამართლის მილიცია იძლევა შემდეგ განმარტებას:

შემთხვევის ადგილიდან დაბრუნებულმა სის. სამ. მილიციის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ მსგავს მოვლენას ადგილი არ ჰქონია. საქმე შემდეგში ყოფ: ბორჩალოს გზაზე მიმავალი მეურმეები გაჩერებულან დასასვენებლათ და ერთმანეთში ჭიდაობა გაუმართავთ. ამ დროს მიმავალი მატარებლიდან ესენი დაუნახავთ მგზავრებს, რომლებსაც მოეჩვენათ, თითქოს გლეხებს სცარცვავდენ. საიდან მათ შეატყობინეს სის. სამართლის მილიციას, თითქო გზაზე გლეხებს სცარცვავდენ.

ცოლის და სიდედრის დაჭრა

გუშინ, ღამის 11 საათზე მოქ. ივანე ახალაშვილმა (ტეხნიკ. ქ. 10) დასჭრა თავისი ცოლი ალექსანდრა და სიდედრი ეკატერინე პროსკურინა.

დაჭრილებს სასწრაფოდ აღმოუჩინეს საექიმო დახმარება. ცოლის და სიდედრის დაჭრის მიზეზათ ახალაშვილმა ოჯახური უსიამოვნება დაასახელა. დამნაშავე დაპატიმრებულია.

◆ **ქარხნის გაქურდვა.** გუშინ ღამით გაქურდეს მოქ. ვ. ოგანეზოვის ტყავის ქარხანა (კომ. ქ. 62). წაღებულია 325 მანეთის ტყავები.

◆ **ძილის დროს გაქურდეს** მოქ. ტიგრან მნაცაკანიანცის ბინა, წაღებულია მთელი მისი ტანისამოსი და ლოგინის მოწყობილობა.

◆ **კალუბნის ქუჩაზე** მცხოვრებ სერგო სტურუას, ძილის დროს ღიად დატოვებული კარებიდან მოჰპარეს შარვალი სხვადასხვა საბუთებით.

◆ **დაჭრა.** გუშინ ღამით მოქ. თედო ჩხიმლიძემ დანით დასჭრა მოქ. ახან სალოევი. დამნაშავე შეპყრობილია.

◆ **ვანილის მოპარვა.** სამღვდაჭრობის მაღაზიიდან (მიმოსვლის ქ. 21) მოიპარეს 100 მანეთის ვანილი.

ხელოვნება

კონცერტები

ორი უკანასკნელი სიმფონიური კონცერტის პროგრამა შესდგებოდა სამი ახალგაზრდა კომპოზიტორის **ანდრო ბალანჩივაძის, მელიქ ფაშაევის და ეგიაზაროვის** ნაწარმოებებისაგან. ახალგაზრდა კომპოზიტორებმა საკმაო ხანია, რაც მიიპყრეს თბილისის მუსიკალური წრეების ყურადღება. ყველა სამივე დიდი ნიჭის პატრონია.

ანდრო ბალანჩივაძის ნაწარმოებები (რამდენიმე) შესრულებულ იქნა კონსერვატორიის საკონცერტო ესტრადაზე, ხოლო ეხლა კი მისი ნაწარმოები პირველად იქნა შესრულებული სიმფონიური ორკესტრის მიერ—ახალი მიმართულების (შემარცხენე) მიმდევარი ანდრო ბალანჩივაძე თავის ნაწარმოებში იცავს ახალ მუსიკალურ ფორმას (ჰარმონია და დინამიკა), მაგრამ როგორც სჩანს, ახალგაზრდა კომპოზიტორმა აღიარა მელოდიის უდიდესი მნიშვნელობა მუსიკალურ ნაწარმოებებში და ამიტომ ეხლა უფრო ნათლად ატარებს ამ იდეას; რასაკვირველია, ამით მისმა ნაწარმოებებმა ბევრად მოიგეს. მისი კომპოზიციის სუსტ მხარეს წარმოადგენს ინსტრუმენტოვკის საკმაო შეუთვისებლობა, რაც ემჩნევა ყველა რთული ხასიათის ნაწარმოებს. მშვენიერია მისი „Adagio" (ნელი ინტიუტიური მელოდია). ლამაზია სიმებიანი ინსტრუმენტებისათვის დაწერილი ნოკტიურნო (კვარტეტი: სკრიპკა, ვიოლონჩელი, და ორი ალტი). აქ სჩანს ემოციონალობა, ნაწარმოები ლირიული ხასიათისაა. ქართულ თემაზე დაწერილი ვალსი ინსტრუმენტოვკის უფრო დეტალურ დამუშავებას მოითხოვს. კარგია ლეკური, რომელიც რამდენჯერმე იქნა განმეორებული.

მელიქ-ფაშაევი, როგორც კომპოზიტორი, პირველად გამოდის. შესრულებულ იქნა მისი უვერტიურა და ინტერმეცცო (მუსიკალური სურათი მოქმედებებში). ახალგაზრდა კომპოზიტორის ოპერა „სულამიფ"-ში (კუპრინის მოთხრობა ბიბლიურ ეპოქიდან) უვერტიურა (სასულე ინსტრუმენტების ღრმა საზეიმო აკორდები) ღრმა შინაარსითაა. ვერ უარვყოფთ იმას, რომ მელიქ-ფაშაევი მშვენიერად არის გაცნობილი ინსტრუმენტოვკის და ორკესტროვკის დეტალებს, მაგრამ, როგორც სჩანს, კომპოზიტორი ფიქრობდა თავის უვერტიურის გადმოცემას უფრო ღრმა და მუსიკალურ ფორმებში, მაგრამ საამისო გზები ვერ გამოუნახავს და უვერტიურას ემჩნევა ერთფეროვნება და დამძიმება. გარდა ამისა მელოდიებში არ არის დაცული მთლიანობა. მშვენიერი, ლამაზი მელოდიებით სავსეა და ემოციონალურია მისი ინტერმეცცო.

ეგიაზაროვის სიმფონია პირველი სიმფონიური ნაწარმოებია სომხურ მუსიკალურ ლიტერატურაში. სიმფონია მოწმობს ეგიაზაროვის კომპოზიტორულ შემოქმედების სერიოზულ მიმართულებას. დაწერილია ის კომპოზიციის ახალ მიმართულების მიხედვით. (სამი ნაწილი კლასიკურ ფორმად აღიარებულ ოთხი ნაწილის მაგიერ). სიმფონიის შინაარსი ზოგადია, ხოლო მისი მთავარი თემები (უმთავრესად მეორე ნაწილში) აღებულია შირაქის ველის (ავტორის სამშობლო) გლეხურ სიმღერებიდან. მეორე ნაწილში (სიმფონიის საუკეთესო ადგილი) ხალხური საკრავების (ქიანური) მრავალი მელოდია შესრულებულ იქნა სკრიპკაზე.

კარიდაშევი მშვენივრად უძღვებოდა სიმფონიას, მიუხედავად იმისა, რომ ეს სიმფონიები ჯერ-ჯერობით ხელნაწერია.

პ. ბ.

—:—

პროლეტარულ დრამატიულ სახელოსნოში

— **„ფრინგულდა".** პროლეტარულ დრამატიულ სახელოსნოს ლაბორანტ მსახიობმა **შოთა ტურაბელიძემ** დასწერა პიესა „ფრინგულდა", რომელიც გადაეცა სარეპერტუარო კომისიას განსახილველად.

ამავე კომისიამ მიიღო სალიტერატურო საღამოებზე დასადგმელად მეორე კურსანტის **გერონტი ნადიაშვილის** (ტულუშის) პიესა „განთიადი".

— **მომღერალთა გუნდი.** პროლეტარულ დრამატიულ სახელოსნოსთან არსდება მომღერალ ქალ-ვაჟთა გუნდი, რომლის ხელმძღვანელად მოწვეულია ლოტბარი **ალექსანდრე მაისურაძე.**

წინასწარი ჩაწერა და განცხადებების მიღება სწარმოებს, ყოველ დღე გარდა კვირისა, დილის 10 საათიდან 12 საათამდე. (რუსთაველის გამზირი № 12. „პროლეტარული დრამატიული სახელოსნო").

ხმების გასინჯვა და მეცადინეობა დაიწყება პირველ სექტემბრიდან. განცხადების შეტანის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 25 აგვისტო.

დღეს კინოებში

◆ **მინიონ-ში**—„ილონა".
◆ **არფასტოში**—„მეფის ბრძანებით".
◆ **დარბაზში**—„ლიუსეტა".
◆ **ოდეონში**—„გარიყული გემი".
◆ **პალასში**—„ექიმი კალიგარი".
◆ **აპოლოში**—„სამთა სიყვარული".

სასამართლო

განაჩენი პ. კალატოზიშვილის საქმეზე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. ბერიშვილის თავმჯდომარეობით გამოიტანა განაჩენი პოლიგრაფტრესტის პირველი სტამბის მოანგარიშე პ. კალატოზიშვილის საქმეზე.

კალატოზიშვილს არ დაუმტკიცდა ბრალდება ფულის გაფლანგვის შესახებ, დაუმტკიცდა მხოლოდ დაუდევრობა და უყურადღებობა მინდობილ საქმისადმი, რისთვისაც მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით.

„პურმარილიანი" ხალხი

— ეს ღმერთმა გაუმარჯოს ჩვენს გედეონს, რომელიც რომ ერთი სიტყვით ჭირში და ლხინში მუდამ ჩვენთან არის და რომელიცა რომა... ეს პურმარილი ჩვენ გვაკავშირებს, როგორც მაგალითად, საერთოდ კერძოდ და ნაწილობრივ... მოიტა ჭიქა, გედეონ! ვისურვებდი, რომ ერთმანეთი არ დაგვიწყებოდეს და ერთმანეთთან პურის ჭამა არასოდეს არ შეგვძულებოდეს.

— ეჰ! შვილოსან, რა შეგაძულებთ ჩემს ხარჯზე სმა-ჭამას!—ჩაილაპარაკა ნაღვლიანად მიკიტანმა.

— უკაცრავად, ამხანაგებო, კიდევ ორიოდე სიტყვა მინდა ვსთქვა. ვისურვებდი, რომ საგარეჯოს მილიციას, როგორც ასეთს, ბევრი ჰყოლოდეს ისეთი მუშაკი, რომელიც არის საერთოდ და კერძოდ ჩვენი ძმა გედეონ ლორთქიფანიძე. მე რომ არ ვცდები, იმედი მაქვს ამას დამიდასტურებს მარტყოფის მილიციის უფროსი, ეს ჩვენი კვარტივით ძმა-ბიჭი ბესო....

როგორც იქნა დაათავა თავისი სიტყვა იოსებმა და ფეხზე ამდგარი გადაჰკრა ჩაის ჭიქით ღვინო.

— უსათუოდ საპატიო სადღეგრძელოა და მეც არსებითად მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა. ჩვენ, მილიციის თანამშრომლები, რომელიც თანამშრომლები მჭიდროდ უნდა ვიყოთ ერთმანეთთან დაკავშირებული. ჩვენი კავშირის განსამტკიცებლად ხშირად შევხვდეთ ერთმანეთს პურ მარილში. პურმარილის ფასი, ჩემის აზრით, არსებითად არაფერი არ არის. გედეონს დიდი ხანია არ ვიცნობ. მაგრამ არსებითად საკმარისი იყო ეთხელ შეხვედრა, რომ მაშინვე შევატყვე დიდი ყარაჩოღული კაცია. ამიტომ მე ვადღეგრძელებ მას და ვისურვებ, რომ ჩვენ ხშირად შევხვდეთ ერთმანეთს პურმარილში, როგორც აი, აქ, ისე ჩვენს საკუთარ ოჯახშიაც...

— კი... დიახ! დიახ! თქვენს ოჯახში მეც მაგის მომხრე ვარ. თქვენ ოჯახს დაანგრევს ღმერთი, აბა სადღა წავალთ მერე, მე რომ გამაკოტრებთ—ჩაილაპარაკებს მიკიტანი.

„მრააავალ ჟაამიერ"...—სჭექს ძმაბიჭებმა.

— ეხლა ამხანაგებო, ვადღეგრძელოთ ეს ჩვენი „ხაზეინი", რომელიც თვალებში გვიყურებს და ცდილობს ყოველმხრივ პატივი გვცეს. ეს დიდი პურმარილიანი კაცია. ჩვენ მიტომ გვიხარია მაგასთან შემოსვლა, რომ მუდამ პირგამცინარი გვხდება და სახეზე შეატყობ, რომ ჩვენი დანახვა უხარია...

— ღმერთი თქვენ გიშველის, ისემც თქვენ გაიხარეთ—ჩაილაპარაკებს თავისთვის მიკიტანი.

„ძმა-ბიჭები" ბარბაცით აიშალენ სუფრიდან.

— ნება მომეცით, ფული მე გადავიხადო!

— არავითარ შემთხვევაში,—იწევს მეორე—მე უნდა გადავიხადო!

— გედეონ ლორთქიფანიძე მოკვდეს, თუ ვინმეს ფული გადაახდევინოს! ხომ იცით ჩემი ხასიათი, მაწყენინებთ დიდათ. აბა „ხაზეინ", ჩასწერე ჩემზე.

— სულ ერთი არ არის, გედეონ; თქვენი ჯიბე რამ გაყო. ესენი გადაიხდიან და მერე კიდევ შეხვდებით ერთმანეთს—გაბედა მიკიტანმა.

— ჩასწერე, ბევრს ნუ ლაპარაკობ.

— ბატონო, სანამდე უნდა ვსწერო, ცარიელი ადგილი აღარ დარჩა დავთარში. ეხლა ნაღდათ იყოს და მერე დავთარს შევიძენ და ვსწეროთ, რამდენიც გინდა.

ეს ითქვა და გედეონმა მაგიდა გადააყირავა. ბოთლებმა სარტალ-მარტალი მოასწრეს ძირს დაცემამდე. დახლი დაემგვანა დამტვრეულ ურმის ჩარდახს.

„ხაზეინი" სად შეძვრა არავის დაუნახავს. გედეონი კი დააპატიმრეს.

გერ.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი

სია იმ პირთა, რომელთაც 1927 წლის გაზაფხულის სესიაზე ჩააბარეს სახელმწიფო გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე

ისტ. დარგი: 1) ანთაძე ლუარსაბ კონსტანტინესძე, 2) ბერულავა კონსტანტინე იოსებისძე, 3) გაგოშიძე პოლიევქტ სოფრონისძე, 4) გოზალიშვილი გიორგი კონსტანტინესძე, 5) მუსხელიშვილი ლევან ვახტანგისძე, 6) ცინცაძე იესე ზაქარიასძე; **ენათმეცნიერების დარგი:** 1) როგავა გიორგი ბესარიონისძე, 2) ქუთათელაძე შოთა ილარიონისძე, 3) წერეთელი გიორგი ვასილისძე; **სიტყვიერების დარგი:** 1) აბრამიშვილი ირინე სიმონის ასული, 2) ახვლედიანი ნინო აკაკის ასული, 3) დევიძე ელენე სამსონის ასული, 4) იორდანიძე კონსტანტინე დიონისისძე, 5) კარიჭაშვილი ზინაიდა ნიკოლოზის ასული, 6) იმნაძე თეკლე სიოს ასული, 7) კვირკველია ელენე ალფეზის ასული, 8) კარბელაშვილი დავით პოლიევქტისძე, 9) მეგრელიძე ქეთევან იოსების ასული, 10) მუშკუდიანი ვარლამ ილარიონისძე, 11) ურუშაძე ნატალია ალმასხანის ასული, 12) ურუშაძე სამსონ ოქროპირისძე, 13) ფეიქრიშვილი პელაგია ანდრიას ასული, 14) ყიფიანი დიმიტრი ივანესძე, 15) ცინცაძე ვარლამ ნიკოლოზისძე, 16) სურგულაძე ირდიონ ნიკოლოზისძე; **ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური დარგი:** 1) ასათიანი დავით ყაფლანისძე, 2) ბრეგაძე ალექსანდრე ნიკოლოზისძე, 3) ვადაჭკორია პროკოფი კონსტანტინესძე, 4) მიქელაძე შოთა ნესტორისძე, 5) მიქელაძე მეგი ლევანის ასული, 6) ნათაძე რევაზ გრიგოლისძე, 7) ხმალაძე გრიგოლ ივანესძე, 8) დგებუაძე ნიკოლოზ გუსარისძე, 9) მიქელაძე ელეონორა ლევანის ასული, 10) კიკნაძე ზაქარია სამსონისძე, 11) თარიშვილი ნინო კონსტანტინეს ასული; **საბუნებისმეტყველო დარგი:** 1) ბოკერია ოლღა მაქსიმეს ასული, 2) ჟურჯანაძე მარიამ პავლეს ასული, 3) ვარდიაშვილი ნინო მათეს ასული, 4. იაკობსონ ნატალია ნიკოლოზის ასული, 5) კალაშნიკოვა ელენე დავითის ასული, 6) კოპალეიშვილი შუშანა ლაზარეს ასული, 7) ფარადაშვილი ანა ივნეს ასული, 8) ყანჩაველი ლევან ალექსისძე, 9) ცხაკაია ქსენია ეფრემის ასული, 10) წულუკიძე ნინო მიხეილის ასული.

ჩაის მუზეუმი

სააქციო საზ. „საქართველოს ჩაი"-ს განზრახვა აქვს მოაწყოს ჩაის მუზეუმი, რომელსაც ექნება წმინდა სამეცნიერო-პრაქტიკული დანიშნულება.

ამ მუზეუმის დახმარებით შესაძლებელი გახდება ყველა იმ ძვირფას მასალების გამოყენება, რომელიც დაგროვდა ჩაის მეურნეობის განსავითარებლად და ასაღორძინებლად წარმოებულ მუშაობის პროცესში; ამავე დროს მუზეუმს დაეკისრება წარსულ წლებში მიღებულ გამოცდილების მიხედვით მოამზადოს ტეხნიკური პერსონალი, გამოსცეს პოპულიარული ბროშურები, ფურცლები და პლაკატები ჩაის მეურნეობის შესახებ და სხვ.

საზ. „საქართველოს ჩაი" უკვე შეუდგა საამისო მუშაობას. ჯერ-ჯერობით სწარმოებს სპეციალური ბიბლიოთეკის მოწყობა: უკვე შეძენილია წიგნები და ლიტერატურა ადგილობრივ და უცხო ენებზე ჩაის კულტურისა და ჩაის ტეხნოლოგიის შესახებ.

ახალი აგარაკი

სამხრეთ-ოსეთში და ქვემო-ქართლში ნაგუთნის (სამხრეთ-ოსეთი, ოქონის რაიონი) ცნობილია, როგორც საუკეთესო კლიმატიური და მინერალური აგარაკი, რომელიც უხვად არის დაჯილდოვებული სასმელი მჟავე წყლებით და აგრეთვე გოგირდის საბანაო წყლებით.

ამ აგარაკით ყოველ წლიურად სარგებლობს ახლო მდებარე კუთხის მოსახლეობა, რომელსაც უგზოობის გამო უჭირს ამ სამკურნალო ადგილზე მისვლა-მოსვლა და სურსათის მოტანა. აგარაკი პრიმიტიულად არის მოწყობილი და იქ დაცული არ არის ჰიგიენის ელემენტარული წესები.

ივნისში ნაგუთნევის ხეობა გამოიკვლია ჯანმრთელობის სახ. კომის. სპეციალურმა კომისიამ. სამხრეთ-ოსეთის ჯანმრთელობის კომისარიატს მომავალი წლიდან განზრახვა აქვს მოაწყოს ამ ხეობაში სახალხო კურორტი.

რკინის გზებზე

ცეცხლი ვაგონში

15 ივლისს ყარადაღა-სანგაჩალის შუა მიმავალ სახალხო მატარებელ № 14-ს ერთ-ერთ ვაგონში გაჩნდა ცეცხლი.

ცეცხლი ჩააქრეს საკუთარ ძალებით, დაიწვა ვაგონის წინა ნაწილის სახურავი.

ტელეფონის სადგურების გადაკეთება

სამტრედიის, ბაქოს, ბათომის, ნავთლუღის, ბალაჯარის და თბილისის სატელეფონო სადგურების გადაკეთებისათვის საჭირო მოწყობილობები ა. კ. რკინის გზის გამგეობის მიერ უკვე დაკვეთილია.

რემერტოვისეული ბაღი ბორჯომში

რემერტოვისეული ბაღი, ბორჯომში, რომელიც აიღო რკინის გზამ სადგურისათვის ამჟამად სწარმოებს მუშაობა, მის წესრიგში მოსაყვანად.

განზრახულია ბაღისათვის ღობის შემოვლება.

ახალი წყალსადენი

წევის დარგის მეოთხე უბნის სავაგონო პარკში (თბილისში) ეწყობა წყალსადენის ახალი ქსელი, რადგან ძველი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

7.260 მან. ზარალი

შემთხვევებთან მებრძოლ საგზაო კომისიის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა 10 საქმე მატარებლების დაჯახების, ვაგონების ჩავარდნის და სხვ. შესახებ.

ყველა ამ 10 შემთხვევისაგან გზას მოსვლია 7.260 მან. ზარალი.

დამნაშავენი დასჯილი არიან.

რადიო-გადაცემა

კვირა, 17 ივლისი

დღეს საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

საგლეხო გაზეთი ქართულ ენაზე—(7—7—20)
თავდაცვა-ავიაქიმის როლი ქვეყნის თავდაცვის საქმეში—რუსულ და ქართულ ენებზე (7—20—8)
კომკავშირის გაზეთი—რუსულ ენაზე (8—8—20)
ტეხნ. კონსულტაცია (8—20—8—40)
ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე (8—40—8—50)
კონცერტი ანდა ტრანსლიაცია—(8—50—11).

ავაშენოთ თვითმფრინავი



განათლების სახალხო კომისარიატის მუშამოსამსახურეებს შემოაქვთ თვითმფრინავ: „თბილისის პროლეტარიატის" ასაშენებლად 260 მანეთი და 20 კაპ. (ორას სამოცი მანეთი და 20 კაპ.).

—

ამხ. დათიკო მაჭარაშვილის გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებათ შემომაქვს 5 მანეთი და როგორც უფრო შეძლებულ მოქალაქეებს ვიწვევ 25 მანეთზე თითოს ქიათურიდან: რ. ანჯაფარიძეს; კ. აბულაძეს, ი. თევზაძეს; პ. თოფურიას; ს. ლეჟავას; ჯ. აბამიძეს; ი. წერეთელს, მიშა ჩუბინიძეს და ნ. გ. ბუაჩიძეს. 5 მანეთზე ვიწვევ ქიათურიდან:— გ. გაბუნიას; გ. ლეჟავას (ბუჰგ.); ვ. ჟურჟულიანს, ს. უგრეხელიძეს; ა. მანტკავას; შ. კინწურაშვილს; კ. ნანეიშვილს; ა. კობიძეს; გ. ლოლაძეს და შ. გურულს. ზესტაფონიდან: მიხა ტაბატაძეს; ვანო ჯაფარიძეს და ლეო ნიორაძეს.

ტარასი აბაშიძე.

—:—

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ჭიჭიკო კვარაცხელიას, ვასო მეგრელიშვილს; დავითკა როთველაძეს; გრიშა ნაზარეტიანს, კუკური ოკუჯავას, მიხეილ მდივანს; ზორია კალაძეს; კოცკა ტალახაძეს, კუკუნა და ლელიკო გიორგაძეებს, კოცკა სტეფანოვს, კოლია სტურუას; ბეჟანა ბოლქვაძეს; ვანიჭა მიროტაძეს, ბიჭიკო ქუჩიშვილს და კოტე ყიფშიძეს.

შალიკო მიროტაძე,

—

ამხ. იასონ ფირცხალავას გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ ამავე თანხით შემდეგ ამხანაგებს: არჩილ მიქაძეს, შალვა გეგენავას; ვანო პოლოსოვს; ნიკო ჭეიშვილს; შალვა კალანდარიშვილს, ვარლამ ნადარეიშვილს, გიორგი კირილოვს; მამიკონ სტეფანოვს; ხაჩიკ ალაჯანოვს; ვანო ბარაბაძეს; ვანო ლომიძეს; დავით კარიჭაშვილს; გიორგი კაკუბერს; ილიკო დევიძეს, ქსენია ჭავჭანიძეს; ალექსანდრე ცინცაძეს, ტროფიმე ხუნდაძეს; გიგა ბერიძეს; გრიშა თავზარიშვილს; ვლადიმერ ენიკოლოპოვს, ილიკო წილოსანს; ვანო ხელაიას, ილია ლეჟავას; და არეთა ზამთარაძეს; ბათომიდან: სერგო სალარეიშვილს; ფოთიდან: დანიელ ხვიჩიას; ზუგდიდიდან: ალექსანდრე ბრეგვაძეს, ქიათურიდან: ალექსანდრე ბოგვერაძეს, შორაპნიდან: კოტე მართაშვილს; სიღნაღიდან: ტფილისიდან— ეფრემე ვაჭაძეს; ლავრენტი ძიძიგურს; კოლია მახარაძეს; კოლია ცხაკაიას; გიორგი სოხელიას; ალექსანდრე საჯაიას და რაჟდენ მელაძეს.

ილიკო სოლომონია.

—

ამხ. ჯეჯელავას გამოწვევით შემომაქვს ათი მანეთი „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ: ინჟ. ვ. კაკაბაძეს, ინჟ. ბ. კაპანაძეს, პროფეს. როდერს.

ინჟ. ვ. აგალიანი.

—

ამხ. დიმიტრი ღოღობერიძეს გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლათ და ვიწვევ მუშკოოპის შემდეგ თანამშრომლებს: ამხ. ხორბალაძეს; ჯუმუხაძეს; ბახჩიევს; ხარაზოვს (მთავარ საწყობიდან); ხიმონიანცს; გოგოლს (საქურჭლე საწყობიდან); ქარუმიძეს პ.; სვიმონიას (მთავარ ბუღალტრ.), ასატუროვს; პურადაშვილს, კარგარეთელს (საერთო განყოფ.) და ბუდაგიანს (თევზ. საწყობი).

გ. თოფურია.

—

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად ამხ. დიმიტრი ღოღობერიძის გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხ. ამხ. დავით არსენაშვილს, რუბენ პაპინიანს, ბრიკინს, (შოფერი), წულეისკირს, კონდრატენკო, ბახჩიევს, (მანუფაქტურის საწყობის გამგეს) და ვალტერს (სარძეო პუნქტის გამგე).

ნიკო ბეროსძე კიკნაძე.

—

მუშკოოპის მე-2-რე მაღაზიის თანამშრომლების გამოწვევით შემომაქვს მუშკოოპის მე-7-დე მაღაზიის თანამშრომლებს ოცდა-თხუთმეტი მანეთი (35 მ.) თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლათ და ვიწვევთ მუშკოოპის შემდეგ მაღაზიებს: სადაიაქო ტინის (ხილის საწყობის) თანამშრომლებს 15მან. მაღაზია №13 10 მან. მაღაზია № 52 (თევზეულ საწყობის) 15 მან. მაღაზია № 30 (ფართლეულობის) 15 მან. მაღაზია № 14 15 მან. მაღაზია № 14 10 მან. მაღაზია № 5 10 მანეთი.

გ. თოფურია.

—

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: შალიკო სალარიძეს; ირა კორინთელს; ცუცა ბოლქვაძეს, ვიტკა ლაფანაშვილს, შურიკო ძნელაძეს, კისა ხუტულაშვილს; თენგიზა გოგოტიშვილს; პავლიკა, როთველაძეს; ნათელა თოდრიას.

ეთერი მიროტაძე.

—

ამხ. გიგლა ბერბიჭაშვილის გამოწვევის თანხმად შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად—ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს—მუხრანიდან: კ. შახნაზაროვს, მ. ელიაშვილს, ა. კარტოზიას, კ. ჭეიშვილს; ვ. ზვიადაძეს; კ. ხვიჩიას; ს. ქათამაძეს; ვ. გურგენოვს; ვ. ზაქაიძეს; ფ. ბერძნიშვილს; ს. ტერ-გუკასოვს; გრ. ოსიპოვს; ა. ალბერტოვას; კ. კუპუხიძეს; ვ. გორდაძეს; ა. კარაგულიანს; კ. ქაჯაიას; ტის მუხრანის ც ღ;ყფნძ——— ტშიძჯ —— ვასილ სანაკოევს. სახელმწიფო უნივერსიტეტის მუხრანისმამულიდან: ამხ. ნ. ავალიშვილს, ვ. გოგიშვილს; ილია თავბერიძეს და მ. ჯოჯიკიას. ძიროულიდან: ამხ. ო. ოყრომიძეს და კოლია გორგაძეს.

დათიკო მდივნიშვილი.

—

ამხ. მიშა ახალაძის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ინვალიდთა შრომითი ნადი „გლარჯა"-დან: ალამოვ ყამსონ; ხარჭისოვი ანდრანიკ, ნარანსონ პეტრო, ანატოლი [illegible], არსენა მარტიროსოვ, პოლოსოვ ვაგან, სარქისიან სარქის, კუმაროვი ალამ, ტერ-ნახაპეტოვ პარულ, მურადოვი ვაგან, ბუღდან აკოპოვ, გალუმოვ გარეგინ.

მიშა თოხიევი.

—

ამხ. მიშა ახალაძის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს, ინვალიდთა შრომითი ნადი „გლარჯა"-დან: ნაზაროვი ლაზარე, მარკარიანც მიკირტიჩ, აკოპოვ გაბრიელ, ხასხასიან ანდრანიკ, ვარშავსკი რაფიელი, ანტონოვი გურგენ, ტონოიანც ვართან, კაზარიან მიკირტიჩ, ბურჯანაძე სპირიდონ, პაპუკაშვილი იორდანე.

ვაგან პოლოსოვ.

—

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად შემოგვაქვს თითო მანეთი და ვიწვევთ შემდეგ ამხანაგებს: ნორა ფერიაშვილს, მარო ოსიპოვას, იულია ტინტიკოვას, კუკუშკა ქაჯაიას, იურა ურუშაძეს, ოთარ ხომერიკს, თენგიზ შარაბიძეს, ოთარ მამარდაშვილს, არჩილ კობაიძეს, ლია ლორთქიფანიძეს, შალიკო მინდიაშვილს, ბაბული ტყეშელაშვილს, ჯემი ციციშვილს, ჟენია არუთინოვას, ჟორა მაგალიანცს, გივი დათეშიძეს, რუსიკო უგრეხელიძეს.

ჟუჟუნა ადამიძე და ცუცუ სუხიშვილი.

—

ამხ. ვანო ჯეჯელავას გამოწვევით შემომაქვს ათი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გრიგოლ ბეშიას, ალექსანდრე ბარბაქაძეს, კოსტა ქეშიშევს, ლეონიდ ბერეჟნოვსკის, გრიგოლ სადრაძეს, სიო გოგიჩაიშვილს, მელიტონ გუმბერიძეს და პოლოს აგაბაბოვს.

ნ. კეჭაღმაძე.

—

ამხ. ვანო ჯეჯელავას გამოწვევით შემომაქვს ათი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ტყეშელაშვილი შალვა (ექიმი) ნოე ჩხაიძე, ფურცელაძე ვალიკო, ქაშაკაშვილი პოლიექტე, ძოძონიძე ჭიჭიკო, ჯაფარიძე ალექსანდრე, ახვლედიანი გიორგი, ჯანელიძე ანდრო, ფურცელაძე კოლია, ფურცელაძე გრიშა, ყურაშვილი ათანასე, მეტრეველი ალექსი, იოხელიანი კირილე, დოლიძე ვანო, სანებლიძე ერისტო, შუბლაძე ვლადიმერი, კორინთელი ნინა, სართანია ილარიონი, ფაჩულია კალისტრატე, ჩხეიძე თამარა, შუბლაძე მარო (ექიმი) შენგელაია პეტრე, ბერულავა მიხა, ცაგურია ბიქტორი, აფაქიძე ბაგრატი, ჯინჯოლია გერმანე, ბერია ბეგი, ჩეჩელაშვილი კოწია, ცხომარია ფილუ, ეგუტია პარმენი, გორდეზიანი კოტე.

ა. გიორგობიანი.

—

ამხ. მარო ბოჭორიძის გამოწვევით შემომაქვს 5 მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: სერგო ხუნდაძეს, ამირან ჯალაბაძეს, ყარამან ბალავას, აქვსენტი გაფრინდაშვილს, ვალოდია კიკნაძეს, დომენტი ყურებიძეს, ანდრო წერეთელს, ალექსანდრე წერეთელს, აბესალომ წერეთელს, საშა ტყემალაძეს, მარიამ მოსეშვილისას, ვალიკო კოს- [illegible] ძეს, პოლიევქტ აბესაძეს, მიხეილ ნიკოლაიშვილს, ლავრენტი გაჩეჩილაძეს, სადიკო ვაშაძეს, კოწია ვაშაძეს, ბორის დევიძეს, კოწია ღვალაძეს, კოწია ჯაფარიძეს; დიმიტრი აბაშიძეს; ვალიკო კაპანაძეს; სერგო ნანიტაშვილს; ვლადიმერ აბაშიძეს, დავით დევიძეს; სევერიან [illegible] მერმანიშვილს, გრიშა ახვლედიანს, ტარასი აბაშიძეს, ივანე ტყემალაძეს, ბიქტორ ყიფიანს, შაქრო ბაქრაძეს, ზინაიდა ქავთარაძეს, ელიაზარ ქვათარაძეს, ვლადიმერ კოჩზირიძეს, თადეოზ ჩაჩანიძეს, კოლია ბუცხრიკიძეს, სერგო ნარუშანიას, მიხეილ მანჯგალაძეს, პაპუნა აბაშიძეს, ნიკოლოზ შარიქაძეს, მიხა ჩუბინიძეს, ვარლამ საყვარელიძეს, იოველ საყვარელიძეს, დათიკო ფერაძეს; ეფრემ თავშავაძეს; ივანე ულენტს, ნინა ულენტს, პავლე ბუხნიკაშვილს, სიმონ დევდარიანს, ირაკლი ძაბირაძეს; გოგუცა მაჭავარიანს, გრიშა მომცემლიძეს, ვარდენ კალანდაძეს, გრიშა მაჭავარიანს, იოკიმე ფოფხაძეს, იაკინთე თხელიძეს, აქვსენტი წულაიას.

დ. მაჭარაშვილი.*)—

---

*) იბეჭდება ხელმეორედ, რადგან პირველ ტექსტში შეცდომა იყო დაშვებული

დღეს შემოვიდა 364 მ. 20 კ.
სულ შემოვიდა 4.711 მან. 54 კ.

ა. / კ. სასოფ.-სამ. ბანკის აქციონერთა კრება

შესდგა ა.-კ. სასოფ.-სამ. ბანკის აქციონერთა საერთო კრება. კრებაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ბანკის 1925-26 და 1926-27 წლის საქმიანობის შესახებ.

აქციონერთა კრებამ ბანკის გამგეობის საქმიანობა მოიწონა და სასოფლო მეურნეობისათვის კრედიტების მიწოდების საქმის სწორედ დაყენების მიზნით წინადადება მისცა მას გააძლიეროს ხელმძღვანელობა რესპუბლიკანურ სასოფ.-სამ. ბანკების და ძირითად საკრედიტო ქსელის საშუალებით.

კრებამ გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმად ბანკის გამგეობას დაევალა ბანკის ძირითად კაპიტალის გადიდება 5.000.000 მანეთამდე.

ბანკის, 1925-26 წლის წმინდა მოგება—184.148 მან. და 58 კაპ. რაოდენობით (116.830 მან. გამოკლებით,—უკანასკნელი თანხა ბანკის გამგეობამ გადარიცხა სამარაგო და განსაკუთრებულ ფონდში), კრებამ მისცა შემდეგი დანიშნულება: იგი უნდა მოხმარდეს ღარიბ მეურნეობათათვის და კოლექტიურ მეურნეობათათვის კრედიტების მიწოდების ფონდს, ძირითად ორგანიზაციებში სპეციალურ თანხების შექმნას და ღარიბ გლეხობას, მათი სასოფ.-სამ. საკრედიტო კოოპერაციაში წევრებათ ჩასაწერად.

დასასრულ მოხდა არჩევნები: ბანკის გამგეობის, საბჭოსი და სარევიზიო კომისიის.

ბანკის გამგეობა არჩეულ იქნა შემდეგი შემადგენლობით—კ. ი. ჩხენკელი (თავმჯდომარე), ა. ბ. კარახანიანი, ა. ი. სვერჩკოვი და ა. შირვანსკი (წევრები).

საბჭოში წევრებად აირჩიეს: დ. ბუნიატ-ზადე, ა. გეგეჭკორი, ა. ერზინკიანი, ე. გენკინი, ვ. ფესთუკი, მ. შეფლერი, მ. მგალობლიშვილი, ბაგიროვი, კ. კაკაბაძე, ნ. კალატოზიშვილი, რ. ხაფრაზბეკიანი და ე. ხანბუდაგოვი; მათ კანდიდატებათ—ძამანაშვილი, დათიევი, დაშტოიანი და ბარმატუნოვი.

სარევიზიო კომისიაში: ხ. ჯულელი, შიუკინი და კარმანოვი.

მეცნიერება და ტეხნიკა

რა არის ფსიქო-ტეხნიკა

რასაკვირველია, შრომის ნაყოფიერების ძირითადი ფაქტორი ტეხნიკაა; მაგრამ ტეხნიკა მხოლოდ საშუალებაა რომლითაც თავისი შრომის პროცესში ადამიანი სარგებლობს მარტო გაუმჯობესებული საწარმოო საშუალებები ისევე უძლურია შექმნას რაიმე ღირებულება, როგორც უშწეოა შრომის პროცესში თვით ადამიანიც, მოკლებული ყოველგვარს შრომის საშუალებას. ტეხნიკა ადამიანის ხელშია შრომის ნაყოფიერების ძირითადი ფაქტორი, ისე როგორც ადამიანიც მხოლოდ ტეხნიკურ საშუალებათა გამოყენების გზით თუ მოახერხებს შრომის წარმატებით წარმოებას.

ბუნებრივი დასკვნა, რომელიც ამ მარტივი მოსაზრებიდან გამომდინარეობს, ეს ისაა, რომ შრომის ნაყოფიერი წარმოებისათვის ორი რამ მაინცაა აუცილებელი: 1) ისეთი ტეხნიკური საშუალებები, რომ მით ადამიანს საუკეთესოდ შეეძლოს სარგებლობა და 2) ისეთი ადამიანი, რომ მას მოცემული ტეხნიკური საშუალებების საუკეთესოდ გამოყენების ძალა შესწევდეს. უბრალოდ რომ ვსთქვათ: შრომის ნაყოფიერების ძირითად პირობად ადამიანისა და ტეხნიკური საშუალებების ურთიერთისადმი **შეგუება** უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ რას ნიშნავს ეს შეგუება ტეხნიკურ საშუალებათა ადამიანისადმი და ადამიანისა ტეხნიკურ საშუალებებისადმი?

როდესაც ტეხნიკურ საშუალებათა შესახებ ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ პირველ რიგში რასაკვირველია, სამუშაო იარაღებსა და მანქანებს. სანიმუშოდ ავიღოთ ერთ-ერთი სამუშაო იარაღი, მაგალითად, ბარი. უეჭველია, რომ არავინ ისეთ ბარს არ გააკეთებს, რომ მას, ვთქვათ, ისეთი სხვილი ტარი ჰქონდეს, რომ ადამიანის ხელი არ შემოსწვდეს, ან ისე მძიმე იყოს, რომ მისი ზიდვა ჩვეულებრივი ადამიანისათვის ძნელი იყოს. ბარი ყოველთვის ისეა აგებული, რომ იგი ანგარიშს უწევს ადამიანს, რომელმაც მით უნდა იმუშაოს; ამდენად საკითხი იარაღის შეგუებისა მომუშავე ადამიანისადმი თითქოს ყოველთვის იყო და არის მხედველობაში მიღებული:

ან და მეორე საკითხი: მომუშავე ადამიანის ტეხნიკურ საშუალებებისადმი შეგუების შესახებ. ყოველი საქმე, ან პროფესია თავის განსაკუთრებულს ტეხნიკურ საშუალებებსა და პირობებს ჰგულისხმობს. და როდესაც მომუშავე ადამიანის ტეხნიკური საშუალებებისადმი შეგუების შესახებ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ არავის არ შესწევს ძალა ყოველგვარ პირობებში და ყოველგვარი ტეხნიკური საშუალებებით ერთნაირი წარმატებით იმუშაოს. ზოგი რომ ერთი საქმისათვის არის ნიჭით აღჭურვილი და ზოგი მეორისათვის, ეს იმთავითვე ცხადი და უდავო ჭეშმარიტებაა. მაშ, ჩვენი საკითხი ბოლოს და ბოლოს ყოველი ადამიანის მიერ შესაფერისი პროფესიის არჩევის საკითხს წარმოადგენს.

უნდა ითქვას, რომ ფაქტიურად არც ეს საკითხი შეიცავს ახალს რასმე. არას დროს არ მომხდარა, რომ ბრმას ისეთი საქმისათვის მოეკიდოს ხელი, რომელიც კარგ მხედველობას ჰგულისხმობს, და ყრუ-მუნჯს ისეთისათვის, სადაც სმენა და მეტყველებაა აუცილებელი.

მაგრამ ამის მიუხედავად მაინც გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ ხანამდე არც ტეხნიკურ საშუალებათა ადამიანისადმი შეგუების საკითხისათვის მიუქცევიათ კაცობრიობას სათანადო ყურადღება და არც ადამიანის მის პროფესიისადმი შეგუების საკითხისათვის. პირველიცა და მეორეც მხოლოდ შემთხვევითისა და შეუგნებელი გზით ხორციელდება, და ამდენად შრომის ნაყოფიერების ძირითადი პირობა კაცობრიობის საგანგებო და შეგნებული ზრუნვის გარეშე რჩებოდა.

იარაღის დამზადების ან გაუმჯობესებისას ძირითადი თვალსაზრისი ყოველთვის ტეხნიკური იყო, მერე ეკონომიური (—თუ რამდენად იაფად ჯდებოდა იგი) და ზოგჯერ შეიძლება ესთეტიურიც (თუ რამდენად მოხდენილი იყო იგი). ხოლო საკითხი, თუ რამდენად ეგუებოდა იგი ადამიანის ძალებს, ეს საკითხი ყოველთვის ჩრდილში იყო მოქცეული.

დავუბრუნდეთ სანიმუშოდ ისევ ბარს. მას ორი მთავარი ნაწილი აქვს: ტარი და პირი. ძალიან ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იქნება აგებული ერთიც და მეორეც. ტარს მეტს თუ ნაკლებ სისხოს, ისე როგორც მის სიგრძესაც, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მომუშავესათვის. მხოლოდ განსაზღვრული სისხოს და სიგრძის უნდა იყოს იგი, რომ მომუშავემ ხანგრძლივად და დაუღალავად შესძლოს მით მუშაობა: დამტკიცებულია, რომ ხელით მომუშავე ადამიანის ენერგიის ხარჯვა ბევრის მხრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოხერხებული ტარი აქვს მის სამუშაო იარაღს.

რაც შეეხება მეორე ნაწილს, პირს,—ამას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს. გამოირკვა, რომ არსებობს ისეთი სიმძიმე, რომლითაც განსაკუთრებით ხანგრძლივათ და დაუღალავად შეუძლია ადამიანის კუნთებს იმუშაოს. თუ სიმძიმე მეტია, ადამიანი მალე დაიღლება და მისი მუშაობის საერთო ჯამი ნაკლები იქნება; თუ სიმძიმე ნაკლებია, იგი ნაკლებ დაიღლება, მაგრამ მისი შრომის ნაყოფიერება მცირე იქნება პირის პირი კი სწორედ ის ნაწილია, რომელიც ტვირთს იღებს. მაშ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმას, თუ რა სიდიდისაა იგი და რა სიმძიმს ტვირთს ტევს, ამერიკელმა ინჟენერმა, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მამათმთავარმა **ფრედერიკ ტეილორმა** ხანგრძლივი მეცნიერული კვლევის შემდეგ გაარკვია, რომ როდესაც ადამიანი 9 ნახ. კილოგრამიანი სიმძიმით მუშაობს, შრომის ნაყოფი ყველაზე უფრო მეტია. და აი, მან ისეთი ფორმის ბარები გააკეთებია, რომ იგი ერთი დაკრით, 9 ნახ. კილოგრამ სიმძიმეს აიღებდა. შედეგი გასაოცარი აღმოჩნდა: შეცვლილი ბარით მომუშავენი 140 მუშა იმდენს აკეთებდა, რამდენსაც წინეთ ძველი სისტემის ბარებით მუშაობის დროს 500—600 კაცი.

ამგვარად, ხდება, რომ იარაღების (და საზოგადოდ ყველა ტეხნიკური საშუალებებისა და მუშაობის პირობების) შეგუებას მომუშავე ადამიანის ფსიქო-ფიზიკური ორგანიზმის თავისებურებებისადმი ძალიან დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ოღონდ უმთავრესი აქ ისაა, რომ წინასწარ მეცნიერული მეთოდებით უნდა იქნეს გამოკვლეული, თუ რაში მდგომარეობს ადამიანის ფსიქო-ფიზიკური თავისებურებანი, და იარაღებისა და სხვა ტეხნიკურ საშუალებათა და პირობათა შეგუება მხოლოდ შემდეგ იქნეს ნაცადი.

მეცნიერების ის დარგი, რომელიც ამ საკითხებითაა დაინტერესებული, პირველად მხოლოდ ამ თხუთმეტი წლის წინეთ ჩაისახა. იგი **ფსიქო-ტეხნიკის** სახელწოდებითაა ცნობილი, და მისი უმთავრესი ამოცანა იმაშია, რომ პრაქტიკულის,—კერძოდ ეკონომიური ცხოვრების საკითხების გადაჭრისას ადამიანის ფსიქო-ფიზიკური ორგანიზმის თავისებურებას განსაკუთრებული ანგარიში გაეწიოს. მისი ძირითადი დებულება ასეთია: ამ ქვეყანად ყველაფერზე უძვირფასესი მომუშავე ადამიანის სიცოცხლე და მისი ფსიქო-ფიზიკური ორგანიზმის კეთილდღეობა. ყველაფერი დანარჩენი აქედან გამომდინარეობს და ამასვე ემსახურება. ნამდვილი შრომის ნაყოფიერება მხოლოდ იქა გვაქვს, სადაც შრომის პროდუქტთა რაოდენობა მომუშავე ორგანიზმის ძალთა ხარჯზე როდი იზრდება, არამედ მათი მიზანშეწონილი გამოყენების ნიადაგზე.—აქედან, გასაგები ხდება, რომ პრაქტიკული ცხოვრების სხვადასხვა დარგების საზოგადოთ და კერძოდ ეკონომიური ცხოვრების საკითხები, სადაც შესაძლოა, უთუოდ ადამიანის ფსიქო-ფიზიკური ორგანიზმის მოთხოვნილების მიხედვით უნდა იქნეს გადაჭრილი.

ფსიქო-ტეხნიკის მრავალ სხვა საკითხთა შორის განსაკუთრებით თვალსაჩინო ალაგი იმ საკითხს უკავია, რომელიც ზემოდ მეორე საკითხის სახით იყო წამოყენებული: საკითხს ყოველი პროფესიისათვის შესაფერისი ძალების მქონე პირების შერჩევის შესახებ.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ აზრი თითეულისათვის მისი ძალების შესაფერისი საქმის მიჩენისა ყოველთვის ჰქონდა შეგნებული კაცობრიობას. მაგრამ ფაქტიურად დღესაც არაა შექმნილი ისეთი მდგომარეობა, რომ თითოეული ჩვენთაგანი მართლა იმ საქმეს აკეთებდეს, რომელიც საუკეთესოდ შეეფერება მის ნიჭსა და უნარს. პირიქით, ძლიერ იშვიათია ისეთი ბედნიერი ადამიანი, რომელიც მართლა თავისი მოწოდების შეფასების სარბიელზე მოღვაწეობდეს, ამის მიზეზი მრავალია და მათ შორის ძირითადი მიზეზი ესაა: კერძო სეკუთრების პრინციპზე დამყარებულ საზოგადოებაში იმთავითვე განმტკიცებულია აზრი, რომლის მიხედვითაც შრომა, საქმე პროფესია სამწუხარო აუცილებლობაა, რომელსაც ადამიანი გულისტკივილით ემორჩილება: იგი არსებობის ნივთიერ საშუალებათა მოპოვების წყაროა.

ამ თვალსაზრისის მიხედვით გასაგებია, რომ ახალ ხანაში, როდესაც პროფესიამ აუცილებელი მემკვიდრეობითი ხასიათი დაჰკარგა და არჩევის შესაძლებლობა განხორციელდა, მისი არჩევის დროს პირველ რიგში იმით ხელმძღვანელობენ, თუ რამდენად უზრუნველყოფილია იგი ნივთიერად: ყველა იმ პროფესიას ეტანება, რომელიც მეტ შემოსავალს იძლევა.

ცხადია, ასეთ პირობებში მართლა იშვიათი იქნება შემთხვევა, რომ ვინმე თავისი ძალების შესაფერისი პროფესიის დარგში მუშაობდეს.

როგორია ყველაფრის ამის შედეგი? როდესაც ადამიანი თავისი ნიჭისათვის შეუფერებელ საქმეს ჰკიდებს ხელს, მას, ცხადია, რაიმე წარმატების მისაღწევად თავისი სუსტი ძალების ზედმეტი დაძალვა უხდება. ამის მიუხედავად, წარმატება დახარჯულ ენერგიას ოდნავაც ვერ ამართლებს. გასაგებია, რომ შრომა მისთვის მართლა უბედურებას წყაროდ იქცევა, მართლა წყევლად, რომელიც მუდამ სტანჯავს და აწამებს მას. ბუნებრივია, რომ მას შრომაც ეზიზღება და თავისი პროფესიაც. ასეთია სუბიექტიური შედეგი: უკმაყოფილება, უხალისობა, შრომის სიძულვილი. ასეთი სულიერი განწყობილება ატმოსფერას სწამლავს და საღ შრომით სულიერ განწყობილებას საზოგადოებაში შეუძლებელ ჰყოფს.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ობიექტიური შედეგიც! საკმარისია, ერთი წუთით მაინც წარმოვიდგინოთ, თუ რამდენი ენერგია იხარჯება უნაყოფოდ საკუთარი ძალებისათვის შეუფერებელი საქმის მოსაგვარებლად, რომ მივხვდეთ, თუ რა სიმდიდრეს კარგავს ამ გზით კაცობრიობა. რა იქნებოდა, რომ მთელი ეს ენერგია თავისი დანიშნულების მიხედვით მიმართულიყო! რა მთებს აამოძრავებდა მაშინ იგი და სად იქნებოდა ეხლა ჩვენი კულტურული წინსვლის დონე!

მისთვის, რომ ეს მდგომარეობა მიღწეულ იქნეს: მისთვის, რომ ყველა აკეთებდეს, რისი შესაფერისი ძალებიც ბუნებას მიუცია, საჭიროა ორი რამ მაინც:

ერთი: უნდა შეიცვალოს შეხედულება პროფესიაზე. ყოველი პროფესია მიჩნეული უნდა იქნეს კულტურულ ცხოვრების თანაბარი ღირებულების ელემენტად. „მაღალი" და „დაბალი" მაშინ პროფესიის დასახასიათებლად კი არა, მის ნიადაგზე მუშაობის ხარისხის აღსანიშნავად თუ იქნება გამოსადეგი. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, რომ თითოეულმა სუბიექტმა მარტო თავისი ძალების მიხედვით მოახდინოს პროფესიის არჩევა.

მეორე, რაც აუცილებელია, ეს ისაა, რომ კაცობრიობას მართლა ჰქონდეს შესაძლებლობა, სისწორით გაარკვიოს, თუ რა ძალები აქვს თითოეულ ადამიანს და მაშასადამე რა პროფესიაა მისთვის განსაკუთრებით შესაფერისი. საჭიროა მაშ განვითარებს მაღალ დონეზე იდგეს მეცნიერების ის დარგი, რომელიც ამ თვალსაზრისით ადამიანის ფსიქოფიზიკურ თავისებურებას სწავლობს, სახელდობრ, ფსიქოტეხნიკა.

დღევანდელ პირობებში პროფესიისადმი ადამიანის სრული შეგუების საქმე ძნელი განხორციელებელია. ჯერ ერთი მიტომ, რომ პროფესია ყველა ერთი ღირებულებისად არ ითვლება, და არის მთელი რიგი პროფესია, რომელთა ნიადაგზე მუშაობაც ზოგი თავის დამცირებად ჩაითვლიდა.

მეორეს მხრივ, არც მეცნიერებაა ისეთ მდგომარეობაში, რომ სრული სისწორით შეეძლოს საკითხის გადაჭრა, თუ რომელი პროფესიის შესაფერისი ძალებითაა დაჯილდოებული ესა თუ ის ადამიანი. განსაკუთრებით საგულისხმო ისაა, რომ ჯერ კიდევ არაა შესწავლილი თვით პროფესიები; სახელდობრ, შეუსწავლებელია საკითხი, თუ რა მოთხოვნილებას უყენებს თითოეული ძალი ადამიანის ძალებს. ხოლო სანამ ეს გარკვეული არაა, როგორ შეიძლება დაისვას საკითხიც კი ამა თუ იმ პროფესიისათვის ვარგისობის შესახებ!

ამის მიუხედავად, თანამედროვე ფსიქოტეხნიკა ყველაზე უფრო გაცხოველებულს პრაქტიკულსა და თეორიულ მუშაობას სწორედ პროფესიის არჩევის საკითხების ირგვლივ აწარმოებს.

მომავლისათვის ალბად საქმის მდგომარეობა ასე უნდა წარმოვიდგინოთ. თითოეული სუბიექტი უკვე სკოლაში ყოფნის დროსვე ყოველ მხრივ იქნება შესწავლილი. კერძოდ: გამორკვეული იქნება, თუ რა პროფესიისათვის უფრო გამოსადეგია იგი. მიღებული იქნება ზომები, რომ ზოგადად მაინც გაეცნოს იგი ამ პროფესიას და შეიყვაროს კიდეც იგი.—

დღეს ასეთი მდგომარეობა შორეული მომავლის საქმედ უნდა ჩაითვალოს, ხოლო ის, რაც დღესაც განსახორციელებელია და ბევრგან ხორციელდება კიდეც, ესაა—ყველა კერძო შემთხვევაში, ამა თუ იმ პროფესიის დარგზე მუშაობის მსურველთა შემოწმების წარმოება და ამ გზით მათ შორის შესაფერისთა არჩევა. ამას **პროფესიონალურ შერჩევას** უწოდებენ, და ამერიკასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ფართო მასშტაბით აწარმოებენ.

თავისთავად იგულისხმება, რომ საბჭოთა კავშირში ფსიქოტეხნიკას განსაკუთრებით ფართო გასაქანი უნდა მისცემოდა. თუ დასავლეთი ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში მომუშავეთა პროფესიონალური შერჩევა კერძო კაპიტალის ინტერესების მიხედვით სწარმოებს, სახელდობრ,—იმის მიხედვით, თუ რამდენად უფრო მოსაგები საქმეა შესაფერისი მუშა-ხელით ისარგებლო, ვიდრე ნაკლებ შესაფერისით, პროლეტარულ სახელმწიფოებში თავი და თავი მომუშავეა; შრომის ორგანიზაცია ამის მიხედვით ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ეს უდიდესი ღირებულება და სიმდიდრე,—მომუშავე ადამიანის სიცოცხლე და შრომის ენერგია—ყოველ მხრივ დაცული და განვითარებული იქნეს. გასაგებია, რომ ამ პირობებში თითოეული ადამიანის მუშაობას მისი ძალების შესაფერის დარგზე სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიეწეროს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირში ფსიქოტექნიკური მოძრაობა სულ მცირე ხნის განმავლობაში საკმაოდ ფართო მოძრაობად გარდაიქცა. განსაკუთრებით საგულისხმო ისაა, რომ სახელმწიფოს ხარჯზე ფსიქოტექნიკური კვლევისა და პრაქტიკის მიზნებისათვის ცალკე დაწესებულებათა მთელი რიგი დაწესდა, რომელნიც გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ[1].

იმისათვის რომ დაახლოებითი წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ როგორ წარმოებს პროფესიონალური შერჩევა, სანიმუშოდ შეიძლება ერთი რომელიმე პროფესია ავიღოთ, ვსთქვათ, ტრამვაიზე მომუშავის, ვატმანის პროფესიის.

ცნობილია, რომ ზოგი ვატმანი დიდის წარმატებით მუშაობს, ზოგი კიდევ ხშირად რაიმე უბედურების მიზეზად იქცევა. ზოგისთვის იმდენად აუტანელი ხდება ეს საქმე, რომ იგი თვითონ ანებებს მას თავს. ბუნებრივად ისმის საკითხი: რად ხდება ეს? რადაა, რომ ზოგისთვის ტრამვაის წინა ბაქანზე ადვილია მუშაობა, ხოლო ზოგისთვის აუტანელი? პასუხი ცხადია. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ვატმანის საქმე ისეთია, რომ იგი სრულიად განსაკუთრებულ თვისებებს მოითხოვს ადამიანისაგან. ვისაც აქვს ეს თვისებები, მისთვის ძნელი არ იქნება ტრამვაის ვაგონის წინა ბაქანზე მუშაობა; ვისაც არ აქვს, მან უეჭველად სხვა საქმე უნდა ეძიოს.

მაშ ჯერ უნდა შესწავლილ იქნეს, თუ რა თვისებებს მოითხოვს ადამიანისაგან ვატმანის პროფესია. **ბერლინის** ტრამვაის დირექციას საუკეთესო ფსიქო-ტეხნიკური ლაბორატორია აქვს მოწყობილი, და მისი ხელმძღვანელის, **ტრამის** აზრით, ვატმანის პროფესია შემდეგ თვისებებს ჰგულისხმობს: კარგი მხედველობა და საკმარისი სმენა, კარგი ყურადღების უნარი ერთდროულად რამოდენიმე შთაბეჭდილებისადმი, სწრაფი გადაწყვეტისა და სწრაფი მოძრაობის უნარი, რომელსაც ხელი არ უნდა შეუშალოს რაიმე საშიშროებამ. კარგი თვალზომა მანძილის სისწორით შესაფასებლად, კარგი მეხსიერება, მოძრაობის სისწრაფის გრძნობელობა, სახსრის გრძნობელობა და დასასრულ განსაზღვრული ტეხნიკური ნიჭიც, რათა საჭირო შემთხვევაში გამონახულ იქნეს გამოსავალი. საჭიროდ არის აგრეთვე მიჩნეული ფიზიკური გამძლეობა და ამტანობა. მას შემდეგ, რაც გამორკვეულია ვატმანობისათვის საჭირო თვისებები, შესაძლებელი ხდება თითოეული მსურველი ამ პროფესიის დარგში მუშაობისა შემოწმებულ იქნეს ყველა აღნიშნული თვისებების მხრივ. ზოგი ამ თვისებათაგანი საგანგებო აპარატების დახმარებით შეიძლება შემოწმებულ იქნეს, ზოგი კიდევ უაპარატოდ, მაგრამ საგანგებოდ დამუშავებული მეთოდის (ე. წ. ტესტების) საშუალებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან სიძნელეს წარმოადგენს მიღებული მასალის დამუშავება, კერძოდ, თუ რა ზომაზე უნდა ჰქონდეს აღნიშნული თვისებები ამა თუ იმ პირს, რომ იგი გამოსადეგად იქნეს ვატმანობისათვის ცნობილი.

რა შედეგი აქვს ამგვარს ფსიქო-ტეხნიკურს პროფესიონალურ შერჩევას.

ამ საკითხის გამოსარკვევად **ტრამმა** ზედმიწევნით გამოიანგარიშა, ელექტრული ენერგიის რა რაოდენობა იხარჯებოდა **ბერლინის** ტრამვაიზე ვატმანების ფსიქო-ტეხნიკური შერჩევის შემოღებამდე და შემოღების შემდეგ. აღმოჩნდა, რომ სათანადოდ წარმოებული ფსიქო-ტეხნიკური შერჩევის შედეგად ელექტრული ენერგიის ხარჯვა 23 პროც. რაოდენობით მცირდება.

მეტი მნიშვნელობა აქვს საკითხს: აქვს თუ არა რაიმე გავლენა ფსიქო-ტეხნიკურად შერჩეული ვატმანების მუშაობას უბედურ შემთხვევათა რიცხვის შემცირებაზე. იმავე ტრამის მიხედვით აღმოჩნდა, რომ ფსიქო-ტეხნიკური შერჩევის შემოღების პირველსავე წელს უბედურ შემთხვევათა რიცხვმა 165 პროც. იკლო.

ამის შემდეგ გასაგებია, რომ ფსიქო-ტეხნიკური შემოწმებისათვის საჭირო ხარჯებს დღეს არავინ გაურბის: ყველა ხედავს, რომ ეს ისეთი ხარჯებია, რომლის ანაზღაურებაც ერთი ორად და ერთი სამად ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს.

პროფ. დ. უზნაძე.

---

[1] თუ რამდენად გაიზარდა ეს მოძრაობა, ეს იქედან ჩანს, რომ უკვე წელს, მაისის ბოლო რიცხვებში საკავშირო ფსიქოტექნიკური კონფერენცია იქნება მოსკოვში მოწვეული.

აეროსტატით 12.300 მეტრის სიმაღლეზე

1901 წ. 30 ივლისს გერმანელებმა **სიურინგმა** და **ბერსონმა** დაამყარეს აეროსტატით უდიდესი სიმაღლის—10.800 მეტრის—მიღწევის რეკორდი. დღემდი ამ მანძილზე მაღლა (აეროსტატით) არავინ არ აფრენილა.

მხოლოდ ამ რამოდენიმე ხნის წინათ (მიმდინარე წლის 4 მაისს) ამერიკელმა მფრინავმა კაპიტანმა **გრეიმ** დაამყარა სიმაღლის ახალი რეკორდი: სფერიული აეროსტატით ის აფრინდა 12.300 მეტრის (თორმეტი და ერთი მეოთხედი ვერსი) სიმაღლეზე. დაშვების დროს, რადგან აეროსტატი თავბრუდამხვევი სისწრაფით ვარდებოდა დაბლა, გრეი გადმოხტა აეროსტატის კალათიდან და პარაშუტის საშუალებით უვნებლათ დაეშვა დედამიწაზე.

12.300 მეტრი არის საერთოდ სიმაღლის რეკორდი, რადგან აეროპლანითაც ჯერ არავინ აფრენილა ამ სიმაღლეზე (აეროპლანით მიღწეული სიმაღლე უდრის 12.080 მეტრს).

უდიდესი ასაწევი ხიდი

ნიუ-იორკში (შეერთებული შტატები) ამ რამოდენიმე ხნის წინათ დაასრულეს აგება ასაწევი ხიდის, რომელიც ყველაზე უდიდესია მსგავს ნაშენობათა შორის მთელ მსოფლიოში. ხიდი შესდგება ორი ნაწილისაგან. თითეული ნაწილის სიგრძე უდრის 46 მეტრს, წონა—2.000 ტონას (124.000 ფუთი).

ახალი ხიდი წარმოადგენს ორ-სართულიანი ასაწევი ხიდის აგების ცდას. ხიდის ორივე ასაწევი ნაწილი ორ სართულიანია.



ზემო-აღნიშნულში გაყვანილია მეტროპოლიტენის ხაზი, ქვემო—სართულში—საავტომობილო გზა და ორი ფილაქანი მგზავრებისათვის.

ხიდის ორივე ნაწილის აწევას მაქსიმალურ სიმაღლემდე ესაჭიროება სულ სამი მეოთხედი წუთი. მამოძრავებლებია—4 (თითო) ოთხმოცძალიანი ელექტრონის მოტორი (თითო ხიდის თითეული ნაწილისათვის).

დენი მოტორებიდან მიდის მხოლოდ მაშინ, როცა მოსამსახურე მისცემს ნიშანს, რომელიც აფრთხილებს მემანქანეებს, შოფერებს და მგზავრებს ხიდის აწევის შესახებ და შესწყვეტს მოძრაობას ხიდზე. ეს სისტემა შეუძლებელად ხდის რაიმე უბედურ შემთხვევას ხიდის აწევის დროს.

ენერგიის გადაცემა რადიოთი

ამ რამოდენიმე ხნის წინათ ელექტრონულ მოვლენების შემსწავლელ ნიუ-იორკის საზოგადოების კრებაზე „ვესტინჰაუზის" ელექტრონული საზოგადოების ექსპერიმენტალური ლაბორატორიის თანამშრომელმა ინჟინერმა **ტომასმა** აჩვენა დამსწრეთ მის მიერ გამოგონებული აპარატი ენერგიის გადასაცემად მანძილზე. გამომგონებელს ხელში ეჭირა ჩვეულებრივი ელექტრონის ლამპა, რომელზედაც მიმაგრებული იყო ერთი მეტრის სიგრძე „ანტენა". ენერგიის გადამცემი აპარატი დადგმული იყო მეორე ოთახში. გამომგონებელის ნიშანზე, აპარატი აამუშავეს და ელექტრონული ლამპა იმ წამსვე აენთო.

ტომასის მიერ გამოგონებულ აპარატს საფუძვლად უდევს მოკლე ტალღების გადამცემი ჩვეულებრივი რადიო დადგმულობა.

ამრიგად, ოცნება ენერგიის გადაცემის შესახებ შორ მანძილზე (უმავთულოდ) განხორციელებულია, ყოველ შემთხვევაში (ჯერ-ჯერობით) ლაბორატორიული ცდის სახით.

ვაგონების რეცხვა მექანიკურად

რკინის გზის ჩვეულებრივი, ხელით რეცხვის წესი არ არის დამაკმაყოფილებელი, რადგან ამ მიზნით ჩოთქებითა და ჭინჭებით შეიარაღებული მუშებისათვის მიუწვდომელია ყველა ჭუჭრუტანები და ჩაღრმავებული ადგილები, სადაც თავს იყრის დიდძალი მტვერი, განსაკუთრებით შორეული მიმოსვლის ვაგონებზე.

საფრანგეთში ვაგონების გაბინძურებას ამჟამად წარმატებით ებრძვიან სპეციალური სამრეცხაო აპარატის საშუალებით, რომელიც დადგმულია ყველა დიდ სარკინიგზო სადგურებზე. აქ მიდის კლიშე.

ეს აპარატები წარმოადგენენ ლითონის მკვიდრ შენობებს, რომლებსაც აგებენ სადგურების ახლო სათადარიგო გზებზე. შენობის კედელი შესდგება რვა ნახევრად ცილინდრისებურ ფარისგან, რომელთა შიგნით დადგმულია სამრეცხაო მოწყობილობა, რომელიც წარმოადგენს ვერტიკალურ მბრუნავ ღერძს. ამ ღერძებზე მიმაგრებულია გრძელი ჭინჭის ნაჭრები.

სამრეცხაო აპარატი რამდენიმეთ უფრო გრძელია, ვიდრე ვაგონი. დიდ სადგურებში, ვაგონების გაწმენდის დაჩქარების მიზნით, აპარატის სიგრძეს ადიდებენ 3—4 ზოგჯერ მთელი მატარებლის სიგრძემდე.

როგორც კი ვაგონი შევა აპარატში, ამუშავდება მოტორი, რომელიც აბრუნებს ჭინჭებიან ღერძებს. ტილოს ნაჭრები იღებენ ჰორიზონტალურ მდგომარეობას და ონკანებიდან გამოშვებულ თბილი საპნიანი წყალის საშუალებით რეცხენ მთელ მტვერსა და ტალახს.



ვაგონების გაწმენდა ამ წესით ხდება უფრო სწრაფად, ვიდრე ხელით და იაფი ჯდება.

სურათზე ნაჩვენებია ვაგონების სარეცხი აპარატი.

თავდაცვა საჰაერო თავდასხმისაგან

ამერიკულ არმიაში შემოიღეს ახალი ტიპის მსუბუქი იარაღი აეროპლანების თავდასხმის მოსაგერიებლად ახალი იარაღის კალიბრი არის—37 მილიმეტრი, ისვრის ვერტიკალური მიმართულებით 7 კილომეტრის მანძილზე. ასეთი ზარბაზნის ყუმბარა სკდება აეროპლანის ხის ნაწილზე მოხვედრის დროსაც, იშლება წვრილ ნატეხებად და ყველაფერს ანადგურებს გარშემო.

დამზადებულია აგრეთვე სპეციალური ტყვიისმფრქვეველი, რომელიც ოთხი ჩვეულებრივი ტყვიისმფრქვეველის შეერთებას წარმოადგენს. სროლა ოთხივე ტყვიისმფრქვეველიდან ხდება სპეციალური მოწყობილობის ამუშავებით. ოთხმაგი ტყვიისმფრქვეველი წუთში ისვრის 2000 ტყვიას. ახალი ტყვიისმფრქვეველები 3-ჯერ მეტ მანძილზე ისვრის ტყვიას, ვიდრე ჩვეულებრივი.



ტელესკოპი, რომლითაც ბერლინის ობსერვატორიიდან თვალყურს ადევნებდენ 29 ივნისის მზის დაბნელებას.

ნარკვევი

ნიკოლოზ მეორის უკანასკნელი დღეები

გუშინ შესრულდა 9 წელიწადი, რაც სიკვდილით დასაჯეს ყოფილი მეფე ნიკოლოზ რომანოვი და მისი ოჯახი.

ამას წინად ერთ კრებულში დაიბეჭდა ეკატერინებურგის საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარის ამხ. პ. ბიკოვის მოგონება, რომელიც შეიცავს როგორც რომანოვების ცხოვრების აღწერას ტობოლსკსა და ეკატერინებურგში, ისე მათი დასჯის ამბავს.

1918 წელს მაისში სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ნებართვით მეფე თავისი ოჯახით ქალაქ ტობოლსკიდან გადაყვანილ იქნა ეკატერინებურგში (ურალზე).

აქ რომანოვები მოათავსეს განცალკევებულ სახლში, რომელსაც იცავდა საგანგებო რაზმი. პატიმართა შინაურ ცხოვრებაში არავინ არ ერეოდა, მაგრამ ამავე დროს ისინი სრულიად მოწყვეტილნი იყვნენ გარეშე ქვეყანას.

ნიკოლოზ რომანოვის ეკატერინებურგში გადაყვანის პირველ დღეებშივე, ეკატერინენბურგში იწყეს თავის მოყრა სხვადასხვა ჯურის მონარქისტებმა, სამღვდელოებამ და უცხოეთის სახელმწიფოთა სხვადასხვა საეჭვო „წარმომადგენლებმა“. მრავალი მათგანი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, როგორმე ენახა მეფე, მაგრამ ამაოდ.

მთელი ეს ხროვა მუშებში იწვევდა ულრმეს აღშფოთებას, რადგან ყველასათვის ცხადი იყო, რომ მზადდებოდა კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულება.

ზაფხულის დამდეგს ორენბურგის ყაზახობაში იფეთქა კონტრ-რევოლიუციონურმა აჯანყებამ; საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყდენ აგრეთვე ჩეხო-სლოვაკელი ჯარები, ბრძოლის ფრონტი თანდათან ახლოვდებოდა. ორი მხრიდან: — ქ. სიბირსკიდან და დასავლეთ ურალის რკინის გზიდან წითელ ეკატერინენბურგს უახლოვდებოდა მტრის შეიარაღებული ძალები. ადგილობრივმა შავრაზმელმა ოფიცრობამ სცადა კავშირის გაბმა მეფის ოჯახთან. ამ ხანებში აღმოჩენილ იქნა ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა რომანოვების განთავისუფლებას.

ასეთ პირობებში ურალის მუშათა დეპუტატების საოლქო საბჭომ ივლისის პირველ რიცხვებში გამოიტანა დადგენილება მეფის ოჯახის დახვრეტის შესახებ.

განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი 16-17 ივლისს ღამით.

ეს ასე მოხდა.

რომანოვის ოჯახს გამოუცხადეს, რომ ზედა სართულის იმ ოთახიდან, სადაც ისინი იყვნენ მოთავსებულნი, საჭიროა ჩასვლა ქვედა სართულში. რომანოვების მთელი ოჯახი: — ყოფილი მეფე ნიკოლოზი, მისი ცოლი ალექსანდრა, შვილი ალექსი, ყველა ქალიშვილები, ექიმი ბოტკინი, მემკვიდრის გამზრდელი, და ყოფილი პრინცესა - ფრეილინა, დაახლოებით, საღამოს ათი საათისათვის ჩავიდენ ქვედა სართულში.

აქ, ქვედა სართულის ერთ-ერთ ოთახში სახლის კომენდანტმა (იმავე ურალ-საბჭოს რწმუნებულმა) წაუკითხა მათ სასიკვდილო განაჩენი.

ამის შემდეგ ისინი დახვრეტილ იქნენ.

ნაშუადღევის პირველ საათზე დასჯილთა გვამები გაიტანეს ქალაქს გარეთ,—ტყეში ისეცკის ქარხნის და სოფელ პალკინის რაიონში და მეორე დღეს დასწვეს.

ივლისის იმავე რიცხვებში პერმში დახვრეტილ იქნა ნიკოლოზ რომანოვის ძმა — მიხეილ ალექსანდრეს ძე, ხოლო ალაპაევსკში ოთხი დიდი მთავარი; სერგეი მიხეილის ძე, იგორი, კონსტანტინე და ივანე კონსტანტინეს ძენი.

სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმის სხდომაზე 18 ივლისს თავმჯდომარე **ი. მ. სვერდლოვმა** ცაკს აცნობა ყოფილი მეფის დახვრეტა. ცაკმა განიხილა რა ყველა ის პირობები, რომელმაც ურალის საოლქო საბჭო აიძულა გამოეტანა დადგენილება რომანოვის დახვრეტის შესახებ, ურალის საბჭოს დადგენილება სცნო სწორად.

იმ დროინდელი საბჭოთა ოფიციალური ცნობები იტყობინებოდენ მხოლოდ ყოფილი მეფის დახვრეტას. ამ გარემოებამ მონარქიის მომხრეებს საშუალება მისცა გაევრცელებიათ ხმა მეფის ოჯახის ზოგიერთ წევრების გაქცევის შესახებ.

არც ერთი მათგანი ცოცხალი არ დარჩენილა. მუშათა და გლეხთა რევოლიუციამ მეფის თვით მპყრობელობის საფლავზე დაადო საბოლოოდ უძრავი ლოდი.

ვ—ი.

შრომის ბირჟაში

მუშა-ხელის მოთხოვნილება

დღეს 17 ივლისს, შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

გონებრივ მუშაკთა მეორე სექცია: ანეტა იორამაშვილს, ლევან ყანჩელს, ეკატერინე მიქაბერიძეს, ელისაბედ გელაშვილს, ეკატერინე ჭავჭავაძეს, ალექსანდრა პავლოვას, სოფიო გვასალიას, ოლღა მარგიშვილს, როზალია დანდუროვას, ნატალია ადამოვას, ალექსანდრე კაკალაძეს, ეკატერინა ნუბენკოს, თამარ ნანიევას და თამარ მირიანაშვილს.

მეხუთე სექცია: ალექსი ხაჩხატაშვილს, აპეტ კაზარიანს, აირაპეტ ვართანოვს.

მეშვიდე სექცია: გ. ოქრუაშვილს, სევერიან შენგელიას, შალვა ჯიშკარიანს, ნინო ვარიმაშვილს, გეორგ მერაბიშვილს, არტემ ზაბიანცს, მიკირტიჩ ტერ-კაზარიანს, კონსტანტინე სიროტკინს, ანნა ხალანოვიჩს, ლიდა ნიკიტინას, დავით პაპიაშვილს, ივანე პინიასკინს, ვარეგუზ ქობულიანცს, ნიკოლოზ სტრუჩალინს, მუხტარ ბაზროზოვს და მ. ბოგესლავსკის.

პირველში, მესამეში და დანარჩენ სექციებში გამოძახება არ არის.

მელიორაცია

ჰიდრო-სადგური დიმროკითის არხზე

მუშაობა დიმროკითის არხის გასაყვანად წარმატებით მიმდინარეობს. მიწის სამუშაობათა დიდი ნაწილი დამთავრებულია.

მიმდინარე წლის ივნისის დამდეგიდან დიმროკითის არხზე დაიწყო ჰიდრო-სადგურის აგება. ამჟამად მუშაობა გრძელდება. ჰიდრო-სადგურის დამთავრება განზრახულია მიმდინარე სამეურნეო წლის დამლევისათვის.

მუშაობის მიმდინარეობა ალაზნის არხზე

ივნისის დამლევს ალაზნის სარწყავ არხის გასაყვან სამუშაოებზე დაიწყო მუშაობა ხელოვნურ ნაგებობათა ასაშენებლად. ჯერ-ჯერობით მუშაობა დაწყებულია 5 პუნქტზე.

პარალელურად მიმდინარეობს მიწის სამუშაოები. ჯერ-ჯერობით არხის გასაყვან მიწის სამუშაოებზე მუშაობს 500-მდე მუშა. განზრახულია მუშათა რიცხვის გადიდება, როგორც კი ახლო-მახლო სოფლებში დამთავრდება მიმდინარე საზაფხულო სამუშაოები.

ოფიციალური განყოფილება

სავალდებულო დადგენილება

ს. ს. ს. რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა

1927 წ. ივლისის 14

№ 1.

საფოსტო მტრედების დაცვის მიზნით, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. აკრძალულ იქნას მთელი წლის განმავლობაში ნადირობა ყველა ჯიშის გარეულ და შინაურ მტრედებზე გარდა ქედნისა და დიდი ქედნისა.

2. ამა სავალდებულო დადგენილების დამრღვევი პასუხისგებაში მიეცემა სისხლის სამართლის კოდექსის 102^4 მუხლის ძალით.

3. ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარება ევალება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო განყოფილებას და მონადირეთა კავშირს.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარის მოადგილე მ. ძამანაშვილი.

სატყეო განყოფილების გამგეს მაგ. ერისთავი.

მონადირეობის ინსპექტორი ჩხიკვიშვილი.

დადგენილება № 37 *)

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წლ. მაისის 25.

საზოგადოების მწყემსებისა და მენახირეების დაქირავების წესისა და შრომის პირობების შესახებ

სამუშაო დრო და დასვენება

18. მწყემსებისა და მენახირეების სამუშაო დრო საქონლის საძოვრებზე გარეკისა და საძოვრებიდან მორეკის პირობებთან დაკავშირებით განისაზღვრება.

19. დამქირავებლები ვალდებულნი არიან მწყემსებს და მენახირეებს კვირაში ერთხელ მისცენ გასასვლელი დღე, რომელნიც მხარეთა შეთანხმებით წესდება.

20. გარდა კვირაში ერთი დღის დასვენებისა, დამქირავებლები ვალდებულნი არიან მწყემსები და მენახირეები გაანთავისუფლონ მუშაობისაგან კანონით დაწესებულ შემდეგ დღეებში:

1) 1-ლი იანვარი—ახალი წელი..
2) 22 იანვარი—1905 წ. 9 იანვრის და ვ. ი. ლენინის ხსოვნის დღე.
3) 12 მარტი—თვითმპყრობელობის დამხობის დღე.
4) 18 მარტი. პარიზის კომუნის დღე.
5) 1-ლი მაისი—ინტერნაციონალის დღე.
6) 20 სექტემბერი—26 ბაქოელ კომუნარების ხსოვნის დღე.
7) 7 ნოემბერი—ოქტომბრის რევოლიუციის დღე.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების წლის თავი

ა) 28 აპრილი—აზერბეიჯანის ტერიტორიაზე.
ბ) 25 თებერვალი—საქართველოს.
გ) 29 ნოემბერი—სომხეთის ტერიტორიაზე.

შენიშვნა: გასაბჭოების წლის თავის დღესასწაულობა სავალდებულოა მხოლოდ სათანადო რესპუბლიკის ტერიტორიაზე და აგრეთვე 6 დასვენების განსაკუთრებულ დღეს, (ადგილობრივი სახ. უქმე დღეები), რომლებიც სათანადო რესპუბლ. შრომის სახ. კომისარიატის მიერ წესდება.

21. იმ შემთხვევაში, როდესაც ყოველკვირეული დასვენების, უქმე დღეების და განსაკუთრებული დასასვენებელ დღეების მიცემა მწყემსებისათვის და მენახირეებისათვის შეუძლებელი ხდება, დამქირავებლები ვალდებულნი არიან მისცემენ მწყემსებსა და მენახირეებს ამ დღეებში მუშაობისათვის დამატებითი ხელფასი რომლის რაოდენობაც მხარეთა შეთანხმებით წესდება და რომელიც შრომის ხელშეკრულების დადების დროს და ურთი-ერთ შორის თანხმობით შეიძლება შეტანილი იქნეს ხელფასის საერთო ჯამში, რომელიც დაქირავების დროს წესდება.

22. მწემსებს და მენახირეებს უქმე დღეებისათვის სამუშაო ქირიდან არაფერი გამოექვითებათ, ხარჯი მათ ამ დღეებში ჩვეულებრივად ეძლევათ, როგორც სამუშაო დღეებში.

23. ყველა უქმე და დასვენების დღეებში, აგრეთვე სამუშაო დღეებშიაც, როცა მწყემსი, ან მენახირე თავისუფალია სამუშაოდან, მას უფლება აქვს წავიდეს (მუშაობიდან თავისუფალ დროს) კარ-მიდამოდან და თავის სურვილებისამებრ გამოიყენოს თავისუფალი დრო.

შრომის გასამრჯელო

24. მწყემსებისა და მენახირეების შრომის ხელფასი თვითეულ ცალკე შემთხვევაში შრომის ხელშეკრულებით წესდება და იგი არ შეიძლება იყოს სახელმწიფო მინიმუმზე ნაკლები, რომელიც სათანადო რესპუბლიკის შრომის სახკომისარიატის მიერ არის დაწესებული.

შენიშვნა: სამუშაო ხელფასის განსაზღვრის დროს ანგარიშში მიიღება ყველა სახის გასამრჯელო: ფულადი, შერეული შრომის ხელფასის ნატურალური ნაწილი და ხარჯი.

25. მწყემსების და მენახირეებისათვის შრომის (თვიურად, დღიურად, ნარდი, ფულადი და ნატურით) სახე, წესი და გაცემის ვადა მხარეთა შეთანხმებით წესდება. დაიშვება შრომის ხელფასის გაცემა ნატურით (ხორბალი, საქონელი და სხვა) მთლად, ან ნაწილობრივად. შეთანხმებაში აღინიშნება რანაირი საგნები რომელი ხარისხის და რა რაოდენობით უნდა იქნეს მიცემული.

საბოლოო ანგარიშის გასწორების დროს მწყემსებსა და მენახირეების შრომის ხელფასი არ შეიძლება მიეცეს შრომის ხელშეკრულებაში აღნიშნულ ვადაზე გვიან.

26. სამუშაო ხელფასის გაცემა იმ მწყემსებსა და მენახირეებზე, რომელნიც სოფლის საზოგადოებებთან, მათ ნაწილთან და საქონლის მეპატრონეთა ჯგუფებთან მუშაობენ დაქირავებით სწარმოებს რწმუნებულთა მიერ, რომელნიც ვალდებულნი არიან მწყემსებსა და მენახირეებისათვის, კუთვნილი შრომის ხელფასი თავის დროზე შეაგროვონ საქონლის მეპატრონეებიდან.

27. მწყემსებისა და მენახირეების სამუშაო ხელფასის ყოველივე ანგარიშის გასწორება უნდა იქნეს შეტანილი შრომის ხელშეკრულებაში.

28. დამქირავებლები (სოფლის საზოგადოებები, მათი ნაწილები და მეპატრონეთა ჯგუფები) ვალდებულნი არიან უსასყიდლოთ მისცენ მწყემსებსა და მენახირეებს საჭირო სამუშაო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, მასთან მათი რაოდენობა და ღირსება მხარეთა შეთანხმებით შრომის ხელშეკრულებაში აღინიშნება, შრომის სახალხო კომისარიატის ნორმების მიხედვით.

შენიშვნა: სამუშაო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი შრომის ხელფასის ანგარიშში არ შედის და საძოვრების დამთავრების შემდეგ ისინი რჩებათ მწყემსებსა და მენახირეებს, იმ შემთხვევაში თუ ტარების ვადამ განვლო.

29. მწყემსებსა და მენახირეებს, რომელთაც არა აქვთ საცხოვრებელი ბინა და ისეთებსაც, რომელნიც შორიდან არიან მოსულნი, დამქირავებელი (საზოგადოება და სხვა) ვალდებულია მისცეს საცხოვრებელი ბინა უფასოდ.

30. მწყემსებისა და მენახირეებისათვის საცხოვრებელი ბინისა და საზრდოობის გაცემის წესი, მხარეთა შეთანხმებით წესდება. აკრძალულია მწყემსებისა და მენახირეებისათვის რიგრიგობითი საცხოვრებელი ბინის და საზრდოობის გაცემა საქონლის მეპატრონეთა მიერ ისეთ ადგილებში, სადაც ეს აკრძალულია ადგილობრივ სამაზრო აღმასკომების მიერ და აგრეთვე იმ ადგილებში, რომლებიც ადგილობრივ ხელისუფლების მიერ ინფექციურ და გადამდებ სნეულებათა მხრივ არა კეთილსაიმედოა (ტიფი, ქუნთრუშა, დიფტერიტი, წითელა, ვენერიული და სხვა).

31. დამქირავებელს არა აქვს უფლება აიძულოს მწყემსი, ან მენახირე შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი სახით დაწესებულ შრომის ხელფასის ნაცვლად მიიღოს ხელფასი მთლად, ან ნაწილობრივ ნატურის სახით.

32. თუ დამქირავებელსა და დაქირავებულის შორის ატყდა დავა სამუშაო ხელფასის რაოდენობის შესახებ, იმ შემთხვევაში, როცა მათ წერილობითი ხელშეკრულება დადებული არა აქვთ, ან როდესაც შეთანხმებაში გარკვეულად არ არის ნათქვამი შრომის ხელფასის რაოდენობის შესახებ, მაშინ ასეთის რაოდენობის მომრიგებელი კომისია (იხა დადგენილების 48-56 მუხ.) არკვევს, მხოლოდ თუ შეთანხმება ვერ მოხდა, საქმე სახალხო სასამართლოს გადაეცემა.

33. დამქირავებელს არა აქვს უფლება, რომ მწყემსების და მენახირეების სამუშაო ხელფასიდან რაიმე თანხის დაჭერა და გამოქვითება აწარმოოს. იმ შემთხვევაში, თუ მწყემსების და მენახირეების დანაშაულობით დამქირავებელს შეიყენება რაიმე ზარალი საძოვრების დაზიანებით, ან ჩაბარებულ საქონლის დაკარგვით და დალუპვით, მაშინ საკითხი მათი პასუხისმგებლობის შესახებ სასამართლოს წესით წყდება. მხარეთა სურვილით პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება აგრეთვე მომრიგებელ კომისიაში გაირჩეს. ანაზღაურების რაოდენობა დამქირავებლისათვის მიყენებულ ზარალის გამო დაქირავებულის მთელი ხნის განმავლობაში არ შეიძლება იყოს მათი სამუშაო ხელფასის 1—3-ე მეტი, იმ შემთხვევების გამონაკლისით, რომელსაც მწყემსის ან მენახირის მიერ წინასწარ განზრახულად მიყენებულია რაიმე ზარალი.

ა.-კ. შრომის სახ. კომისარი იაშვილი.

საერთო საორგ. განყ. გამგე მელნიკოვი.

შეთანხმებულია ა. - კ. პ. კ. ს.-თან იაკუბოვიჩი.

(გაგრძელება იქნება)

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 160.

იურიდიული დახმარება

ევალებათ თუ არა ადგილკომებს ბიულეტენ-უმუშევრობის დროის დახმარების შესახებ

კავშირის წევრს ამხ. მაღრაძეს

თქვენ თქვენ შეკითხვაში მოგვითხრობთ შემდეგს: ერთი წლის წინეთ ადმინისტრაციამ თქვენ წაუგიყენათ ბრალდება და მიგცათ პასუხისგებაში სამსახურიდან მოხსნით, რის გამო დაირჩით ცოლ-შვილის პატრონი კაცი უმუშევრად. თქვენი საქმის გარჩევა „ძალზე დაგვიანდა“. სასამართლომ ველარ სცნო ბრალდება და აღგადგინათ თქვენ თანამდებობაზე და გაცდენილი დროის ხელფასიც მოგეცათ იმავე სასამართლოს დადგენილებით.

„უმუშევრობის“ დროს დახმარებას გაძლევდათ თბილისის დამზღვევი სალარო. ეხლა კი თანამდებობაზე აღდგენისა და გაცდენილი დროის ხელფასის მიღების გამო დამზღვევ სალარომ მოგთხოვათ გაცემული ფულის სალაროში დაბრუნება. ამის გამო ჩვენ გვეკითხებით, კანონიერია თუ არა დამზღვევი სალაროს მოთხოვნა, ხართ თუ არა თქვენ ვალდებული დამზღვევ სალაროს დაუბრუნოთ ის ფული, რომელიც თქვენ მოგეცათ მისგან უმუშევრობის დროს დახმარების სახით.

გიპასუხებთ

ის დახმარება, რომელიც ეძლევათ დაზღვეულ უმუშევრებს როგორც ასეთებს, დამზღვევ სალაროს არ დაუბრუნდება, მაგრამ თქვენი ერთი წლის სამუშაოს გარეშე ყოფნა თქვენი პასუხისგებაში მიცემის გამო, და შემდეგ სასამართლოს წესით თქვენი გამართლება და გაცდენილი დროის მთელი ხელფასის თქვენთვის გაცემა წარმოადგენს იურიდიული და პროფესიონალური თვალსაზრისით ისეთ ფაქტორებს, რომელთა მიხედვით შეუძლებელია თქვენ გეწოდოთ უმუშევარი. თქვენ სასამართლომ გაგამართლად, სამუშაოზე აღდგენით, გაცდენილი დროის ხელფასი სრულად მოგეცად. მაშასადამე, უმუშევრობის ნამდვილი უწყობას, უსალსრობას და ფაქტიურად თვით უმუშევრობას თქვენთან ადგილი არ ჰქონია. ამიტომ დამზღვევ სალაროს მოთხოვნა სრულიად სამართლიანი და კანონიერია.

თქვენ, რომელმაც მიიღეთ გაცდენილ დროის მთელი ხელფასი, არ ჩაითვლებით უმუშ. და ნამდვილად უმუშევარ დაზღვეულ-უმწეო პირთათვის გადადებული თანხა თქვენ არ გერგებათ და არც შეგერგებათ. ვალდებული ხართ დაუბრუნოთ დამზღვევ სალაროს ის ფული, რაც თქვენ მისგან მიიღეთ დახმარების სახით.

პარტიული კალენდარი

სამშაბათს, 19 ივლისს, საღამოს 6 ნახ. საათზე ს. კ. პ. (ბ) ცეკას შენობაში შესდგება ც. კ. საორგანიზაციო კოლეგიის მორიგი სხდომა. დასწრება ქვემოთ აღნიშნულ ამხანაგებისა სავალდებულოა:

ლოლობერიძე, მაჭავიჩი, ელისაბედაშვილი, თათარიშვილი, მუშიშვილი, ხაცკევიჩი, ფანცხავა, რუბენი, შიგორიძე, ჯავახაძე, სიხარულიძე ვ., ნემერზელი, არტო, მათიკაშვილი, ოდინი, ბლუაშვილი.

ლენ-რაიონის ყოფილ მარქსისტთა ბიურო ამით აცხადებს, რომ 18 ივლისს, საღამოს სრულ 5 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბში ახ. სექციის დარბაზში შესდგება თათბირი ყოფილ ახალგაზრდათა მარქსისტებისა, რომლებიც არიან აღრიცხვაზე აყვანილი ლენ-რაიონში.

გულ-დამწვარნი და უნუგეშოთ მყოფნი: მეუღლე მარუსია, შვილი ეთერი, მამა ეპიფანე, ბებია სერმილო, ძმები გიგა და ნონიკო, ბიძები არონ და ტონო ჩხაიძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი საყვარელი და მუდამ დაუვიწყარი

შალვა (შაკო) ეპიფანეს-ძე ჩხაიძის

უდროოთ და მოულოდნელათ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება სამშაბათს, 19-ამა ივლის, ს. აცანაში, დღის 1 საათზე. 1—1 3345

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავზარდაცემულნი: მეუღლე მარიამ ვასილის ასული ჩხაიძისა შვილით ეთერათი, მამა დეკანოზი ეპიფანე, ბებია სერმილო ალმასხანის ასული, ბიძები არონ და ანტონ ჩხაიძენი, ბიცოლა მარიამ ნიკიფორეს ასული, ძმები გიორგი და ნოე განუსაზღვრელი მწუხარებით აუწყებენ თავის ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 16 ამ თვეს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

შალვა (შაკო)

რომლის დასაფლავება მოხდება, სამშაბათს, 19 ივლისს სოფ. აცანაში. გამოსვენება ლანჩხუთიდან ამავე დღეს, პირველ საათზე. 1—1 3344

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი მეუღლე ნატალია დავითის ასული პაწია შვილებით: თამარა, ეთერი და ნათელათი, დედა ელისაბედ იოსეს ასული და ლიდია ლუკას ასული, მამიდა ალათი ბიჭიას ასული პაპავები აუწყებენ პატივცემულ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ სამშაბათ 19 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე, გადახდილი იქნება მათთვის დაუვიწყარი და უსაყვარლესი ერთად-ერთი ოჯახის იმედის ექიმ

ირაკლი ლუკას-ძე პაპავას

სამოქალაქო პანაშვიდი გარდაცვალების ერთი წლის აღსანიშნავად ქ. სამტრედიაში მაცხოვრის სასაფლაოზე. 1—1 3331

დამწუხრებული დედა ფოსინე, ცოლი ანეტა, შვილები: ჩუტა და ქეთო, დები: ნადია, ანიჩკა და პისტი, რძლები ოცია და გოგუცა, ცოლის და თამარა, ძმები: პეტრე, სანდრო და კუკური, დისშვილები: ჭიჭიკო და გრიშა აცნობებენ ნათესავებს, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სოფ. ხიდისთავში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

მირიან ბესარიონის-ძე თედორაძე

დასაფლავება სოფ. ხიდისთავში (გურია) სამშაბათს, 19 ივლისს, ახ. სტ. 1—1 3353

დღეს და ყოველდღე

„ეთერი“ (სახელმწ. ოპერის ბაღში) კინო-თეატრებში „აპოლო“ (არტოს ბაღში)

ისტორიული სურათი

ტარას ტრიასილო

დადგმა—ა. ჩარდინინის. ოპერატორი ზაველიევი.

მხატვარი-ხუროთმოძღვარი პროფესორი—კრიჩევსკი.

სიმებიანი ორკესტრი. 1 სეანსის დასაწყისი აპოლოში საღ. 8 საათ. ეთერში საღ. 8 ს. 30 წ.

ანონსი: მალე საქართველოს სახკინმრეწვის ახალი სურათი—მაქსიმ მაქსიმიჩი.

კინო-თეატრებში

ეთერი და დარბაზი

(სახ. ოპერის ბაღში) (ბაღში, პლეხ. ქ. № 91)

ანონსი: ამ დღეებში

უკანასკნელი სურათი სერიიდან „ჩვენი დროის გმირები“

მაქსიმ მაქსიმიჩ

ლერმონტოვის რომანის მიხედვით.

დადგმა—ვ. ბ. ბარსკის. ოპერატორები—ა. პოლიკევიჩი, ვ. პოზნანი

ადევნეთ თვალყური დადგმის დღეს. ნ. 1460

ეთერი (სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი (ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლლო (არტოს ბაღში).

0—13 ნ. 1388

პირველად თბილისში!

მარიონ დევისი მხატვრულ შედევრში „მეფის ბრძანებით“

სიმებიანი ორკესტრი მ. ბელსკის ხელმძღვანელობით.

უცხოეთის მხატვრული ახალი სურათი „ლიუსეტა“

სიმებიანი ორკესტრი. სალარო ღიაა საღ. 7 საათ.

სეზონის ერთი საუკეთესო სურათთაგანი „სამთა სიყვარული“

დადგმა რეჟ. ა. როომის, სცენარი შკლოვსკის. მთავარ როლებში: ქმარი—ბატალოვი, ცოლი—ა. სემიონოვა, მესამე—ფოგელი.

ვინც კინოს ბილეთს იყიდის, მისთვის ბაღში შესვლა უფასოა.

ანონსი: სამშაბათიდან კინო-თეატრებში—ეთერში და აპოლოში „ტარას ტრიასილო“

წალვერში

ექიმი მეგრაბიანი

ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით სამკურნალო კაბინეტში **ხელოვნური მთის მზე.** იონნოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. აფთიაქის თავზე. 25—18

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“, პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი) (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—22

გაზ. „კომუნისტი“-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი (ან ქვითარის №-რი)**, რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 **მთავარი კანტორა**

ფინსახკომის გამგებლ. მყოფი სათანადო უფლებით აღჭურვილი **ორწლიანი ეკონომ-ფინანსიური კურსები.**

უმზადებს მუშაკებს: კომისარიატებს, აღმასკომებს, ტრესტებს, ბანკებს, კოოპერატივებს და ყოველგვარ კომერციულ დაწესებულებებს.

საგნები: ფინანსები (ზოგადი კურსი, ფინანსიური პოლიტიკა, ადგილობრივი ფინანსები, რესპუბლიკანური ბიუჯეტი, პირდაპირი გადასახადი, არაპირდაპირი გადასახადი, არასაგადასახ. შემოსავალი, სახელმწიფო კრედიტი), პოლიტიკური ეკონომია (ზოგადი კურსი, ეკონომიური პოლიტიკა, ეკონ. მოძღვ. ისტორიის, ფული, კრედიტი, ბირჟა), სტატისტიკა, ეკონ. გეოგრაფია, კომუნალური მეურნეობა, კოოპერაცია, ვაჭრობის თეორია და პრაქტიკა, საქონელთ—მეტყველება, კომერციული კორესპონდენცია და საქმის წარმოება, ბუხჰალტერია (ზოგადი, სპეციალური), სავაჭრო და საფინანსო გამოანგარიშება, იურიდიული საგნები და სხვა.

მიიღებიან: 1. საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულნი. 2. დაწესებულებათა თანამშრომელნი—კურს დაუმთავრებელნი—კოლოკვიუმით.

გადასახადი: წლიურ. 120 მ. სემესტრში 60 მ.

განცხადება მიიღება დილის 10—1 ს-დე, გარდა უქმეებისა. **განცხადებასთან სავალდებულოა** 30 მან. შემოტანა, შეიძლება ფოსტით. **მისამართი:** თბილისი, წულუკიძის ქ. (ყოფ. კრუზენშტეინის) № 10. **ადმინისტრაცია.**

10—1 ნ. 1435.

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის

ყოველთვიურ

სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალ „თანამედროვე მედიცინა“-ზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა.

ჟურნალში შემდეგი განყოფილებებია:

თეორიული მედიცინა, კლინიკური მედიცინა, პრაქტიკული მედიცინა, საზოგადოებრივი მედიცინა, მიმოხილვები, ბიბლიოგრაფია, რეფერატები და სხვ.

თვითეულ ორიგინალურ შრომას დართული აქვს ავტორეფერატები რუსულ და ფრანგულ ენებზე.

ჟურნალის ფასი:

1 წლით . .	10 მან.
1/2 წლით . .	5 მან.
ცალკე ნომერი	1 მან.

რედაქციის მისამართი: პლეხანოვის გამზირი № 58, ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტი—ნერვ. სნეულებ. კლინიკა.

ქ. თბილისის მე-2 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 22 ივლისს, 1927 წ. დღის 12 ს. სახლში № 32, ამალღების ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ამ სახლს—გაბრიელ ზაქარიას-ძე თამამშევისას ნინო ვარძელაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოსაგან § 8 დეკემბრის—1926 წ. თარიღით № 31874, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლის ძალით. სახლი არის ორ სართულიანი, ქვიტკირის, დახურული თუნუქით, აშენებული ქალაქის მიწაზე ზომით 889 ოთხკ. საჟენი, ზემო სართულშია სამი საცხოვრებელი ოთახი და ერთი სამზარეულო, ხოლო ქვემო სართულში სამი განყოფილება არა საცხოვრებელი, შეფასებულია (500) ხუთას მანეთად. მყიდველებმა უნდა დაიცვან სამოქ. საპრ. კოდ. 311-312 მუხ. აღნიშნული წესები.

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 20 ივლისს 1927 წ. დღის 12 საათზე სახლში ფერმო ავლაბარში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის დავით მამულოვის მოძრავ ქონებას: სამ სართულიან სახლს შეფასებულს 5000 მანეთად, თამბაქოს ტრესტის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვისაც სურს სახლი შეისყიდოს, უნდა წარმოადგინოს საბუთები და საწინდარი თანახმად ს.ს.კ. 311 და 312 მ. მ. 3351

სია გაზ. „კომუნისტის“ ხელის მომწერთა, რომლებიც არ ღებულობენ გაზ. „კომუნისტს“ მისამართების შეცდომის გამო

№ რიგზე	ხელის მომწერის სახელი და გვარი	ქვითრის №	ხელის მომწერის მოცემული მისამართი
1	სარჩიმელია ალექსან.	7193	კრილოვის ქუჩა № 5
2	თვაური მიხეილ	7104	მარტყოფის ქუჩა № 14
3	ბუცერეიშვილი	7531	გლდანის ქუჩა № 7
4	გოცირიძე	931	თუმანოვის შეს. № 14
5	ელიაშვილი შალვა	992	სვიატოპოლკ-მირსკის № 22
6	ჩხიკვიშვილი დიომიდე	919	ვარდისუბნის ქუჩა № 4
7	ფრუიძე ილია	1002	ამაღლების ქ. ქვედა შესახ. № 3

ზემოდ აღნიშნული პირთ ევალებათ სამი დღის განმავლობაში წარმოადგინონ თავიანთი სწორი მისამართი; რომ გაზეთის გზავნა აღდგენილი იქნეს.

გაზეთ „კომუნისტის“ ექსპედიციის ტელ. 5—43.

მისამართი: კამოს (ყ. დიდი მთავრის) ქ. № 68. 0—1

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება აცხადებს

კონკურსს

მე-3-ე საავადმყოფოს (დერმოტოლოგიურ) ორდინატორის, ექიმი—ქალის საშტატო თანამდებობაზე თვიურად 82 მან. ჯამაგირით.

საკონკურსო კომისიის სხდომა შესდგება შაბათს, 23 ივლისს, ჯანმრთელობის განყოფილების შენობაში (სომხის ბაზ. № 4) დღის 12 საათზე, რა დროისათვის—კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველნი არდგენენ ჯან. განყ. გამგის სახელზე სტაჟისა და კავშირის წევრობის შესახებ ცნობებს, „კურიკულუმ ვიტე“-სა და განცხადებას.

ნ. 1462 თბ. ჯანმრთ. განყოფილება.

თბ. ჯან. განყოფილების საკურორტო ქ | განყოფილების მიერ **მანგლისში და კოჯორში**

გახსნილია ყველა სპეციალობის

პოლიკლინიკა ლაბორატორიით

პოლიკლინიკის რეცეპტებით აფთიაქიდან გაიცემა წამლები **20 პროც.-ის დაკლებით.**

მანგლისში სოლიარიუმი (მზის აბაზანები) მუშაობას დაიწყებს ა. წ. 15 ივლისიდან.

ნ. 1459 ჯან. განყ. საკურორტო ქ | განყოფილება.

ქ. თბილისის საბინაო საქმეთა სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ობანეზოვი

ამით აცხადებს, რომ ის 20 ივლისს 1927 წ. დღის 12 ს. სახლში № 17 ყ. ვიფლიემის შესახ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის იაკოფ დავარაშვილის მოძრავ ქონებას, რომელიც შესდგება: ერთი დარბაზის სარკიდან, ერთი კამოდიდან, მარმარილოს პირსაბანიდან, ერთი ბუფეტიდან და ერთი ხალიჩიდან შეფასებულს 137 მანეთად, მუსა გრიმან-ოღლის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის საბინაო საქმეთა სახალხო სასამართლოსაგან 3 მაისს 1927 წ., თარიღით № 1816 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3346

„სახელმწიფო ბანკის თანამშრომელთა“

მუშათ საბინაო-საამშენებლო კოოპერ. ამხანაგობა

აცხადებს, რომ 26 ივლისს დღის 3 საათზე სახელმწიფო ბანკის შენობაში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სამი საცხოვრებელი სახლის აგებაზე ელიავასა და ჰონქაძის ქუჩების კუთხეში მდებარე მიწის ნაკვეთზე, ღირებულებით 400.000 მან-დე.

საჭირო ცნობებისა, კონდიციებისა და მუშაობის შესახებ ტეხნიკური პირობების გაგება შეიძლება

ყოველდღიურათ

სახელმწიფო ბანკის შენობაში (აღმასკომის ქუჩ. № 5) 10 საათიდან 1 საათამდე.

2—1 ნ. 1449 **გამგეობა.**

ქ. თბილისის მე-3 რაიონის სასამართ. აღმასრულებელი ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 20 ივლისს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 7 | 37 თამარის და კესსერის შესახ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის დავით-ხან ჯანდიერის უძრავ ქონებას: სამ სართულიან სახლს შეფასებულს 10000 მანეთად, თამბაქოს ტრესტის და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად აღმოსავლ. საქართველოს ოლქის სასამართლოსაგან გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვისაც სურს სახლი შეისყიდოს, მოვალეა წარმოადგინოს თანახმად ს.ს.კ. 311 მ. საბუთები და დაცულ იქნას ს.ს.კ. 312 მ. 3350

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

ჯერჯერობით რჩება თბილისში.

კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 7, ბინა 1, ტელეფონი 14—56.

დაკარგე სატკივრით დახოცილი სამი სული საქონლის მოწმობები მოცემული რუისის თემ-აღმასკომიდან, № 377—380—381, ლექსო სტეფანის-ძე ბალიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3349

დაკარგე საქონლის ქირისგან დახოცილი საქონლის მოწმობები. გაცემული რუისის აღმასკომიდან. №№ 435—248—250—247, ვანო სოლომონის-ძე ბალიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3348

დაკარგე პასპორტი, აღრიცხვის წიგნაკი და რეგისტრაციის ბარათი გაცემული მე-5 რაიონის მილიციის მიერ კოტე ვაშაკიძეს სახელზე, ჩ. გ. 3346

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი თამარა ფოცხვერიას სახელზე, ჩ. გ. 3347

დაკარგე პარტ-მანდ. № 0857381 გემოკვების კავშირის წიგნაკი № 2232 კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 1471 სერგო დიმ. სტურუას სახელზე ჩ. გ. 3352

დაკარგე სახ. უნივერსიტეტის მიერ გაცემული მივლინების ფურცელი,—ლიტერო როსტოვამდის და პირადობის მოწმობა სურათით სტუდენტ სერგო ქებურიას სახელზე, ჩ. გ.

თბილისის ქალაქის ბანკის ბალანსი

1927 წ. 1-ლ ივლისისათვის

სალარო და სახელდახელო ანგარიშები	563.680—41	თანხები ა) ძირითადი	3.000.000—
საფასენი	351.181—26	ბ) სათადარიგო	223.922—33
თამ. გან. და სპეც. სან. ანგ. თამას.	3.180.075—99	სპ. თანხა მთავარ საგანგ. დან. საალმშ.	4.329.076—27
საქონლის სესხის ოპერაცია	2.769.945—46	სპეც. სან. ანგ. თამას.	1.889.172—66
მიზნობრივი სესხი მოკლე-ვადიანი	1.355.054—35	ანაბარი და სახელდახელო ანგარ.	4.540.046—81
„ „ გრძელვადიანი	7.500.706—91	ფულის ბარათები	58.660—40
კორესპონდენტები	292.413—90	კორესპონდენტები	1.747.300—30
შემოსასწორებელი ანგარიშები	683.384—32	შესასწორ. ანგ.	598.107—83
სხვადასხვა დებიტორები	17.146—18	სხვადასხვა კრედიტები	33.845—00
ქონება და წამოწყ. მონაწ.	779.992—68	საურთიერთო ანგ.	1.919.163—73
საურთიერთო ანგარიშები	1.900 849—32	შემოსავალი მომავალი წლის ანგარიშ.	601.852—7
გაპროტესტებული თამას. და საეჭვო ვალები	71.880—52	სარგებელი, კომისია და სხვა შემოსავ.	1.110·083—10
გაცემ. % %-ბი კომისია და სხვა	218.191—99		
მიმდინარე და სხვა ხარჯები	366.927—92		
ბალანსი	20.051.431—21	ბალანსი	20.051.431—21

ნ. 1461.

აღმასკომის სტამბა. კამოს ქ. 68.